ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
3 აგვისტო **შაბათი** 2013
№ 181 (14 097) ფასი 80 თეთრი



## თარგამაძის ბრწყინვალე გოლით...

3

# არის იმედი!

## ეს დილა კარგად თამაშობს...



ჰაიდუკი-დილას გამოხმაურება და ანალიზი

2-3



## იტალიური ამბავი

მაური ექვსი თვით მოკვეთეს!

7

**SQUALIFICATO!**

ლელოს სტუმარი

## ინგა გრიგოლია

11



მადლობა „ლელოს“, რომელიც უყურადღებოდ არ ტოვებს სპორტის არც ერთ სახეობას და სამზეოზე გამოაქვს მათი სიხარული და სატკივარი. რედაქციაში დღევანდელი ჩემი მოწვევაც, ფაქტობრივად, სპორტის ამ ულამაზესი სახეობის მდიდრული წარსულის წარმოჩენა და ქომაგებისთვის იმის შეხსენებაა, რომ საქართველოში აკრობატიკაც ცოცხლობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაიდუკი-დილა. გამოხმაურება


„დილა“ გამარჯვების გოლით ხარობს

# ხორვატებმა რევიშვილი და ილურიძე გამოარჩიეს

*ხორვატულ სპორტულ მედიაში მთავარი თემა „ბაიერნის“ ცენტრფორვარდი მარიო მანჯუკიჩის ამბავია, რომელიც უკმაყოფილოა პეპ გვარდიოლას გადაწყვეტილებებით და სხვა გუნდში გადასვლაზე ფიქრობს. მიუხედავად იმისა, რომ ხორვატულ პრესაში სპლიტის „ჰაიდუკისა“ და გორის „დილას“ შეხლა ნომერ პირველი თემა არ ყოფილა, ცხადია, იქაური მედია ვერც ამ ამბავს აუვლიდა გვერდს. „სპორტსკო ნოვოსტიმ“ არცთუ მცირე სტატიით მიმოიხილა „ჰაიდუკი“-“დილას“ შეხვედრა. გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს ამ წერილიდან.*

...“ჰაიდუკი“ ბატონობდა, ქართველებმა კი გამოიყენეს დაცვის შეცდომა და ზეიმი მოიწყვეს. მომდევნო ეტაპზე გასასვლელად „ჰაიდუკს“ მცირე, მოკრძალებული შანსი შერჩა. „დილასთან“ იოლ თამაშს არავინ ელოდა, მაგრამ ძნელად წარმოსადგენი იყო, თუ „ჰაიდუკი“ გოლის გატანას ვერ მოახერხებდა. იგორ ტუდორის გუნდს უჭირდა სახიფათო მომენტების შექმნა, რადგან მოწინააღმდეგეს სოლიდური დაცვა ჰყავდა...

...კარგად კოორდინირებული, დისციპლინიანი და ტექნიკური გუნდი - ასე წარმოადგინეს ქართველებმა თავი ამ შეხვედრაში. ერთმა, ნახევრად კონტრშეტევამ მათ გოლის გატანის საშუალება მისცა და ამ დაპირისპირებაში ფავორიტად აქცია...

...“ჰაიდუკი“ აქტიური იყო პირველ ტაიმში. გუნდის სტილი ამ შეხვედრაშიც იცნობოდა მოკლე გადაცემებით, მაგრამ მოედნის ცენტრში მისლავ ანჯელკოვიჩის არყოფნამ „ჰაიდუკი“ მნიშვნელოვნად დააზარალა. ტუდორის გუნდი მაინც ახერხებდა ზეწოლას, როცა სისწრაფეს და აგრესიას უმატებდა, მაგრამ ამის შემდეგ ისეთ წინაღობას აწყდებოდა მეკარე რევიშვილის სახით, რომ გარჯა ფუჭი რჩებოდა...

...ქართველები თავს ორ ეშელონად იცავდნენ, რის გამოც „ჰაიდუკი“ შორეული დარტყმებითაც ცდილობდა გოლის გატანას...

...მოედანზე ფეხბურთელების რაოდენობა შემცირდა, გუნდები ათიათზე დარჩნენ, სივრცემ მოიმატა, თუმცა მაინც არაფერი არ შეიცვალა - „ჰაიდუკი“ უშედეგოდ ამყოფებდა წნეხის ქვეშ მეტოქეს, რომელიც ილურიძის წყალობით ახორციელებდა კონტრშეტევებს.

**დავით თავართქილაძე**

# იმედიანი ზაფხული

## ახალი დილა

...უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა ქართული გუნდებისთვის ევროტურნირები ივლისში, ანუ, პირველი თუ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მერე მთავრდებოდა. კი, ერთი-ორი გამონათებაც ყოფილა და, ბოლოს და ბოლოს, 2004 წელიც გავიხსენოთ, გია გეგუჩაძის ხელმძღვანელობით მოასპარეზე თბილისის „დინამომ“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპამდე რომ მიაღწია. აი, წლევანდელ ზაფხულს კი, ალბათ ვერ დავემდურებით: ორი ქართული გუნდი მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზეა და ძალიან დიდი ალბათობით, ორივე კვლავაც გააგრძელებს ევროტურნირებზე მონაწილეობას. გასაგებია, რომ თბილისის „დინამოს“ ურთულესი საპასუხო მატჩი ელოდება ბუქარესტში, მაგრამ ჩვენმა ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა „სტიაუას“ ბარიერი რომ ვერ გადალახოს, შემდეგ უკვე ევროპის ლიგის პლეი ოფში გადაინაცვლებს! აი, იქ წარმატების შემთხვევაში კი, 9-წლიანი პაუზის მერე, ქართული კლუბი ისევ გამოჩნდება ევროპის ლიგაში. თუმცა, მოდი, იდეალურ ვარიანტზე ვიფიქროთ და მოვლენების ისეთ განვითარებასაც ნუ გამოვრიცხავთ, რომ ამ შემოდგომაზე ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ერთდროულად ორმა ქართულმა გუნდმა იასპარეზოს!

ჰო, ჯერჯერობით ყველაფერი აქეთკენ მიდის: ფაქტობრივად, ერთი თვის წინათ „შეკოწიწებულმა“ გორის „დილამ“, თავისი ახალი მწვრთნელ-ფეხბურთელებით ჯერჯერობით 3 მატჩი ჩაატარა წლევანდელ ევროტურნირზე და გოლი არ გაუშვია! ისე, მართალს ამბობდა თურმე „ჰაიდუკის“ მთავარი მწვრთნელი, ხორვატიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ყოფილი ფეხბურთელი იგორ ტუდორი „დილასთან“ მატჩის წინ - ამ წყვილში ფავორიტი ქართული გუნდიაო...

„ჰაიდუკი“-“დილას“ თამაშის დეტალურ გარჩევას აღარ შევუდგებით, უბრალოდ, კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელის **გიორგი დევდარიანის** გონივრულ გადაწყვეტილებებს. ისე, როგორც წინა ეტაპზე დანიურ „ოლბორგთან“ ორივე დაპირისპირებაში, დევდარიანმა ამჯერადაც ხუთკაციანი დაცვა (3 ცენტრალური მცველით ასპარეზობა ნელ-ნელა საქართველოშიც „შემოდის“) არჩია; არანაკლებ საინტერესო იყო თითქმის ერთნაირი ამპლუის ფეხბურთელებისთვის სხვადასხვა (და, რაც მთავარია, კონკრეტული შემთხვევისთვის - ოპტიმალური) პოზიციის შერჩევა (**თეიმურაზ ლონლაძე, კახა ალადაშვილი**) თუ მართლაც ეფექტიანი შეცვლების გაკეთება...

მოგეხსენებათ, ნამდვილად არა ვართ განებივრებულნი ქართველი მწვრთნელებისგან სტუმრად 1:0-ზე ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრის ნაცვლად, შეცვლაზე შემტევი ფეხბურთელების შემოყვანით! რა თქმა უნდა, წინ საპასუხო მატჩია, მაგრამ „დილას“ ასეთი წარმატებული და, რაც მთავარია, თვალსასეირო ასპარეზობა მაინც გამორჩეულად გვიხარია. ეს ყველას დამსახურებაა: კლუბის ხელმძღვანელების (ევროტურნირების წინ სპონსორები რომ მოიზიდეს), გამოცდილი მენეჯერის **გია ისიანის**, სამწვრთნელო შტაბის, გუნდის ძველ-ახალი ფეხბურთელების და ასე შემდეგ...

თუმცა, ამ სამი წარმატებული თამაშის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედზე ცალკე გვინდა ვთქვათ: „დილას“ 26 წლის მეკარე **ნუკრი რევიშვილმა** „ოლბორგთან“ ორივე შეხვედრა და „ჰაიდუკთან“ სტუმრად ჩატარებული მატჩი მართლაც უმაღლეს დონეზე ჩაატარა! შესაძლოა, ვინმეს განსხვავებული აზრი ჰქონდეს, მაგრამ ჩვენი აზრით, წლევანდელ ევროტურნირებზე მოასპარეზე ქართული გუნდების ფეხბურთელთაგან ჯერჯერობით საუკეთესო სწორედ ნუკრი რევიშვილია!..

### რევიშვილის დაბრუნება

...წესით და რიგით, გორის „დილას“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი ახალწვეულის ასეთი დამაჯერებელი (გნებავთ, შთამბეჭდავი) თამაში მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო - რევიშვილი ხომ სამართლიანად მიიჩნეოდა ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ

>> მე-3 გვერდზე


ნუკრი რევიშვილი

# 1 კვირის 1000 წვრილმანი

დავით თავართქილაძე

# რაღაცნაირი და ბრჭყვიალა

ეს „დილა“ რაღაცნაირი გუნდია, მოკრძალებულიც და ბრჭყვიალაც. მოკრძალებული იმიტომ, რომ დიდი ბიუჯეტი არ აქვს და ისიც კი არ იცის, ახალი წლიდან ექნება თუ არა დაფინანსება. ბრჭყვიალა კი იმიტომ გახდა, რომ სამი ევროთამაში ისე ჩაამთავრა, გოლი არ გაუშვია - „ჰაიდუკს“ სტუმრად მოუგო, მანამდე „ოლბორგს“ ადინა ბდღვირი...

თან „დილა“ რაღაცნაირად ჯიგრული გუნდია და მგონია, რომ ეს პირველ რიგში **გიორგი დევდარიანის** დამსახურებაა. ის თვითონ არის გულიანი ადამიანი და ეს ფაქტორი სულ სხვანაირად აგულიანებს ფეხბურთელებს. დევდარიანი ემოციური კაცია, მაგრამ არ არის კონფლიქტური. დევდარიანი ფეხბურთელის არჩევაში და მასთან ურთიერთობაში ხშირად იყენებს ფსიქოპორტრეტს. ზოგადად, ფსიქოპორტრეტის შექმნა რთული საქმეა. ფსიქოლოგია მარტივი რამე არ არის, ფსიქოლოგობა ცალკე პროფესიაა, მაგრამ ამავე დროს მწვრთნელობის ერთ-ერთი ნაწილია. ფსიქოპორტრეტის შექმნას მხატვრის ნიჭიც სჭირდება და ადამიანზე ღრმა დაკვირვებაც. მწვრთნელობაც ეგ არის - შემოქმედება და ფეხბურთელის სწორად დანახვა.

„დილა“ რაღაცნაირი გუნდი კიდევ იმიტომ არის, რომ არ აქვს შთამბეჭდავი ისტორია, მაგრამ რაც აქვს, მართლა თავისი აქვს. გადმოცემით ვიცი, გორში მაგარი თამაშები მიდიოდა, როცა „დილა“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე ლიგაში იყო. ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან გორში ლამის ყველაფერს „დილას“ არქმევდნენ, ტრიკოტაჟის ფაბრიკას, კომეურნეობას თუ დუქანს. „დილა“ გორული სახელწოდებაა და საფეხბურთო გუნდსაც ეს სახელი შეურჩიეს კომუნისტებმა. „დილა“ ისტორიული ძეგლივითაა, ბევრი საინტერესო ამბის მოკვლევა შეიძლება ამ გუნდზე და იმედია, ამისთვისაც მოიცლის ვინმე...

მანამდე კი 8 აგვისტოა გადასაგორებელი, საპასუხო შეხვედრა „ჰაიდუკთან“...

■ ■ ■

ეროვნულ ნაკრებსაც მალე დაეწყება გადამწყვეტი მატჩები. გადასაწყვეტი აქ ერთი რამეა - ჯგუფში მესამე ადგილს დაიკავებს თუ მაჩანჩალას პოზიციას. 6 სექტემბერს საქართველო საფრანგეთს მასპინძლობს, ოთხი დღის შემდეგ კი - ფინეთს. ამ ორ შეხვედრაში **თემურ ქეცბაიას** გუნდმა 3 ქულა რომ აილოს, ალბათ ვერავინ ვერ დაძრახავს, ეს თავისებური პროგრამა-მინიმუმია. და თუ ეს ვერ შეასრულა, მითიც დაიმსხვრევა. უბრალოდ რომ ვთქვათ, დარჩენილ სამ მატჩში საქართველოსთვის მთავარი ამოცანა ფინეთის დამარცხებაა, საფრანგეთთან შინ და ესპანეთთან სტუმრად ქულების აღება კი ქეცბაიას გუნდისთვის მინიმუმზე გაცილებით მეტი იქნება.

საფრანგეთი-ფინეთისთვის ბოლო რეპეტიცია ასტანაში იქნება 14 აგვისტოს. ყაზახებთან ამხანაგური შეხვედრისთვის ქეცბაიამ არ გამოიძახა **ლევან ყენია**. იყო მოლოდინი, რომ ნაკრების მწვრთნელი „დილას“ 21 წლის თავდამსხმელ **გიორგი ილურიძეს** მიიწვევდა ამ მატჩისთვის, მაგრამ ასე არ მოხდა.

ჯერ არც ყენია და, რა თქმა უნდა, არც ილურიძე არ არიან ისეთი ფეხბურთელები, რომ მათი არგამოძახების გამო ნაკრების მწვრთნელს ქოქოლა დააყარონ, მაგრამ, როცა საქართველოს ნაკრებში კარგი, შემქმნელი ფეხბურთელების მწვავე დეფიციტია, გაუგებარი რჩება მწვრთნელის გადაწყვეტილება. ფაქტია, რომ ამ ეტაპზე ილურიძე ჩინებულ ფორმაშია, ყენიაც რიგიანად გაისარჯა მეორე ბუნდესლიგის წინა ტურში. ამხანაგურ თამაშში, შედეგის გარდა, სხვა ბევრი რამეც არის მნიშვნელოვანი, მათ შორის - ახალგაზრდა ფეხბურთელის დაკვირვება სანაკრებო დონეზე.

არ არის შედეგი, არ ჩანან ახალი, საინტერესო მოთამაშეები, ყენია კი ალბათ „დასჯილია“ მწვავე ინტერვიუს გამო - ასეა საქმე ქეცბაიას გუნდში.

ფინეთის დამარცხებას ვინძლო არც ყენია დასჭირდეს და არც ილურიძე, ოლონდაც, რადგან საქმე ეროვნულ ნაკრებს ეხება, მწვრთნელს სტრატეგიული გადაწყვეტილებებიც მოეთხოვება.

■ ■ ■

მთავარი კი წინა კვირაში „დილას“ გამონათება იყო. მერწმუნეთ, კარგ რამეებზე წერა უფრო ადვილიც არის და სასიამოვნოც. ჯერჯერობით, „დილა“ ამის საშუალებას იძლევა. დევდარიანმა თვენახევარში მოახერხა გუნდის სახის შექმნა, რაც კარგი შედეგის საწინდარია.

ილურიძე კი გოლს ისევ გაიტანს, რაღაცნაირად მჯერა ამ ბიჭის...



« მე-2 გვერდიდან

ქართველ მეკარედ. თუმცა, ბევრი ალბათ არც მოელოდა უკანასკნელ პერიოდში სათამაშო პრაქტიკას მოკლებული მეკარისგან ასეთ გამორჩეულ ასპარეზობას - შარშან, რუსულ „კრასნოდარში“ ასპარეზობისას ამ გუნდის სერბი მწვრთნელი სლავოლიუბ მუსლინი რატომღაც არ სწყალობდა. არადა, ჩინებული ფიზიკური მონაცემების მქონე ქართველ მეკარეს არც გამოცდილება დაეწუნებოდა (2006 წლიდან რუსეთის პრემიერლიგაში თამაშობდა - ჯერ „რუბინში“, მერე - „ანჟიში“) და არც ოსტატობა. ბოლოს და ბოლოს, უცხოელი ვარსკვლავებით „გადაძეძგილ“ მახაჭყალის „ანჟიში“ ძირთადი მეკარის სტატუსის მოპოვება როგორი საქმეა?! ისე, არახალი ამბავია, რომ მეკარეთა უცხოური ტრანსფერი, სხვა ამპლუის მოთამაშეთაგან განსხვავებით, ბევრად უფრო გართულებულია და ნუკრი რევიშვილამდე ერთეულ ქართველ მეკარეებს თუ უთამაშიათ რუსეთის ჩემპიონატში (კაკო დევაძე, დავით გვარამაძე, გიორგი ლომაია). თანაც, არ დაგვავიწყდეს, თუ რა ასაკში გადავიდა იმ დროისთვის რუსეთის უძლიერეს გუნდ „რუბინში“ ნუკრი რევიშვილი - 18 წლის მეკარეს საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ქუთაისის „ტორპედოს“ ძირითად შემადგენლობაში სრულად მხოლოდ 12 მატჩი ჰქონდა ჩატარებული!

...ნუკრი რევიშვილს ადრეული ასაკიდანვე ეტყობოდა, რომ სერიოზული კარიერა ელოდა: ნიჭიერი მეკარე ჯერ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს, მერე - კობა ჟორჟიკაშვილის 19-წლიანებშიც, ახალგაზრდულ ნაკრებშიც ჰქონდა დებიუტი და ორივეგან ძირითადი მეკარეც გახდა.

2005 წლის 8 ოქტომბერს კი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში პირველი მატჩი ჩაატარა: ჩვენი ნაკრების იმდროინდელმა თავკაცმა გაიოზ დარსაძემ 18 წლის მეკარეს უდიდესი ნდობა გამოუცხადა და ყაზახეთის ნაკრების წინაამდეგ ძირითადში ანდო ადგილი! 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლომდე რევიშვილმა კიდევ ორ ოფიციალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა, ერთიც ამხანაგური თამაში ჩაატარა და ამასობაში ჩვენს ნაკრებში ახალი თავკაცი მოვიდა - გერმანელი სპეციალისტი კლაუს ტოპმიოლერი.

„ტოპიმ“ რევიშვილს თავის პირველსავე მატჩში უხმო, მაგრამ ოფიციალურ შეხვედრებში გიორგი ლომაიასა და გიორგი მაკარიძეს უფრო ენდობოდა. ანუ, ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით რევიშვილი ეპიზოდურად (ისიც - ამხანაგურ შეხვედრებში) თუ გამოჩნდებოდა ხოლმე.

რევიშვილს საერთოდ არ სწყალობდა ჰექტორ კუპერი, აი, თემურ ქეცბაიამ კი თავის მეორე მატჩში (კამერუნთან ამხანაგურ შეხვედრაში) ძირითადში ანდო ადგილი, ნაკრებიდან გიორგი ლომაიას წასვლის მერე ჩვენი უპირველესი გუნდის ძირითადი მეკარეც გახდა! რევიშვილმა უშეცდომოდ ითამაშა საბერძნეთთან სტუმრად და თბილისში - ისრაელთან, აი, მალტასთან საშინაო შეხვედრაში კი უდიდესი სირცხვილისგან გვიხსნა - მატჩის მიწურულს, როცა ანგარიში 0:0 იყო, მეტოქის ფეხბურთელი მასთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ჩინებული რეაქციით შეძლო ამ ეპიზოდის განმუხტვა.

ამას მოჰყვა ლატვიასთან გასვლითი მატჩი, სადაც 3 ქულა უკვე ჩვენი რომ გვეგონა, სწორედ მაშინ შეძლო ალექსანდრ ცაუნიამ ბოლო წამებზე ისეთი გოლის გატანა, რევიშვილი კი არა, ვერც ერთი მეკარე რომ ვერ აიღებდა!

თუმცა კარიერის გამორჩეული მატჩი მაინც წინ იყო: 2011 წლის 26 მარტს ლევან კობიაშვილის გოლით შინ ხორვატიას რომ ვძლიეთ, იმ შეხვედრის ერთ-ერთი გმირი სწორედაც რომ რევიშვილი გახლდათ. არადა, ამ მატჩის წინ ქეცბაია მართლაც სერიოზული დილემის წინაშე იდგა: ჩვენი ორივე მეკარე (რევიშვილიც და ლორიაც) ჩინებულ ფორმაში იყვნენ და არჩევანის გაკეთებაც არ იყო იოლი საქმე - ისე, რა უცნაურია: საქართველოს ნაკრების ისტორიაში რამდენიც გნებავთ იმდენი შემთხვევა ყოფილა, როცა კონკრეტული მატჩ(ებ)ი სწორედ ჩვენი მეკარეების შეცდომების გამო წაგვიგია. ბოლო ორ წელიწადში კი მეკარეებზე საწუწუნო ალარავის აქვს (ესპანეთთან გიორგი ლორიას მიერ ჩატარებული ზღაპრული მატჩი ვის დაავიწყდება?), სამაგიეროდ, წინა ხაზში გვაქვს ქრონიკული პრობლემები...

...ხორვატიასთან მოგებული მატჩიდან მესამე დღეს (!) ჩვენს ნაკრებს კიდევ ერთი ოფიციალური შეხვედრა ელოდა - სტუმრად ისრაელში. ის თამაში 0:1 წავაგეთ და ამის შემდეგ ლორიას უფრო ხშირად უწევდა ძირითადში თამაში, ვიდრე - რევიშვილს. თუმცა, როცა „კრასნოდარში“ სათამაშო პრაქტიკა მოაკლდა, ქეცბაია მაინც ენდო და შარშან შემოდგომაზე ორ შესარჩევ მატჩში (სტუმრად - ფინეთთან და ბელარუსთან) ძირითადში დააყენა. მაგრამ, იქიდან მოყოლებული ჩვენმა ნაკრებმა ოთხი შეხვედრა ჩაატარა და ოთხივე - რევიშვილის გარეშე...

როგორც ზემოთ ალვნიშნეთ, ნიჭიერმა მეკარემ ამ ზაფხულს აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო და სათამაშო პრაქტიკის მისაღებად სამშობლოში დაბრუნდა. ხოლო, თუ რა შესაძლებლობის მეკარე გახლავთ რევიშვილი, „ოლბორგთან“ ორივე მატჩშიც და „ჰაიდუკთან“ საგარეო შეხვედრაშიც ნათლად გამოჩნდა.

ბანალური ფრაზაა - მეკარემ თავისი გუნდი რამდენჯერმე უნდა გადაარჩინოსო, თუმცა ამ სამივე მატჩში რევიშვილმა ისე იასპარეზა, საბოლოო შედეგზე რომ იქონია გავლენაც და საერთოდაც, ასე მხოლოდ მაღალი კლასის მეკარეები თამაშობენ!..

**გია ტუხაშვილი**

სტიაუა-დინამო

# მსაჯები ისლანდიიდან

ბუქარესტის „სტიაუასა“ და თბილისის „დინამოს“ შორის ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრას ისლანდიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. მატჩის არბიტრი **კრისტინ იაკობსენი** იქნება, რომელსაც **სიგურდურ ოლი ტორლეიფსონი** და **ბირკირ სიგურდსონი** დაეხმარებიან. მატჩის დელეგატი ხორვატიიდანაა - **ზორან ცვრკი**, მსაჯთა დამკვირვებელი კი - ბელგიელი **მიშელ პირო**. „სტიაუასა“ და „დინამოს“ საპასუხო მატჩი სამშაბათს, 6 აგვისტოს, ბუქარესტში გაიმართება და თბილისის დროით 21 საათსა და 45 წუთზე დაიწყება.



კრისტინ იაკობსენი

ზესტაფონი

# გამარჯვება თურქმენეთის ჩემპიონთან

გუშინ „ზესტაფონმა“ თურქული შეკრების ბოლო საკონტროლო მატჩი ითამაშა - თურქმენეთის ჩემპიონ „ბალკანს“ 1:0 მოუგო. გოლი **ავთანდილ ენდელაძემ** გაიტანა. „ზესტაფონის“ ვებგვერდის ცნობით, შეხვედრის პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ენდელაძის პასით **ირაკლი ქობალია** აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ შანსის გამოყენება ვერ მოახერხა.

მეორე ტაიმის დასაწყისში იმავე ქობალიასა და ენდელაძეს მართებდათ გოლის გატანა, თურქმენებმა კი საუკეთესო შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს: 62-ე წუთზე **კახაბერ მეშველიანმა** 11-მეტრიანი მოიგერია. აქედან ცოტა ხანში კი „ზესტაფონმა“ იმარჯვა - ახალწვეულ **გიორგი ადამიას** გადაცემით ენდელაძემ ისარგებლა და გამარჯვების გოლი შეაგდო.

„ზესტაფონმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **კვასხვაძე** (მეშველიანი, 46), **ტერზიჩი** (თორნიკე გრიგალაშვილი, 84), **დოს სანტოსი, თედორე გრიგალაშვილი** (გაგოშიძე, 82), **კანდელაკი** (კიკნაველიძე, 46), **რეკრუკი** (კუტალია, 46), **ჭანტურიშვილი** (ჭანკოტაძე, 83), **შარიქაძე** (კაჭკაჭიშვილი, 64), **ენდელაძე, ადამია** (ლომია, 82), **ქობალია**.

**დავით თავართქილაძე**

ზუგდიდი

# ვარჯიში რუხში, თამაში განმუხურში

## კლიმენტი ნიტაიშვილი: იანვრამდე ახალგაზრდებს დავეყრდნობით

„ზუგდიდში“ გაურკვევლობა დასრულდა, ყოველ შემთხვევაში, სიტუაცია აქეთკენ მიდის. გუნდს ოთარ თუთბერიძისა და კლიმენტი ნიტაიშვილის ტანდემი გაწვრთნის. „ზუგდიდი“ დატოვეს გამოცდილმა ფეხბურთელებმა და მწვრთნელებს ახალგაზრდებით მოუწევთ უმაღლეს ლიგაში გამოსვლა. ნიტაიშვილი გულშემატკივარს კარგად უნდა ახსოვდეს, ტექნიკური ფორვარდი იყო, ქართული გუნდებიდან თბილისის „დინამოშიც“ უთამაშია რამდენიმე სეზონი, იყო ახალგაზრდული ნაკრების წევრი. უცხოური კარიერა ისრაელში დაიწყო და კვიპროსზე გააგრძელა, თამაშობდა „ანორთოსისში“, რომელსაც მაშინ თემურ ქეცბაია წვრთნიდა, ბოლოს კი ფამაგუსტას „სალამინაში“ იყო. ნიტაიშვილს რამდენიმე კითხვა დავუსვით.

**- რა ვითარებაა ახლა „ზუგდიდში?**

- რომ გითხრათ, ყველაფერი იდეალურად არის-მეთქი, მართალი არ ვიქნები. იმის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, რომ „ზუგდიდი“ ღირსეულად ითამაშებს და ადვილად არავის არაფერს არ დაუთმობს.

**- ფინანსური მდგომარეობა როგორია?**

- დაფინასება რომ არ იყოს, კვიპროსიდან აქ არ ჩამოვიდოდი. პირველი, რაც მოვითხოვე კლუბის ხელმძღვანელობისგან, ის იყო, რომ „ზუგდიდის“ ყველა თანამშრომელს ხელფასი ყოველთვე უნდა დაურიგდეს.

**- სად ემზადება „ზუგდიდი“ და რომელ სტადიონზე გამართავს საშინაო შეხვედრებს?**

- უმეტესწილად, რუხში ვვარჯიშობთ, ხანდახან „ბაიას“ ბაზის ხელოვნურსაფარიან მოედანზე. რაც შეეხება საშინაო მატჩებს, ისევ განმუხურში ვითამაშებთ, იქ კარგი მინდორია და ვუფრთხილდებით, სავარჯიშოდ არ ვიყენებთ.

**- ახალი ფეხბურთელების დამატებას არ აპირებთ სეზონის დაწყების წინ? „ზუგდიდი“ გამოცდილმა მოთამაშეებმა დატოვეს...**

- სეზონის დაწყებას ბევრი აღარაფერი უკლია და გუნდები უკვე დაკომპლექტებულია. ძნელია, ასეთ დროს ფეხბურთელი მოიყვანო. ახლახან ორი მოთამაშე მაინც დავიმატეთ - მეკარე ზურაბ მამალაძე და მცველი ბაქარ მირცხულავა. ამ ეტაპზე აქცენტს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გავაკეთებთ, ახალი წლიდან კი გამოცდილ მოთამაშეებსაც ავიყვანთ.



კლიმენტი ნიტაიშვილი

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები

# თარგამაძის ბრწყინვალე გოლით...

გუშინ უკრაინის ჩემპიონატის IV ტური „ილიჩევეცისა“ და „კარპატის“ მატჩით გაიხსნა. მასპინძელთა შორის ორივე ქართველი - **თორნიკე ოქრიაშვილი** და **დავით თარგამაძე** - სასტარტო შემადგენლობაში იყო. პირველი ტაიმი სტუმრებმა 1:0 მოიგეს. როგორც მარიუპოლელთა ვებგვერდი წერს, „ილიჩევეცის“ შემადგენლობაში აქტიური იყო ოქრიაშვილი, რომელიც ხშირად იღებდა თამაშს საკუთარ თავზე, ხოლო მისი მწვავე გადაცემები ლვოველთა დაცვას რთულ მდგომარეობაში აყენებდა.

მეორე ნახევარში „ილიჩევეცს“ გარკვეული უპირატესობა კი ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ საპასუხო გოლს დასჯერდა. ეს გოლი კი, 83-ე წუთზე, ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით თარგამაძემ გაიტანა და თავისიანები მარცხისგან იხსნა. ამას გარდა, საქართველოს ნაკრების ფორვარდმა პირველი ტაიმის მიწურულს გაფრთხილებაც მიიღო.

რუსეთის ჩემპიონატის I დივიზიონში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. „სკა ენერგია“ სანკტ-პეტერბურგს ეწვია და იქაურ „დინამოს“ უგოლოდ დაუზავდა. **ვალდას ივანაუსკასის** გუნდში ორივე ქართველი სასტარტო შემადგენლობაში იყო. **გიორგი ნავალოვსკი** მოედანს ბოლომდე შემორჩა, **გოგიტა გოგუა** კი 81-ე წუთზე გორის „დილას“ ყოფილმა ფეხბურთელმა **ლეონარდომ** შეცვალა. აქვე ალვნიშნოთ, რომ **პაველ მოჩალინის** გაძევების გამო „სკა ენერგია“ 27-ე წუთიდან 10 კაცით თამაშობდა. „სკა ენერგიას“ 6 მატჩიდან 6 ქულა აქვს და მე-14 ადგილზეა.

პრემიერლიგიდან დაბრუნებულმა „მორდოვიამ“ სარანსკში ორენბურგის „გაზოვიკს“ უმასპინძლა და შეცვლაზე **რუსლან მუხამეტშინის** გოლით (78-ე წუთი) 1:0 იმარჯვა. „მორდოვიას“ მცველი აკაკი **ხუბუტია** ძირითად შემადგენლობაში იყო, „გაზოვიკში“ მოთამაშე საყრდენ ნახევარმცველ **ზურაბ არზიანს** კი მწვრთნელმა მხოლოდ ბოლო 13 წუთი ანდო. „მორდოვიას“ 6 ტურის შემდეგ 15 ქულით მეორე პოზიცია უკავია, ხოლო „გაზოვიკი“ 9 ქულით მე-6 საფეხურს ამაგრებს.

ვლადიკავკაზის „ალანიამ“ კი გასვლაზე **ოთარ მარცვალაძის** გარეშე აჯობა (1:0) „ბალტიკას“, 5 თამაშის შემდეგ 10 ქულას მოუყარა თავი და მე-5 ადგილზე მოკალათდა.

პრემიერლიგაში კი გაიმართა ერთი მატჩი, რომელშიც „ანჟიმ“ „როსტოვს“ უმასპინძლა 0:1 წააგო. სტუმართა შორის **ჯანო ანანიძე** განაცხადშიც არ ყოფილა.

**გიორგი გელაშვილი**

გურია

# ნუ იქნება ოღონდ ბუნტი!

## გამგებელმა გურია დაშლას გადაარჩინა?

ჩვენი მკითხველი კარგად არის ინფორმირებული, რომ ლანჩხუთის „გურიამ" შეკრება დაგვიანებით დაიწყო და თითქმის ყოველდღიურად ტესტ-მატჩებს ატარებს. **დავით მახარაძის** შეგირდებს მორიგი შეხვედრა 1 აგვისტოს უნდა გაემართათ , მაგრამ იმ დღეს ფეხბურთელებს არც უვარჯიშიათ და არც უთამაშიათ, რის გამოც ფოთის „კოლხეთთან" ამხანაგური მატჩი ჩაიშალა.

როგორც შევიტყვეთ, ფეხბურთელები დარჩენილ დავალიანების ითხოვდნენ და პროტესტიც ამან გამოიწვია, ხოლო ვითარება გამწვავებულა მას შემდეგ, რაც ფეხბურთელებმა გაიგეს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, ოთხი წამყვანი მოთამაშის გაშვების შესახებ. არ კონკრეტდება, ამ მობურთალებს პროტესტის მოთავეობის გამო უპირებდნენ გაშვებას, თუ სხვა მიზეზი იყო, თუმცა, როგორც ირკვევა, დანარჩენმა ფეხბურთელებმა მათ სოლიდარობა გამოუცხადეს. იყო საფრთხე, რომ „გურია" დაშლილიყო - როგორც ამბობენ, მთელი გუნდი მზად იყო, გრიგოლეთის ბაზა დაეტოვებინა.

გვიან სალამოს ბაზაზე მივიდა ლანჩხუთის გამგებელი **ზაზა ურუშაძე**, რომელიც გუნდის ხელმძღვანელებსა და ფეხბურთელებს შეხვდა. სწორედ რაიონის თავკაცთან აუდიენციის შემდეგ მოგვარებულა პრობლემა.

*„წინა სეზონში მოთამაშე ფეხბურთელებისადმი სახელფასო დავალიანება მართლაც არსებობს. მათ გამგებელ ზაზა ურუშაძესთან ერთად შევხვდით. უახლოეს დღეებში ეს დავალიანება დაიფარება. გუნდი ახლა შეკრებილია გრიგოლეთის საწვრთნელ ბაზაზე, ბიჭები ვარჯიშობენ. ხვალ ამხანაგურ მატჩს ბათუმის „დინამოსთან" გავმართავთ. ასე რომ, არანაირი „ბუნტი" არ არსებობს",* - კლუბის დირექტორ **კობა მირზაშვილის** კომენტარს გამგეობის ოფიციალური გვერდი ავრცელებს.

კომენტარი ლანჩხუთის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ ზაზა ურუშაძეს ვთხოვეთ:

**- ბატონო ზაზა, მოგვარდა თუ არა „გურიაში" შექმნილი პრობლემა. როგორც გვითხრეს, გუნდი დაშლას თქვენი ჩარევის შემდეგ გადაურჩა...**

- ასეთი არაფერი არ ყოფილა. საიდან მოიტანეს?! დავალიანებას ითხოვდნენ და მართლებიც არიან. ფინანსთა სამინისტროდან თანხმობის წერილი გვაქვს, პროცესი გაიწელა ბანკთან. იმ კვირაში ხელფასები გაიცემა. მე ფეხბურთელებს შევხვდი და ვუთხარი - ვისაც სურვილი არ აქვს, გააგრძელოს „გურიაში" თამაში, შეუძლია წავიდეს. მათ კი პირიქით - განაცხადეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ კლუბის წარმატებისთვის.

**მათე ბურული**
ლანჩხუთიდან



შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** გთხოვთ მიპასუხოთ, ვინ იყო 2006-07 წლების საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი?

**გონერი ხომასურიძე**
ზესტაფონი

**პასუხი:** თქვენ მიერ ხსენებულ წლებში სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად თბილისის დინამოელი **ალექსანდრე იაშვილი** დასახელდა.



ამბები

## მეტალისტს თამაშის ჩაწყობა დაუმტკიცდა

ხარკოვის „მეტალისტს" 2008 წელს მოგებული უკრაინის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი ჩამოერთვა. ლოზანის სპორტული საარბიტრაჟო სასამართლოს ვერდიქტით დადასტურდა, რომ „მეტალისტმა" გარიგებული მატჩი ითამაშა ლვოვის „კარპატისთან". ხსენებული შეხვედრა 2008 წლის 19 აპრილს შედგა და ხარკოველთა გამარჯვებით 4:0 დასრულდა...

გარდა ბრინჯაოს მედლისა, „მეტალისტი" 25 ათას დოლარსაც შეელევა. ამის ექვივალენტურ ჯარიმას გადაიხდის „კარპატიც", ხოლო ორივე კლუბის ფეხბურთელებსა და ოფიციალურ პირებს სხვადასხვა ზომის ფინანსური სანქცია დაეკისრათ.

## სუარესი სასამართლოთი იმუქრება

ჯერაც „ლივერპულის" ფორვარდმა ლუის სუარესმა მერსისაიდულ კლუბს შესაძლოა სასამართლოში უჩივლოს. ურუგვაელს „არსენალში" გადასვლა უნდა, „ლივერპული" კი უარზეა და ტრანსფერის უფლებას არ აძლევს. ლონდონელთა ბოლო წინადადება 40 მილიონი ფუნტია, თუმცა „წითლებმა" ესეც დაბლოკეს და „არსენალს" შეატყობინეს, რომ სუარესი არ იყიდება.

2012 წელს, როცა „ლივერპულთან" ახალ კონტრაქტს აფორმებდა, ურუგვაელმა ითხოვა, რომ ხელშეკრულებაში შეეტანათ პუნქტი, რომლის ძალითაც მას წასვლის საშუალება ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ენფილდელები ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებდნენ, ხოლო სუარესის მსურველი კლუბი 40 მილიონ ფუნტზე მეტს გადაიხდიდა. მაშინ ფეხბურთელის ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, თუმცა ის ამტკიცებს, რომ კლუბმა სიტყვიერი დაპირება მისცა. სწორედ ამ დაპირების შეუსრულებლობის გამო აპირებს სუარესი სასამართლოში წასვლას, მაგრამ როგორ დაამტკიცებს ამას, ეს სხვა საქმეა.

ევროპის ჩემპიონატი. U 19. გამოხმაურება და სტატისტიკა



# ავთო ენდელაძე ათ ტალანტში მოხვდა

**ლიტვაში დასრულდა ევროპის მორიგი პირველობა 19-წლამდელთა შორის, რომელიც ისტორიული იყო ქართული ფეხბურთისთვის, რადგან ამ ასაკობრივ ჯგუფში ფინალურ ეტაპზე პირველად იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა. საბოლოოდ, პირველი ცდა წარუმატებელი გამოდგა - გია ცეცაძის გუნდმა სამი მატჩიდან 1 ფრედ დაამთავრა, 2 წააგო და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა. ასევე დებიუტანტი იყო სერბეთის ნაკრები, რომელმაც ლიტვაში ტიტული მოიპოვა.**

### შეტყობინება მოურინიოსგან

სერბთა თავკაცი **ლუბინკო დრულოვიჩი** ამბობს, რომ მას ჟოზე მოურინიოს მესიჯმა ფრთები შეასხა: *„ფეხბურთელობისას ხანგრძლივი კარიერა მქონდა, 14 ტროფეი და 38 კეპი ჩემს ანგარიშზე. მითამაშია, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე. მაგრამ ეს ჩემი კარიერის ყველაზე ღირშესანიშნავი მომენტია, რადგან ტიტული პირველად მოვიპოვე სერბეთის ნაკრებთან ერთად. ფინალის წინ, ჟოზე მოურინიოსგან მოკლე ტექტური შეტყობინება მივიღე. ის მწერდა, რომ დარწმუნებულია, მე ყოველთვის ვიგებ ფინალებს, როგორც ძველ დროს. ეს მესიჯი ბიჭებს ვაჩვენე და ფაქტია, ამან მათზე დადებითად იმოქმედა",* - განაცხადა დრულოვიჩმა ფინალში საფრანგეთის ნაკრების 1:0 ძლევის შემდეგ. დრულოვიჩს საფეხბურთო კარიერის უდიდესი ნაწილი პორტუგალიაში, „ჟილ ვისენტეში", „პორტუსა" და „ბენფიკაში" აქვს გატარებული და ის „ჩელსის" პორტუგალიელ თავკაცს ძალიან კარგად იცნობს.

### სამი ბომბარდირი

ისე მოხდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ბომბარდირობა სამმა ფეხბურთელმა გაინაწილა. ლიტველმა **გრატას სირგედასმა**, ჰოლანდიელმა **ანას აჩაჰბარმა** და პორტუგალიელმა **ალეშანდრე გუედეშმა**. თითოეულმა მათგანმა ლიტვაში 3 გოლი გაიტანა.

8 ფეხბურთელის ანგარიშზე 2-2 გოლია, მათ შორის ფინალის გმირ **ანდრია ლუკოვიჩზე**. 22 ფეხბურთელმა თითო გოლი გაიტანა,მათ შორის **ავთო ენდელაძემ** და **ნიკოლოზ კაჭარავამ**. „ოქროს ბუცი" ლიტველ გოლეადორს ერგო, რადგან მან ორ კონკურენტზე ნაკლები დრო დაჰყო მოედანზე.

### ქართველი საყრდენის აღიარება

უეფას ოფიციალურმა საიტმა იმ 10 ტალანტის ვინაობა დაასახელა, რომელთაგანაც მომავალში ვარსკვლავების მოწყვეტას უნდა ველოდოთ. სასიხარულოა, რომ მათ შორის არის ქართველი ნახევარმცველი ავთო ენდელაძე.

აი, რას წერს უეფას საიტი: *„მართალია, ქართველთა მწვრთნელ გია ცეცაძეს მიაჩნია, რომ მისმა გუნდმა სათანადოდ ვერ ითამაშა ფინალურ ეტაპზე, მაგრამ ეს არ ეხება საყრდენ ნახევარმცველ ავთო ენდელაძეს. ავთოს დამსახურებაა ფრე საფრანგეთის ნაკრებთან და მის ანგარიშზეა პირველი გოლი თურქეთის ნაკრების კარში".*

აქვე სხვა 9 ტალანტსაც ჩამოვთვლით: **იასინ ბენზია** (საფრანგეთი), **ალექსანდარ მიტროვიჩი** (სერბეთი), **ადრიენ რაბიო** (საფრანგეთი), **გრატას სირგედასი** (ლიტვა), **პრედრაგ რაიკოვიჩი** (სერბეთი), **ხოსე როდრიგესი** (ესპანეთი), **ბერნარდო სილვა** (პორტუგალია), **რეჯეპ ნიაზი** (თურქეთი) და **ლუკას ვუდენბერგი** (ჰოლანდია).

### უნგრეთი 2014

მომდევნო ტურნირი 2014 წელს უნგრეთში გაიმართება და მასში მონაწილეობის უფლება უკვე 1995 წელს და შემდგომ დაბადებულ ფეხბურთელებს ექნებათ. საქართველო მე-11 საკვალიფიკაციო ჯგუფში ითამაშებს, რომლის თამაშებიც თბილისში ჩატარდება. ჩვენი მეტოქეები ჰოლანდია, მოლდოვა და უელსია. პირველ 2 ადგილზე გასული გუნდები მეორე ეტაპზე, ეგრეთ წოდებულ, ელიტ რაუნდში მოხვდებიან, მესამე ადგილზე გასულ გუნდსაც აქვს ელიტ რაუნდში მოხვედრის მცირე შანსი.

**სტატისტიკა**

**ინდივიდუალური**

| | | |
|---|---|---|
| **გოლები** | | |
| 3 | სირგედასი | ლიტვა |
| 3 | აჩაჰბარი | ჰოლანდია |
| 3 | გუედეში | პორტუგალია |
| **ასისტენტები** | | |
| 2 | ბასასიკოგლუ | თურქეთი |
| 2 | რაფაელი | პორტუგალია |
| **2** | **სამუშია** | **საქართველო** |
| 2 | იაზიჩი | თურქეთი |
| 2 | ნიაზი | თურქეთი |
| 2 | რამირესი | ესპანეთი |
| 2 | გოლუბოვიჩი | სერბეთი |
| 2 | მიტროვიჩი | სერბეთი |
| **კარში დარტყმა** | | |
| 12 | ბენზია | საფრანგეთი |
| 6 | გუედეში | პორტუგალია |
| 5 | ნანგი | საფრანგეთი |
| 5 | ლოპეში | პორტუგალია |
| **ჯარიმა (მათზე)** | | |
| 21 | რაბიო | საფრანგეთი |
| 16 | ვადილიო | ესპანეთი |
| 16 | მიტროვიჩი | სერბეთი |
| **დამჯარიმდნენ** | | |
| 16 | კაზლაუსკასი | ლიტვა |
| 15 | როდრიგესი | ესპანეთი |
| 14 | იკოკო | საფრანგეთი |
| **თამაშგარე** | | |
| 6 | მიტროვიჩი | სერბეთი |
| 6 | ჟურჯევიჩი | სერბეთი |

**გუნდური (საუკეთესოები)**

| | |
|---|---|
| **გოლები** | |
| 10 | პორტუგალია |
| | *საქართველო 2 გოლით ბოლოა* |
| **საუკეთესო დაცვა** | |
| 4 | საფრანგეთი, სერბეთი, ესპანეთი |
| | *საქართველო 5 გაშვებულით მე-4 ადგილზეა* |
| **გაფრთხილება** | |
| 13 | სერბეთი |
| | *საქართველო 9 გაფრთხილება* |
| **გაძევება** | |
| 1 | საქართველო, ესპანეთი |
| **კარში დარტყმა** | |
| 32 | საფრანგეთი |
| | *საქართველო 10 დარტყმით ბოლოსწინა ადგილზეა* |
| **თამაშგარე** | |
| 16 | სერბეთი |
| | *საქართველო სულ 3 თამაშგარე (მე-2 შედეგი)* |
| **კუთხური** | |
| 28 | საფრანგეთი, ესპანეთი |
| | *საქართველო 14 კუთხურით ბოლოსწინა ადგილზეა* |
| **დაჯარიმდნენ** | |
| 93 | სერბეთი |
| | *საქართველო 50 ჯარიმა, მე-4 შედეგი* |

- ყველაზე მეტი გოლი გავიდა თურქეთი-საქართველოს თამაშში - 6 (4:2)
- ყველაზე მეტჯერ კარში ზუსტად ამ თამაშში დაარტყეს - 15
- ყველაზე მეტჯერ კარს ამ თამაშში ააცილეს - 23
- ყველაზე მეტი კუთხური საქართველო-საფრანგეთის თამაშში ჩააწოდეს - 15
- ყველაზე მეტი თამაშგარე საქართველო-სერბეთის თამაშში დაფიქსირდა - 10
- ყველაზე მეტი ყვითელი ბარათიც ამ თამაშში დარიგდა - 9

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ავთო ენდელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება

# როდემდე აიტანს დე ლაურენტისი ბენიტესს?..

დავიწყოთ მთავარით: ტრანსფერები უდავოდ შთამბეჭდავია - **იგუაინი, ალბიოლი, კალეხონი, მერტენსი, რეინა**... შეიძლება, კიდევ ვიღაც მოვიდეს, ფანჯრის დახურვამდე ჯერ არის დრო. მაგრამ ერთი რამ აქედანვე ნათელია - „ნაპოლის“ წლევანდელი სატრანსფერო კამპანია ბოლო იტალიური სეზონებისთვის მეტისმეტად უჩვეულოა. ასეთი ხელგაშლილი შოპინგი თვით გრანდებისგანაც არ გვახსენდება. ქაღალდზე **ედინსონ კავანის** დაკარგვა ფაქტობრივად სრულადაა კომპენსირებული. ურუგვაელის ტრანსფერში აღებული 63 მილიონი ევრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ **რაფა ბენიტესს** ყველა რგოლი გადაეხალისებინა. რეკონსტრუქციას გადაჰყვა გამოცდილი მეკარე **მორგან დე სანკტისი**, დაცვა სხვანაირი იქნება არა მხოლოდ საკადრო, არამედ სტრუქტურული თვალსაზრისითაც. ბენიტესი უთუოდ შეიტანს სიახლეს ნახევარდაცვაშიც, კავანის მაგივრად კი გოლების გატანა იგუაინს დაევალება...

მოკლედ, ძალიან ბევრი ნიუანსია. მაგრამ საგარანტიო ტალონები ყველაზე ვერ გაიცემა. და განა ასე მარტივი იქნება **ვალტერ მაძარის** მიერ ნალოლიავები 3-4-2-1-დან ბენიტესისეულ 4-2-3-1-ზე გადაწყობა? ისე, პრეცედენტი არსებობს, თუნდაც შარშანდელი, როცა **ვინჩენცო მონტელამ** ორიოდ თვეში ააწყო „ფიორენტინა“. თუმცა პრეცედენტი ჯერ არ ნიშნავს ტენდენციას.

დღეს უკვე ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ მომავალ სეზონში „იუვენტუსის“ მთავარი კონკურენტი სწორედ „ნაპოლი“ იქნება. არგუმენტი ასეთია - წელს „ნაპოლი“ შარშანდელზე ძლიერი იქნება (მიუხედავად კავანის წასვლისა) და თუ წინა სეზონში ცოტა დააკლდა, რომ „იუვეს“ ქეჩოში სწვდენოდა, ამჯერზე ეგებ ტახტიდანაც ჩამოაგდოსო.

მაგრამ აქ აუცილებლად უნდა ვთქვათ ბენიტესის ფაქტორზე. ესპანელი, ასე ვთქვათ, „გენერალური გეგმის“ კაცია, ან უფრო გასაგებად - პრაგმატიზმის მეხოტბე. მაძარის დროს „ნაპოლი“ ალმაფრენით თამაშობდა, ბენიტესმა კი შეიძლება ერთი ნაბიჯით უკან დაიხიოს, რათა მერე ორი გადადგას წინ. იმიტომ, რომ ის, რაც ნეაპოლში ხდება, ფაქტობრივად ნულიდან დაწყებაა. რაფა თავად არის ავტორი და არა - რესტავრატორი. ეს არის მისი სტიქია, ამაშია ის ძლიერი...

*„ჩვენ ვცვლით მთლიან სტრუქტურას,* - ამბობს „ვალენსიასა“ და „ლივერპულის“ ყოფილი თავკაცი, *- ეს, რა თქმა უნდა, რისკია. მაგრამ თუ თავდაუზოგავად ვიშრომებთ, ყველაფერი გამოგვივა“.*

თავდაუზოგავი შრომა დღევანდელ ფეხბურთში არავის უკვირს, მით უმეტეს, რომ ის მაინც ვერ იქნება წარმატების გარანტია. ბენიტესის სიტყვებში უფრო თავის დაზღვევა ჩანს. მან ირიბად მიანიშნა პრეზიდენტ **აურელიო დე ლაურენტისს**, რომ შედეგი მყისიერად ვერ მოვა, დრო იქნება საჭირო. დრო კი (უფრო სწორად, მისი დეფიციტი) მწვრთნელის მთავარი მტერია. სპეციალისტების უდიდეს ნაწილსაც წყალი იმიტომ შეუდგებათ ხოლმე, გუნდის მშენებლობისთვის დრო რომ არ ჰყოფნით. რაფას გათვლით კი „ნაპოლი“ ხანგრძლივი პროექტია. შეიძლება, მას გულუბრყვილოდ სწამს კიდეც, რომ დე ლაურენტისი დიდხანს დაელოდება ამ ყბადაღებულ შედეგს. აქ არის სწორედ საკვანძო მომენტი. ბენიტესს დრო დასჭირდება, შესაძლოა, ძალიან ბევრიც...

ცოტა ხნის წინათ მან თქვა, რომ დღევანდელ „ნაპოლიში“ თავისი „ლივერპული“ დაინახა. ამ გაგებით, **სტივენ ჯერარდად მარეკ ჰამშიკი** უნდა იქცეს, თუ მაშინ **ლუის გარსია** და **ჩაბი ალონსო** ჰყავდა, ახლა კალიეხონი და ალბიოლი ჰყავს, პეპე რეინას გადმოყვანამ კი საბოლოო შტრიხიც მოხაზა...

*„პრეზიდენტმა მითხრა, რომ შედეგს თავიდანვე არ უნდა ველოდოთ. მეტსაც გეტყვით - ამ სეზონში მაინცდამაინც სკუდეტოს მოგებაც არ გვევალება. ასე რომ, ამ მხრივ წნეხს ნამდვილად არ ვგრძნობ“,* - თქვა ბენიტესმა.

რაღაც ხომ არ ეშლება რაფას? ან ხომ არ დაიბნა ნეაპოლური რევოლუციის გადამკიდე? რა გითხრათ... ამ დროს კი მეორე მიკროფონში დე ლაურენტისი გაჰყვირის - წელს ამდენ ფულს იმიტომ ვხარჯავ, სკუდეტო უნდა მოვიგოთო. ჰოდა, ვინ დაიჯერებს, რომ ბენიტესს დროის მხრივ სრული კარტ-ბლანში აქვს? კინომაგნატი ბოსი დარწმუნებულია, რომ საორგანიზაციო პრობლემები ორ-სამ თვეში მოგვარდება, ხოლო ნოემბრიდან „ნაპოლი“ პირველ ადგილზე დამკვიდრდება და გაზაფხულამდე იქიდან ფეხს ვერავინ მოაცვლევინებს...

მოკლედ, ხელის გულზე ჩანს, რომ პრეზიდენტისა და მწვრთნელის გეგმები ერთმანეთს არ ემთხვევა. ფაქტია, დე ლაურენტისმა ესპანელს ყველანაირი პირობა შეუქმნა შემოქმედებისთვის. იყიდა ყველა ფეხბურთელი, ვინც კი მწვრთნელმა მოისურვა. ამიტომ, მომავალში რაფას თავის გასამართლებელი საბუთი აღარ ექნება...

არ შეიძლება, ერთი ფაქტორიც არ გავიხსენოთ - „ესპანური წყევლა“, რომელიც სერია A-ში მომუშავე მწვრთნელებზეც ვრცელდება. და ისიც, რომ მინიმუმ **ჟოზე მოურინიო** უნდა იყო, პირველივე იტალიურ სეზონში სკუდეტო რომ მოიგო. და კიდევ: ბენიტესი უფრო „სათაზო“ მწვრთნელია, რაც ვერ მოდის ჰარმონიაში მთავარ ამოცანასთან - მძიმე იტალიური მარათონის გავლა მინიმალური დანაკარგებით...

არ გაგიკვირდეთ, რომ ბენიტესს გულის სიღრმეში „ნაპოლის“ „ფერგიუსონობაც“ სურდეს. ასე შემთხვევაში, მან ისიც უნდა იცოდეს, რომ სულსწრაფი იტალიელი საფეხბურთო პრეზიდენტები ეპოქალურ მწვრთნელებს ნაკლებად სწყალობენ. აქ შედეგი დღესვე უნდათ, ამიტომ, იტალიაში მწვრთნელების ცვლის სიხშირე უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენ სამყაროში. ჰოდა ეს კითხვაც ტყუილად არ ისმის - როდემდე აიტანს დე ლაურენტისი ბენიტესს?



აურელიო დე ლაურენტისი (მარცხნივ) და რაფაელ ბენიტესი

**გიორგი გელაშვილი**

სიტი ვიოლას მიადგა

# ამჯერად სამიზნე ადემ ლიაიჩია



„მანჩესტერ სიტი“ ადემ ლიაიჩის სამსახურით დაინტერესდა

ამ დღეებში „დეილი ექსპრესი“ „ფიორენტინას“ თავდამსხმელით, 21 წლის **ადემ ლიაიჩით** „მანჩესტერ სიტის“ დაინტერესებაზე წერდა. მოგეხსენებათ, „ქალაქელებმა“ „ვიოლას“ დიდი ხანი არ არის გასული, რაც **სტევან იოვეტიჩიც** წაართვეს. სერბს მოქმედი კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულზე უმთავრდება და ჯერჯერობით ახალზე ხელმოწერას სასიკეთო პირი არ უჩანს. ფლორენციელთა სპორტულ დირექტორ **დანილ პრადეს** უკვე ეჭვი ეპარება, რომ ამ საქმისგან რამე გამოვა. „ლიაიჩის აგენტისა *და ჩვენი შეხვედრა ნამდვილად დაგეგმილია, მაგრამ სიმართლე ითქვას გუნდში მხოლოდ ისეთი მოთამაშეები გვჭირდება, რომლებიც დაინტერესებულები არიან ჩვენთან თამაშით,“* - აცხადებს პრადე. თუკი სიტუაცია არ შეიცვალა, „ფიორენტინა“ იძულებული გახდება კიდევ ერთ წამყვან ფეხბურთელს შეელიოს. ლიაიჩის შეძენას ცდილობს „მილანიც“, თუმცა გუშინდელი იტალიური პრესა ამტკიცებდა, რომ ფეხბურთელმა „როსონერის“ მოლაპარაკებებზე უარი უთხრა.

### სინკლერი ალბათ წავა

„მანჩესტერ სიტის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი **მარკ ჰიუზი** დაუკავშირდა და **სკოტ სინკლერის** ტრანსფერზე მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. მოგეხსენებათ, უელსელი სპეციალისტი „სტოკ სიტიში“ 2012/13 წლების სეზონის დასრულებისთანავე დაინიშნა. „მეთიხეთა“ გარდა 24 წლის ნიჭიერი ინგლისელის გადაბირება სურთ „ევერტონს“, „ნიუკასლსა“ და „ვესტ ბრომვიჩს“, ასევე „სუონსის“, სადაც სკოტმა 2010/12 წლები გაატარა და სახელი მოიხვეჭა. სინკლერის შეძენა მსურველს 6 მილიონი ფუნტი დაუჯდება, იმდენივე, რაც მასში „სიტიმ“ გადაიხადა.

### ლეგენდა დაფასდება

19 ივლისს „მანჩესტერ სიტის“ ლეგენდარული მეკარე **ბერტ ტრაუტმანი** ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 89 წლისა გარდაიცვალა. ორიოდე დღის წინ „ქალაქელების“ გულშემატკივართა მოზრდილმა ჯგუფმა კლუბის ხელმძღვანელობას წერილი მისწერა, სადაც „ეტიჰადის“ ერთ-ერთი ტრიბუნისთვის ღვაწლმოსილი გერმანელის სახელის მინიჭება მოითხოვეს. „სიტის“ ვებგვერდის ინფორმაციით, ინიციატივამ დიდი მოწონება დაიმსახურა და ახალ სეზონში გუნდის პირველივე საშინაო შეხვედრაზე ეს ოფიციალურად დამტკიცდება.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

### სოლდადო: ვალენსიას მატყუარა პრეზიდენტი ჰყავს

**რობერტო სოლდადოს** ტრანსფერი „ვალენსიადან“ „ტოტენჰემში“ 1 აგვისტოს განხორციელდა, 28 წლის ფორვარდში ლონდონური კლუბი 30 მილიონ ევროს გადაიხდის. ერთი დღეც არ გასულა, რომ ინგლისში ჩასულმა ფეხბურთელმა სასტიკად გააკრიტიკა კლუბის ახალი პრეზიდენტი **ამადეო სალვიო**

*„მე არ მჯერა სალვიოს პროექტების. ის ძალიან ბევრს იტყუება და ნაკლებს ასრულებს. იცით, მასთან პირველივე სერიოზული საუბრის შემდეგ მივხვდი ვისთან მქონდა საქმე და კლუბის დატოვება გადავწყვიტე. სწორედ მისი სიცრუის გამო ჩემზე და ჩემს აგენტებზე პრესაში ათასი სიბინძურე იწერებოდა“,* - განაცხადა „ტოტენჰემის“ ახალწვეულმა.

### ტელიომ ბარსასთან კონტრაქტი 2018 წლამდე გააგრძელა

„ბარსელონამ“ ხელშეკრულება გაუგრძელა 22 წლის ფორვარდ **კრისტიან ტელიოს**. ფორვარდი **ხერარდო მარტინოს** გეგმებში ჯდება. ამიტომაც ის „ბარსაში“ 2018 წლის ზაფხულამდე დარჩება.

კატალონიელმა შარშანდელ სეზონში 34 მატჩში 8 გოლი გაიტანა, ის დეკემბერში გახდა პირველი გუნდის ფეხბურთელი, როდესაც „ბარსასთან“ კონტრაქტი გააფორმა.

ტელიო 11 წლიდან იზრდებოდა „ბარსელონას“ აკადემიაში, მაგრამ შემდეგ „ესპანიოლში“ წავიდა და 2010-ში დაბრუნდა.

დეკემბერში გაფორმებულ კონტრაქტს ვადა 2014 წელს უსრულდებოდა, ახლის მიხედვით ტელიოს გამოსასყიდი თანხა 25 მილიონი ევროა. ხერარდო მარტინო ტელიოში სისწრაფესა და ფიზიკურ მონაცემებს აფასებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


კრისტიან ტელიო

ბრაზილია. სერია A. X ტური

# ახალი ცოცხი კარგად გვის

## როცა ამხანაგური მატჩის გამო ჩემპიონატი ზარალდება

ბრაზილიის ჩემპიონატის მეათე ტურში მოხდა ის, რასაც უკვე შევეჩვიეთ - პირველ ადგილზე მყოფმა გუნდმა ქულები დაკარგა და ლიდერობა დათმო...

**ფლუმინენსე–კრუზეირო 1:0**

გოლი: 1:0 ფრედი (78)

**ატლ. მინეირო–ატლ. პარანაენსე 1:2**

გოლები: 1:0 ბერნარდი (80), 1:1 ევერტონი (86), 1:2 ედერსონი (88)

გაძევება: ბერნარდი (81. ატლეტიკო მინეირო)

**პორტუგეზა–კრისიუმა 1:1**

გოლები: 1:0 ბრუნო ენრიკე (68), 1:1 ელტონი (90)

**კორიტიბა–პონტე პრეტა 5:3**

გოლები: 0:1 ვილიამი (4), 1:1 ლინკოლნი (24), 2:1 რობინიო (27), 2:2 ბარაკა (46), 2:3 ვილიამი (49), 3:3 ალექსი (56), 4:3 ლინკოლნი (59), 5:3 რობინიო (88)

**კორინთიანსი–გრემიო 2:0**

გოლები: 1:0 ემერსონ შეიკი (34), 2:0 პატო (81)

**ბაია–ფლამენგო 3:0**

გოლები: 1:0 ფერნანდაო (29), 2:0 ვალისონი (45), 3:0 მარკინიოს გაბრიელი (77)

**ბოტაფოგო–ვიტორია 2:0**

გოლები: 1:0 ვიტინიო (32), 2:0 ელიასი (80)

**გოაისი–ვასკო 1:1**

გოლები: 0:1 პედრო (16), 1:1 ვალტერი (88-პენ)

**ინტერნასიონ.-სანტოსი გადაიდო**

**ნაუტიკო-სან პაულო გადაიდო**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოტაფოგო | 10 | 6 | 2 | 2 | 15-8 | 20 |
| 2. კორიტიბა | 10 | 5 | 5 | 0 | 17-11 | 20 |
| 3. ბაია | 11 | 5 | 4 | 2 | 13-10 | 19 |
| 4. კრუზეირო | 10 | 5 | 3 | 2 | 22-9 | 18 |
| 5. ინტერნასიონ. | 10 | 5 | 3 | 2 | 18-15 | 18 |
| 6. ვიტორია | 10 | 4 | 3 | 3 | 14-11 | 15 |
| 7. გრემიო | 10 | 4 | 3 | 3 | 11-10 | 15 |
| 8. კორინთიანსი | 10 | 3 | 5 | 2 | 8-5 | 14 |
| 9. ვასკო და გამა | 10 | 4 | 2 | 4 | 15-18 | 14 |
| 10. ატლ. პარანაენსე | 10 | 3 | 4 | 3 | 18-18 | 13 |
| 11. გოაისი | 10 | 3 | 4 | 3 | 9-13 | 13 |
| 12. ფლუმინენსე | 10 | 4 | 0 | 6 | 13-15 | 12 |
| 13. სანტოსი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-10 | 12 |
| 14. კრისიუმა | 10 | 3 | 2 | 5 | 13-18 | 11 |
| 15. პონტე პრეტა | 9 | 3 | 1 | 5 | 12-15 | 10 |
| 16. ატლ. მინეირო | 9 | 3 | 1 | 5 | 9-13 | 10 |
| 17. ფლამენგო | 10 | 2 | 4 | 4 | 9-12 | 10 |
| 18. სან პაულო | 11 | 2 | 3 | 6 | 11-14 | 9 |
| 19. პორტუგეზა | 10 | 1 | 5 | 4 | 11-16 | 8 |
| 20. ნაუტიკო | 9 | 2 | 1 | 6 | 7-16 | 7 |

ბომბარდირები: 7 - ბიანკუჩი (ვიტორია); 6 - ალექსი (კორიტიბა), ვილიამი (პონტე პრეტა); 5 - ედერსონი (ატლეტიკო პარანაენსე), ფორლანი (ინტერნასიონალი), ფერნანდაო (ბაია)

### ლიდერი კიდევ ერთხელ შეიცვალა

ჩემპიონატის ლიდერი „კრუზეირო" გასვლაზე „ფლუმინენსეს" ეთამაშა და მინიმალური ანგარიშით წააგო. შეხვედრის ერთადერთი გოლი მატჩის 78-ე წუთზე **ფრედმა**, ახალგაზრდა **კენედის** გადაცემის შემდეგ გაიტანა. ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი კინალამ ანტიგმირი გახდა, რადგან 45-ე წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა, თუმცა დანაშაული მეორე ნახევარში მაინც გამოისყიდა და ჩემპიონატში მეორე გოლი გაიტანა.

ამ შეხვედრაში „ფლუს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დებიუტი ჰქონდა **ვანდერლეი ლუშემბურგოს** და როგორც ხედავთ, ცნობილი გამოთქმა: „ახალი ცოცხი კარგად გვის", ამჯერადაც გამართლდა. ბრაზილიის ჩემპიონმა 5-მატჩიანი წაგებათა სერია დაასრულა და გასავარდნი ზონიდან სატურნირო ცხრილის შუაში გადაინაცვლა.

პირველ ადგილზე კი (დროებით) „კორიტიბა" გადავიდა, რომელმაც „პონტე პრეტასთან" საოცარი მატჩი ჩაატარა. პირველობის ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი სტუმართან ორჯერ აგებდა, მაგრამ პარანას შტატის წარმომადგენლებმა ორივეჯერ არა მარტო ანგარიში გაათანაბრეს, არამედ დაწინაურებაც შეძლეს.

შესანიშნავი მატჩი ჩაატარეს „კორიტიბას" ვეტერანებმა - 34 წლის **ლინკოლნმა** დუბლი შეასრულა და გარდა ამისა, „შალკეს" ყოფილმა ლიდერმა საგოლე პასიც გააკეთა, 35 წლის **ალექსმა** კი მორიგი, უკვე მე-6 გოლი გაიტანა. მასპინძელთა მხრიდან ასევე გამოირჩა **რობინიო**, ვინც ლინკოლნის მსგავსად, ასევე ორი გოლი გაიტანა.

„პონტე პრეტას" შემადგენლობაში კარგი მატჩი ჩაატარა **ვილიამმა** - პაულისტას ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ასევე დუბლი შეასრულა, თუმცა ეს მის გუნდს არ ეყო.

### ბაია ალარ ხუმრობს

ბრაზილიის 2-გზის ჩემპიონმა წაუგებელი სერია 5-მდე გაზარდა და სამეულში დამკვიდრდა. „ბაიას" მორიგი მსხვერპლი გახდა „ფლამენგო", რომელთანაც, სხვათა შორის, სალვადორის გუნდმა ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა მოიპოვა - აქამდე, ორივე კლუბს 10-10 მოგება ჰქონდა.

მასპინძელთა მხრიდან თავი სამივე შემტევმა გამოიჩინა. **ფერნანდოსთვის** აღნიშნული გოლი მეხუთე იყო და 26 წლის ფორვარდი ბომბარდირთა დავაში **დიეგო ფორლანს** და **ედერსონს** წამოეწია, ვინც ამ ტურში ასევე გაიტანა.

„ფლამენგო" **მანო მენეზეშის** ხელში თითქოს გამოცოცხლდა, მაგრამ ბოლო პერიოდში ბრაზილიის ყველაზე პოპულარულ გუნდს ისევ ჩავარდნა დაეწყო და „მენგო" კვლავ ცხრილის მეორე ნახევარში, მეტიც, გასავარდნ ზონაში იმყოფება.

### ატლეტიკოების დერბი

„ფლას" მხოლოდ მეტი მოგების ხარჯზე უსწრებს სამხრეთ ამერიკის საუკეთესო კლუბი, რომელიც მორიგ ტურში სეხნიასთან დამარცხდა. „ატლეტიკო მინეირო" **რონალდინიოს** გარეშე, მაგრამ ძირითადი შემადგენლობით ასპარეზობდა და მიუხედავად იმისა, რომ „მამლებმა" დაწინაურება მე-80 წუთზე შეძლეს, **კუკას** გუნდი მაინც უქულოდ დარჩა.

მასპინძლები **ბერნარდმა** დააწინაურა, თუმცა იქვე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და „ატლეტიკო მინეირო" 10 კაცით დარჩა. მატჩის დასრულებამდე დარჩენილ 10 წუთში, „ატლეტიკო პარანაენსემ" არა მარტო ანგარიში გაათანაბრა, არამედ წინ გასვლაც მოახერხა. თავი ევერტონმა და ედერსონმა გამოიჩინეს, თუმცა მათთან ერთად **ზეზინიოც** უნდა გამოვყოთ, ვინც ორივე ფეხბურთელს საგოლე პასი გაუკეთა.

„კორინთიანსმა" „გრემიოს" ბოლო 6 საშინაო მატჩიდან მეხუთედ მოუგო და ცხრილში მის მეზობლად დამკვიდრდა. ანგარიში 34-ე წუთზე **ემერსონ შეიკმა** გახსნა, საბოლოო შედეგი კი მეორე ტაიმში, ცვლილებაზე შემოსულმა **ალეშანდრე პატომ** დააფიქსირა. „მილანის" ყოფილი ფორვარდის ანგარიშზე უკვე 4 გოლია, თანაც პატომ ეს 4 ბურთი ბოლო 5 შეხვედრაში გაიტანა.

ამ ტურში ორი საკმაოდ საინტერესო მატჩი გადაიდო - „ინტერნასიონალი"-"სანტოსი" და „ნაუტიკო"-"სან პაულო" კომერციული ამხანაგური შეხვედრების გამო სხვა დროს გაიმართება. „სანტოსი" დღეს „ბარსელონას" ეთამაშება, „სან პაულო" კი გუშინ „მილანს" შეხვდა, ხვალ კი „ბენფიკას" უნდა დაუპირისპირდეს.

**ტატო ბაციკაძე**



„ფლუმინენსემ" წაგებათა სერია ფრედის გოლის წყალობით შეწყვიტა

ვერდერი


შეხლა-შემოხლა ვერდერის ვარჯიშზე

# დაკა-დაკა ბრემენში

## ჰანტი და ექიჩი ერთმანეთს დაეტაკნენ

ბრემენის „ვერდერში" ემოციები დუღს. ვარჯიშზე **აარონ ჰანტმა** და **მეჰმეთ ექიჩიმ** ერთმანეთისკენ გაიწიეს და რომ არა თანაგუნდელთა სწრაფი რეაქცია, მათ შორის ხელჩართული ჩხუბი გაიმართებოდა. ვითარება ორმხრივი თამაშის დროს, გოლის შემდეგ დაიძაბა: ექიჩიმ ჰანტისკენ გაიწია, ხელითაც მისწვდა, მაგრამ მათ შორის მაშინვე **ნილს პეტერსენი** და **ასანი ლუკიმია** ჩადგნენ და მომხვდურები გააშველეს.

ვარჯიშის შემდეგ ჰანტმა მომხდარზე კომენტარის გაკეთებს არ ისურვა, ექიჩიმ კი აი, რა თქვა: *„ასეთი ფაქტებიც ვარჯიშის და ზოგადად ფეხბურთის ნაწილია. ქალები ხომ არ ვართ? კაცები ვართ და ასეთებიც ხდება ხოლმე. უბრალოდ, კონკრეტულ მომენტზე განსხვავებული მოსაზრებები გვქონდა, რასაც მცირეოდენი აგრესიაც დაემატა. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, პირიქით, ეს იმას ნიშნავს, რომ მონდომებულები ვართ."*

ვარჯიშის შემდეგ „ვერდერის" მთავარმა მწვრთნელმა **რობინ დუტმა** ჰანტი და ექიჩი თავის კაბინეტში დაიბარა და ორივეს ესაუბრა. მართალია, აარონს და მეჰმეთს ერთმანეთისთვის ხელი არ ჩამოურთმევიათ, მაგრამ ბრემენული კლუბის ბაზა ღიმილიანი სახეებით დატოვეს.

*„ჰანტი და ექიჩი ერთ გუნდში თამაშობდნენ, ჩხუბი კი ტაქტიკურ საკითხზე მოუვიდათ. მეც ვფიქრობ, რომ მომხდარი ნორმალური მოვლენაა. ორივეს ვუთხარი, უმჯობესია, აგრესია თქვენთვის შეინახოთ, ჯანსაღ დისკუსიას კი ყოველთვის მივესალმები-მეთქი,"* - ეს 48 წლის დუტის სიტყვებია.

### კონტენტო ვერდერში?

გუშინ გავრცელებული ცნობების თანახმად, „ვერდერმა", შესაძლოა, „ბაიერნის" მარცხენა მცველი **დიეგო კონტენტო** გადაიბიროს. 23 წლის წარმოშობით იტალიელ ფეხბურთელს მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტი 2016 წლამდე აქვს გაფორმებული და ბავარიელებს ის მხოლოდ სათადარიგოთა სკამისთვის სჭირდებათ. კონტენტო „ბაიერნში" **დავიდ ალაბას** შემცვლელია და რაკი მიუნხენელებს სხვა მარცხენა მცველი არ ჰყავთ, კონტენტოს იოლად არ დათმობენ. ბრემენული კლუბის სპორტული დირექტორი **თომას აიხინი** კონტენტოთი დაინტერესებას ოფიციალურად ადასტურებს. „ვერდერში" მას ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული ექნება, რადგან ბრემენელები მარცხენა მცველის პოზიციაზე **ლუკას შმიტცს** ათამაშებდნენ, რომელიც ახლა ტრავმირებულია...

**გოტფრიდ ლენცი**

ტრანსფერი

# მიშელ ბასტოსი არაბეთში გარბის

ნახევარწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ბრაზილიელი გარემარბი **მიშელ ბასტოსი** „შალკეს" ტოვებს! 29 წლის გარემარბი კარიერას არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, კერძოდ, „ალ აინში" გააგრძელებს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბასტოსი, რომელიც „შალკეში" „ლიონიდან" იყო განათხოვრებული, „ალ აინთან" ყველაფერზე შეთანხმდა და არაბებს მისი ტრანსფერი 4 მილიონი ევრო უჯდებათ.

„შალკესთან" საარენდო ხელშეკრულებას ვადა 2014 წლამდე ჰქონდა. გელზენკირხენელებს მისი შესყიდვის უპირატესი უფლებაც ჰქონდათ, რაზეც, როგორც ჩანს, უარს ამბობენ. ფაქტია, რომ „შალკემ" **კრისტიან კლემენსი** სწორედ ბასტოსის პოზიციისთვის შეიძინა და ბრაზილიელი ალარ სჭირდება.

**გოტფრიდ ლენცი**


მიშელ ბასტოსი შალკეში არენდით თამაშობდა

ქართული ბიბლიოთეკა

სერია A. ტრანსფერები

# ტოპ-10-ის ტრანსფერები

## ვინ, სად, საიდან

სატრანსფერო ფანჯარა აგვისტოს ბოლომდე (უფრო ზუსტად, 2 სექტემბრამდე) ღიაა, თუმცა იტალიურმა კლუბებმა უკვე ბევრი მოასწრეს და ხმაურიანი ტრანსფერებიც გაჩარხეს. ამ მხრივ ყველაზე აქტიურნი „იუვენტუსი" და „ნაპოლი" არიან, თუმცა დიდად მათ არც „ფიორენტინა" ჩამორჩება. ქვემოთ, უკვე შემდგარ ტრანსფერებს გაგაცნობთ, ყურადღებას კი გასულ სეზონში, პირველ 10 ადგილზე გასულ გუნდებზე შევაჩერებთ. სწორედ ეს გუნდები უმიზნებენ მაღალ ადგილებს მომდევნო სეზონშიც და რაც მთავარია, საინტერესო ტრანსფერებსაც ესენი ჩარხავენ. დანარჩენზე ქვემოთ...

### იუვენტუსი

**წავიდნენ:** იაკვინტა (თავ. აგენტი), ანელკა (თ.ა.), ბენდტნერი (არსენალი, ინგლისი), გაბიადინი (სამპდორია 5.5 მლნ.), იმობილე (ტორინო), ძაძა (სასუოლო), ჯაკერინი (სანდერლენდი, ინგლისი 7.5 მლნ.).

**მივიდნენ:** ლორენტე (ატლეტიკი, ესპანეთი), პელუზო (ატალანტა 4.8 მლნ.), მაზი (ტერნანა), ტევესი (მან. სიტი, ინგლისი 12 მლნ.), ოგბონა (ტორინო 12 მლნ.), ბუაჩი (სასუოლო).

### ნაპოლი

**წავიდნენ:** კამპანიარო (ინტერი), რინაუდო (თ.ა), როლანდო (პორტუ, პორტუგალია), გრავა (სასუოლო), როზატი (სასუოლო), ელ ქადური (ტორინო), სანტანა (ჯენოა), კავანი (პსჟ, საფრანგეთი 64.5 მლნ.), დე სანკტისი (რომა).

**მივიდნენ:** ვარგასი (გრემიო, ბრაზილია), გარგანო (ინტერი), არმერო (უდინეზე 4 მლნ.), მერტენსი (პსვ, ჰოლანდია 9.7 მლნ.), რაფაელი (სანტოსი, ბრაზილია 5.5 მლნ.), დოსენა (პალერმო), ფერნანდესი (ხეტაფე, ესპანეთი), ჰოფერი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), უვინი (სიენა), დუმიტრუ (ჩიტადელა), ფიდელეფი (მაკაბი, ისრაელი), ვიტალე (ტერნანა), სანტანა (ტორინო), კალეხონი (რეალი, ესპანეთი 9.5 მლნ.), ალბიოლი (რეალი, ესპანეთი 12 მლნ.), იგუაინი (რეალი, ესპანეთი 37 მლნ.), რეინა (ლივერპული, ინგლისი).

### მილანი

**წავიდნენ:** იეპესი (თ.ა), ამბროზინი (თ.ა.), კრკიჩი (ბარსელონა, ესპანეთი), ფლამინი (თ.ა.), შტრასერი (ჯენოა 4 მლნ.).

**მივიდნენ:** ბერგარა (პოპაიანი, კოლუმბია 2 მლნ.), საპატა (ვილიარეალი, ესპანეთი 6 მლნ.), საპონარა (ემპოლი 4 მლნ.), ემანუელსონი (ფულჰემი, ინგლისი), პოლი (სამპდორია 3 მლნ.), სილვესტრი (ინტერი).

### ფიორენტინა

**წავიდნენ:** ვივიანო (პალერმო), ტონი (თ.ა.), ლარონდო (სიენა), სისოკო (პსჟ, საფრანგეთი), მილიაჩო (პალერმო), იოვეტიჩი (მან. სიტი, ინგლისი 26 მლნ.), ლარონდო (სიენა), სეფეროვიჩი (სოსიედადი, ესპანეთი 3 მლნ.), კამპორეზე (ჩეზენა).

**მივიდნენ:** იაკოვენკო (ანდერლეხტი, ბელგია), მარკოს ალონსო (ბოლტონი, ინგლისი), მუნუა (ლევანტე, ესპანეთი), ხოაკინი (მალაგა, ესპანეთი 2 მლნ.), ვარგასი (ჯენოა), ოლივერა (ჯენოა), კასანი (ჯენოა), ვესინო (ნასიონალი, ურუგვაი), გომესი (ბაიერნი, გერმანია 21 მლნ.), ბაკიჩი (ტორინო), ამბროზინი (თ.ა.), ილიჩიჩი (პალერმო 9 მლნ.).

### უდინეზე

**წავიდნენ:** პადელი (ტორინო), არმერო (ნაპოლი 4 მლნ.), ბენატია (რომა 13.5 მლნ.), კამპოსი (ერკულესი, ესპანეთი).

**მივიდნენ:** ბუბნიჩი (სლოვანი, ხორვატია 1.5 მლნ.), მლინარი (ინტერი, ხორვატია 1 მლნ.), ფერნანდეში (ნოვარა 2.5 მლნ.), კოდა (პარმა), ფანდოში (უოტფორდი, ინგლისი), კელავა (დინამო, ხორვატია), ფაბრინი (პალერმო), ლოპესი (რომა), ჟადსონი (ბოტაფოგო, ბრაზილია 2.5 მლნ.), უიდმერი (გრანადა, ესპანეთი), ვიდრა (უოტფორდი, ინგლისი), ბენუსი (პალერმო).

### რომა

**წავიდნენ:** სტეკელენბურგი (ფულჰემი, ინგლისი (5.6 მლნ.), ტაჩტიდისი (ჯენოა 3 მლნ.), პეროტა (კარიერა დაასრულა), ლოპესი (უდინეზე), მარკინიოსი (პსჟ, 31 მლნ.), პირისი (მალდონადო, პარაგვაი), გოიკოეჩეა (დანუბიო, ურუგვაი).

**მივიდნენ:** ვერე (ჯენოა 2.5 მლნ.), კაპრარი (პესკარა 2 მლნ.), ნეგო (სტანდარდი, ბელგია), ბორიელო (ჯენოა), ბენატია (უდინეზე 13.5 მლნ.), კაპრარი (პესკარა), სკორლუსკი (გორნიკი, პოლონეთი), ედვაი (დინამო, ხორვატია), სტროტმანი (პსვ, ჰოლანდია 17 მლნ.), მაიკონი (მან. სიტი, ინგლისი), დე სანკტისი (ნაპოლი).

### ლაციო

**წავიდნენ:** დიაკიტე (სანდერლენდი, ინგლისი), გარიდო (ნორვიჩი, ინგლისი 1.5 მლნ.), ფოჯა (თ.ა.), ბროკი (კარიერა დაასრულა), სარატე (ველესი, არგენტინა), საა (თ.ა.).

**მივიდნენ:** პერეა (დეპორტივო, კოლუმბია 2 მლნ.), ნოვარეტი (ტულუკა, მექსიკა), ფელიპე ანდერსონი (სანტოსი, ბრაზილია 8 მლნ.), ბილია (ანდერლეხტი, ბელგია 7 მლნ.), სკული (პესკარა), ვინისიუსი (კრუზეირო, ბრაზილია), ეპეცი (ჰაიდუკი, ხორვატია).

### კატანია

**წავიდნენ:** აუგუსტინი (თ.ა.), პოტენცა (თ.ა.), რიკიუტი (თ.ა.), მარკეზე (ჯენოა), მარტინო (ვერონა), ლოდი (ჯენოა), პალიალუნგა (სარაგოსა, ესპანეთი), ჩანი (კარპი), ტერაჩანო (აველინო), შაკა (ტერნანა).

**მივიდნენ:** ლეტო (პანათინაიკოსი, საერძნეთი), დომბერი (ბანსკა ბისტრიცა, სლოვენია), ფრიზონი (ვიჩენცა), ლუჩინო (ვარეზე), რიცო (აველინო), მონსონი (ფლუმინენსე, ბრაზილია), ფრეირე (ველესი, არგენტინა), კატელანი (სასუოლო).

### ინტერი

**წავიდნენ:** გარგანო (ნაპოლი), დონატი (ბაიერი, გერმანია 3 მლნ.), როკი (თ.ა.), ბენასი (ლივირნო), ბარდი (ლივირნო), კასანო (პარმა), სტანკოვიჩი (თ.ა.), სილვესტრი (მილანი).

**მივიდნენ:** კამპანიარო (ნაპოლი), ლაკსალტი (დეფენსორი, ურუგვაი 2.3 მლნ.), ბოტა (ტიგრე, არგენტინა), ანდრეოლი (კიევო), მუდინგაი (ბოლონია), იკარდი (სამპდორია 13 მლნ.), დუნკანი (ლივირნო), ბიანკეტი (ვერონა), მარიგა (პარმა), ლონგო (ესპანიოლი, ესპანეთი), ბელფოდილი (პარმა 7.5 მლნ.).

### პარმა

**წავიდნენ:** პეპე (ფეიენოორდი, ჰოლანდია 3 მლნ.), პაბონი (მონტერეი, მექსიკა 4.8 მლნ.), მარიგა (ინტერი), ბონიპერტი (ემპოლი), შტრასერი (მილანი 4 მლნ.), კოდა (უდინეზე), ბელფოდილი (ინტერი 7.5 მლნ.).

**მივიდნენ:** პედრუ მენდეში (სპორტინგი, პორტუგალია), ანტონისი (სიდნეი, ავსტრალია), შარიჩი (ინტერი, ხორვატია), ჩიბსა (სასუოლო), ბროსკო (პესკარა), როსი (ჩეზენა), პაონესა (კროტონე), იაკობუჩი (სპეცია), კასანო (ინტერი), ფელიპე (ფიორენტინა), იანკოვიჩი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), ბიდაუი (ლიერსი, ბელგია), მუნარი (სამპდორია), პილიაჩელი (სასუოლო).



გონსალო იგუაინი „ნაპოლიში" 37 მილიონ ევროდ გადავიდა

სასჯელი



სტეფანო მაური 6 თვე ვერ ითამაშებს

# სტეფანო მაური 6 თვით მოკვეთეს

ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ, რომ გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებით იტალიაში ახალი სკანდალი აგორდა, რაც ყველაზე მეტ საფრთხეს „ლაციოს" უქმნიდა. იყო ვარაუდი, რომ რომაულ გუნდს 6 ქულას დააკლებდნენ და „არწივები" ახალ ჩემპიონატს მინუსიდან დაიწყებდნენ. რეალობა სხვაგვარი გამოდგა - სადისციპლინო კომიტეტმა „ლაციოს" ფინანსური სანქცია დააკისრა, **სტეფანო მაურის** კი 6-თვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. მართალია, კაპიტნის ნახევარწლიანი მოკვეთა სახუმარო ამბავი არაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ 33 წლის ნახევარმცველს 4.5 - წლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა, სასჯელი ამ მხრივაც მსუბუქად უნდა მივიჩნიოთ.

ერთი სიტყვით, „ლაციო" გადარჩა, კლუბის პრეზიდენტი კი, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, განაჩენის გასაჩივრებას არ აპირებს - მოვუსმინოთ **კლაუდიო ლოტიტოს:** *„ვფიქრობ, „ლაციოსთვის" ქულების დაკლება მთლიანად ჩემპიონატისთვის იქნებოდა ცუდი, რადგან ყველა გუნდი თანაბარ პირობებში უნდა იყოს. სტეფანო მაურის უდანაშაულობაში ღრმად ვარ დარწმუნებული, მაგრამ რეალობას უნდა შევეგუოთ და სასჯელი ერთად გადავიტანოთ. სტეფანო სეზონის დასკვნით ნაწილში ძალიან დაგვჭირდება".*

პოზიცია

# როსის მიზანი მუნდიალია

იტალიელ საფეხბურთო ექსპერტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სერია A-ს მომდევნო გათამაშებაში „ფიორენტინა" მინიმუმ სამეულში მოსახვედრად იბრძოლებს, „იუვეს" მთავარმა მწვრთნელმა **ანტონიო კონტემ** კი „ვიოლა" სკუდეტოს მაძიებლად დაასახელა. დაახლოებით ანალოგიური რამ თქვა ლეგენდარულმა მეკარე **დინო ძოფმა**, რომელმაც „იუვენტუსთან" და „ნაპოლისთან" ერთად, ჩემპიონობის პრეტენდენტად სწორედ ფლორენციული გუნდი დაასახელა. დიდი ავანსებია გაცემული **ჯუზეპე როსისა** და **მარიო გომესის** ტანდემზე - პირველს უფრო სიღრმიდან ეხერხება თამაში, ხოლო მეორე კლასიკური დამგვირგვინებელია. „კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტი 26 წლის როსის გაესაუბრა, მის ნააზრევს კი ქვემოთ გაეცნობით:

*„კონკრეტული მიზანი ჩვენთვის არავის დაუსახავს და ვფიქრობ, ეს საქმისადმი სწორი მიდგომაა. თითოეულ შეხვედრაში მოედანზე მოსაგებად უნდა გავიდეთ და რა მნიშვნელობა აქვს, სეზონის სტარტზე სკუდეტოს დავუმიზნებთ თუ ჩემპიონთა ლიგის ზონას. ეს დამატებითი წნეხია, რომელსაც კარგი არაფერი მოაქვს. დარწმუნებული ვარ, „ფიორენტინა" მაღალი დონის ფეხბურთს ითამაშებს და ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება. მარიო გომესთან თამაში ერთი სიამოვნებაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ფიორენტინაში" კიდევ არიან მაღალი კლასის შემტევები; თუნდაც ადემ ლიაიჩი და იოსიპ ილიჩიჩი, რომლებსაც ზედმეტი წარდგენა არ სჭირდებათ. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩემი მიზანი იტალიის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება და მუნდიალზე გამგზავრებაა. „სკუადრა აძურას" მაისურა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩეზარე პრანდელის ნდობა მოვიპოვო. ამისთვის სწორედ „ფიორენტინაში" კარგად ასპარეზობაა საჭირო და ამად არის, რომ ვარჯიშებზე თავს არ ვზოგავ".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ჯუზეპე როსი ნაკრებში დაბრუნებაზე ოცნებობს

ეროვნული

● ბაიერნი

# აუდის თასი და პეპის 11 კაცი

## ლამზე ექსპერიმენტები დამთავრებულია, შვაინშტაიგერი ძირითადში, მანჯუკიჩი სკამზე, ჩანი ლევერკუზენში მიდის...


ბასტიან შვაინშტაიგერი აუდის თასით

### აუდის თასი

**1/2 ფინალი**

**ბაიერნი-სან პაულო 2:0**

**გოლები:** 1:0 მანჯუკიჩი (55), 2:0 ვაიზერი (86)

**ბაიერნი (4-1-4-1):** ნოიერი - რაფინია (90. შმიტცი), დანტე (64. ვან ბუიტენი), ხავი მარტინესი (64. ბოატენგი), ალაბა (90. ჰოიბერგი) - შვაინშტაიგერი (64. კირხჰოფი) - რობენი (59. თ. მიულერი), ლამი (72. ვაიზერი), კროოსი (67. შაჩირი), რიბერი (78. გრინი) - პისარო (46. მანჯუკიჩი).

**სან პაულო (4-1-2-1-2):** როჟერიო სენი - დუგლასი (69. ლუკას სილვა), რაფაელ ტოლოი (69. ლუკას ფარიასი), პაულუ მირანდა (13. ედსონ სილვა), რეინალდო - როდრიგო (56. მაიკონი) - ველინგტონი, ფაბრისიო (64. ლუკას ევანჟელისტა) - ჟადსონი (54. ადემილსონი) - ალოიზიო (78. სილვინიო), ოსვალდო (46. განსო).

**შენიშვნა:** 88-ე წუთზე როჟერიო სენიმ (სან პაულუ) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**გაფრთხილება:** კროოსი - ველინგტონი

**მაყურებელი:** 60 000

**მანჩესტერ სიტი-მილანი 5:3**

**გოლები:** 1:0 სილვა (4), 2:0 მ. რიჩარდსი (19), 3:0 კოლაროვი (22), 4:0 ჯეკო (32), 5:0 ჯეკო (36), 5:1 ელ შაარავი (37), 5:2 ელ შაარავი (39), 5:3 პეტანია (43)

**მანჩესტერ სიტი (4-2-2-1-1):** ჰარტი - მ. რიჩარდსი, ლესკოტი, ხავი გარსია, კოლაროვი - ფერნანდინიო (46. როდუელი), იაია ტურე - ხესუს ნავასი (46. ნასრი), სილვა (63. მილნერი) - იოვეტიჩი (46. ნეგრედო) - ჯეკო (63. ბერი).

**მილანი (4-1-2-1-2):** ამელია (46. გაბრიელი) - ანტონინი, ძაკარდო, ვერგარა (73. კრისტანტე), კონსტანტი (65. ემანუელსონი) - ნ. დე იონგი (74. პაჩიფიკო) - ტრაორე (46. ნოჩერინო), მუნტარი (65. პოლი) - ბოატენგი (79. პინატო) - ელ შაარავი, პეტანია (46. ნიანგი).

**მაყურებელი:** 35 000

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

**მილანი-სან პაულო 1:0**

**გოლი:** 1:0 კინგსლი ბოატენგი (53)

**მილანი (4-2-1-3):** ამელია - ძაკარდო, ნოჩერინო, პაჩიფიკო, ემანუელსონი - ვერგარა (46. ლოტი), კრისტანტე - პოლი - პეტანია (63. კევინ-პრინს ბოატენგი), ნიანგი (70. კონსტანტი), ელ შაარავი (46. კინგსლი ბოატენგი).

**სან პაულო (4-1-2-1-2):** დენისი - ლუკას სილვა, რეინალდო, დუგლასიუ, ედსონ სილვა - როდრიგო - მაიკონი (75. ფაბრისიო), ლუკას ევანჟელისტა - განსო (62. ჟადსონი) - სილვინიო, ალოიზიო (62. რონი).

**გაფრთხილება:** პოლი - რონი

**მაყურებელი:** 20 000

**ფინალი**

**მანჩესტერ სიტი-ბაიერნი 1:2**

**გოლები:** 1:0 ნეგრედო (61), 1:1 თ. მიულერი (66-პენ), 1:2 მანჯუკიჩი (73)

**მანჩესტერ სიტი (4-2-3-1):** პანტილიმონი - საბალეტა, კომპანი, ბოიატა, კლიში - ფერნანდინიო, ბერი (46. იაია ტურე) - მილნერი, იოვეტიჩი (46. ხესუს ნავასი), ნასრი - ნეგრედო (74. ჯეკო).

**ბაიერნი (4-1-4-1):** ნოიერი - ლამი (91. ვაიზერი), ხავი მარტინესი (67. ჟერომ ბოატენგი), დანტე (67. ვან ბუიტენი), ალაბა - შვაინშტაიგერი (62. კირხჰოფი) - რობენი (56. შაჩირი), კროოსი (59. რაფინია), ტიაგო (56. მანჯუკიჩი), რიბერი - თ. მიულერი.

**გაფრთხილება:** ბოიატა

**მაყურებელი:** 69 000

„ბაიერნმა“ ახალი სეზონისთვის მოსამზადებელი პერიოდი „აუდის“ თასის მოგებით დაასრულა - მიუნხენელებმა ნახევარფინალში ბრაზილიურ „სან პაულოს“ მოუგეს (2:0), ფინალში კი „მანჩესტერ სიტი“ დაამარცხეს (2:1). ამრიგად, რეკორდმაისტერის მოსამზადებელი პერიოდი დადებითად უნდა შეფასდეს და იმის თქმაც თამამად შეიძლება, რომ **ხოსეპ გვარდიოლას** ძირითადი შემადგენლობა უკვე შერჩეული ჰყავს. მართალია, კითხვის ნიშნები ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ ჯამში „ბაიერნის“ სასტარტო შემადგენლობა უკვე ცნობილია.

გერმანიის სუპერთასის, ტესტ-მატჩების, ამხანაგური ტურნირებისა და ექსპერიმენტების კორიანტელის შემდეგ, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ „ბაიერნის“ ტაქტიკა და სავარაუდო ძირითადი შემადგენლობა გამოიკვეთა. გამოჩნდა, რომ პეპს პირველი გუნდის სამი ფეხბურთელი არ სჭირდება და დიდი შანსია, რომ მიუნხენური გრანდი სამივე მათგანმა (ალბათ უფრო არენდით) დატოვოს. **მარიო მანჯუკიჩი** საჭირო კაცია, მაგრამ ხორვატი თავდამსხმელი უკმაყოფილო ჩანს, რადგან როგორც ჩანს, გვარდიოლას 4-1-4-1 სქემაში ცენტრფორვარდად მანჯუკიჩზე მეტად **თომას მიულერი** მოსწონს.

### ჩანი ლევერკუზენში, გუსტავო და კონტენტო?

„აუდის“ თასის ფინალში, „მანჩესტერ სიტისთან“, პეპმა **დიეგო კონტენტო, ლუის გუსტავო** და **ემრე ჩანი** განაცხადში ისევ არ შეიყვანა. ეს იმას ნიშნავს, რომ გვარდიოლას ისინი არ სჭირდება. გუშინ გადაწყდა, რომ ბავარიელები 19 წლის ჩანს „ლევერკუზენში“ უშვებენ. ეს უკანასკნელი „ფარმაცევტებთან“ 2-წლიან კონტრაქტს აფორმებს, „ბაიერნმა“ კი მისი გამოსყიდვის უპირატესი უფლება დაიტოვა. შეგახსენებთ, რომ რეკორდმაისტერს თავის დროზე **ტონი კროოსიც** „ლევერკუზენში“ ჰყავდა განათხოვრებული - ამ უკანასკნელმა „ბაიერში“ არენდით 2009 წლის იანვრიდან 2010 წლის ზაფხულამდე ითამაშა, რის შემდეგაც „ბაიერნში“ ჩამოყალიბებული ვარსკვლავის სტატუსით დაბრუნდა.


ფრანკ რიბერი და მარიო მანჯუკიჩი. ხორვატ თავდამსხმელს პეპ გვარდიოლასთან პრობლემები აქვს

„ბაიერნში“ ახლა უდიდესი კონკურენციაა და ჩანს თამაშის საშუალება არ მიეცემა, „ლევერკუზენში“ კი მისი მრავალმხრივობა მოსწონთ და სათამაშო პრაქტიკას ჰპირდებიან. ემრე ჩანს დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში და ნახევარმცველობაც (საყრდენიც და შემტევიც) ეხერხება. ბავარიელებს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არც ლუის გუსტავოს თაობაზე მიუღიათ. ცნობილია, რომ რეკორდმაისტერიდან აბარგება ბრაზილიელ საყრდენ ნახევარმცველსაც უნდა - მისი გადაბირებით „ვოლფსბურგია“ დაინტერესებული.

### უკმაყოფილო, მაგრამ საჭირო მანჯუკიჩი

გვარდიოლამ მანჯუკიჩი „სან პაულუსთანაც“ შეცვლაზე ათამაშა და ძირითად შემადგენლობაში არც „მანჩესტერ სიტისთან“ გაამწესა. მიუხედავად იმისა, რომ ხორვატმა გოლი ბრაზილიურ კლუბსაც გაუტანა და ინგლისურსაც, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პეპი ძირითადში ცენტრფორვარდად არა მას, არამედ თომას მიულერს მოიაზრებს. ამის დასტურია ისიც, რომ მანჯუკიჩს სახეზე ორივე შეხვედრაში უდიდესი უკმაყოფილება ეწერა. მარიო კოლეგებს ხშირად ეკამათებოდა და ეწუწუნებოდა, პასებს ითხოვდა და არაზუსტი ჩაწოდებების შემდეგ ზედმეტად აგრესიულად საყვედურობდა. ხორვატი იმის გამოც ჩანს უკმაყოფილო, რომ „ჰამბურგთან“ სასტარტოში კი იყო, მაგრამ გვარდიოლამ მარჯვენა გარემარბად (!) გაამწესა, „დორტმუნდთან“ კი მარცხენა ფლანგზე ათამაშა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გვარდიოლას კლასიკური ცენტრალური თავდამსხმელები გულზე არ ეხატება და მანჯუკიჩის შემთხვევაში ამიტომაც მიმართა ექსპერიმენტებს, რამაც არ გაამართლა, რადგან ხორვატის ადგილი თავდასხმის ცენტრშია. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მარიო პეპთან ვერ მოძოვს...

„სან პაულოსთან“ შეხვედრაში, ერთ-ერთ მომენტში გვარდიოლამ ერთ მეტრში მდგარ მანჯუკიჩს მითითება მისცა, მაგრამ ხორვატმა ყურადღება არ მიაქცია, რაზეც ესპანელი აშკარად გაბრაზდა. მერე მანჯუკიჩმა ანგარიში გახსნა და გოლის აღნიშვნის დროს სათადარიგოთა სკამისკენ ბრაზიანი გამომეტყველებით იყურებოდა. ისე ჩანს, რომ მანჯუკიჩი ნდობის ნაკლებობას განიცდის - მას პეპი აშკარად არ აფასებს. ხორვატი თავდამსხმელისთვის აშკარად მტკივნეულია ისიც, რომ „ბაიერნთან“ მიმართებაში ყოველდღე ახსენებენ **რობერტ ლევანდოვსკის**. ერთი სიტყვით, ფაქტია, რომ მანჯუკიჩსა და გვარდიოლას კარგი ურთიერთობა არ აქვთ, რის გამოც არაა გამორიცხული, რომ ხორვატმა კლუბის გამოცვლაზე იფიქროს. თანაც, მარიოს მთხოვნელები არ აკლია...

### ძირითადი შემადგენლობა ცნობილია?

„აუდის“ თასის შემდეგ, ჩვენი გერმანელი კოლეგები დარწმუნებულები არიან იმაში, რომ „ბაიერნის“ ძირითადი შემადგენლობა ცნობილია. მოსამზადებელ პერიოდში რეკორდმაისტერმა 12 მატჩი ჩაატარა და ამ შეხვედრებში პეპი ბევრ რამეს ცვლიდა, „სიტისთან“ გამოყვანილი სასტარტო შემადგენლობა კი საბოლოო ჩანს.

როგორც ჩანს, პეპი საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ **ფილიპ ლამის** ადგილი მარჯვენა მცველის პოზიციაზეა. **მათიას ზამერის** ირიბი მოწოდებების შემდეგ, გვარდიოლამ **ბასტიან შვაინშტაიგერიც** ძირითადში დააბრუნა და 4-1-4-1 ტაქტიკურ სქემაში კლასიკურ საყრდენად სწორედ შვაინის ათამაშებს, **ტიაგო ალკანტარას** კი, რომელმაც მარტოხელა საყრდენად არ გაამართლა, შემტევი ნახევარმცველების ოთხეულში ასწევს, ოღონდ, ამ უკანასკნელს შვაინშტაიგერისთვის აქტიური მიხმარება დაევალება. ცენტრფორვარდის პოზიციაზე უკვე ვისაუბრეთ: იქ გვარდიოლა უპირატესობას თომას მიულერს ანიჭებს. **ხავი მარტინესის** დაცვის ცენტრში გადაწევაც გადაწყვეტილი ამბავი ჩანს - ესპანელი იქ **დანტეს** შეუწყვილდება, **ჟერომ ბოატენგსა** და **დანიელ ვან ბუიტენს** კი სათადარიგო ფეხბურთელების სტატუსით დაკმაყოფილება მოუწევთ.

ამ ეტაპზე სწორედ ასე ჩანს, ისე კი, „ბაიერნში“ უდიდესი კონკურენციაა, რაზეც უკვე ბევრჯერ დავწერეთ და ცხადია, რომ პეპიც როტაციას მიმართავს. მარტო **მარიო გიოტცე** რად ღირს, რომელიც, სხვათა შორის, უკვე გამოჯანმრთელდა და გუნდთან ერთად ვარჯიშს შეუდგა...

● დორტმუნდის ბორუსია


იურგენ კლოპი რობერტ ლევანდოვსკის დაელაპარაკება

# კლოპმა ლევანდოვსკი დაიბარა

ხუთშაბათისნომერში **რობერტ ლევანდოვსკის** მორიგ შეტევაზე ვწერდით - პოლონელ თავდამსხმელს დორტმუნდის „ბორუსიას“ ხელმძღვანელები კიდევ ერთხელ შემოელანძღა და დასძინა, არ ვარ დარწმუნებული, რომ მთელი სეზონის განმავლობაში კარგ ხასიათზე ვიქნებიო, რითაც ირიბად დაიმუქრა. გუშინ ლევანდოვსკის „ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** გამოეხმაურა.

*„ამ დღეებში რობერტს აუცილებლად დაველაპარაკები. თუ კიდევ რამე აქვს სათქმელი, ახლა უნდა თქვას და ამით მოვრჩეთ ამ მითქმა-მოთქმას. ეს თემა ოდესმე ხომ უნდა ამოიწუროს?“* - განაცხადა კლოპმა გერმანიის თასის პირველი რაუნდის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე. თასის პირველ ეტაპზე „ბორუსია“ „ვილჰელმსჰაფენს“ ეთამაშება, მაგრამ პრესკონფერენციის მთავარი თემა არა ეს მატჩი, არამედ სწორედ ლევანდოვსკის საგა იყო.

*„ჩემთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, თუ რას გააკეთებს ლევანდოვსკი მოედანზე, ვიდრე ის, თუ რას იტყვის პოლონურ პრესასთან საუბრისას. იმიტომ, რომ მის მიერ გაკეთებულ საქმეს სხვანაირი ინტერპრეტაცია ვერ მიეცემა, სიტყვებზე კი ბევრს მსჯელობენ ხოლმე და განცხადებებს როგორც უნდათ, ისე ატრიალებენ,“* - აცხადებს 46 წლის მწვრთნელი.

● მოსაზრება


ფელიქს მაგათი

# მაგათი: ბაიერნი ცუდად დაიწყებს

**ფელიქს მაგათი**, რომელიც თავის დროზე მიუნხენის „ბაიერნსაც“ წვრთნიდა, დარწმუნებულია, რომ რეკორდმაისტერს ახალი სეზონის სტარტზე პრობლემები შეექმნება.

*„ხოსეპ გვარდიოლა ჯერ კიდევ ძიების სტადიაშია, რის გამოც სეზონის დასაწყისში აუცილებლად პრობლემები ექნება. თუმცა იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ დროთა განმავლობაში „ბაიერნი“ გაძლიერდება და საბოლოოდ აუცილებლად გერმანიის ჩემპიონი გახდება,“* - აცხადებს მაგათი „შპორტ აინსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

60 წლის „დესპოტი ფელიქსი“ გამორიცხავს იმას, რომ „ბაიერნმა“ ჰეთთრიკი გაიმეოროს: *„ჩემი აზრით, მიუნხენელები ამჯერად ბუნდესლიგისა და გერმანიის თასის მოგებით დაკმაყოფილდებიან, ჩემპიონთა ლიგას კი ველარ მოიგებენ.“*

შეგახსენებთ, რომ ფელიქს მაგათი ბოლოს ისევ „ვოლფსბურგს“ ავარჯიშებდა, საიდანაც 2012 წელს გაათავისუფლეს და მას მერე უმუშევარია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონების თასი

# მოურინიო წარსულის წინააღმდეგ

| ჩელსი-ინტერი | 0:2 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ოსკარი (13), 2:0 (29-პენ)

**ჩელსი:** ჩეხი (46. შვარცერი), ივანოვიჩი (67. ასპილიკუეტა), კეჰილი (60. ლუისი), ტერი, კოული (73. ბერტრანი), რამირესი, ვან გინკელი (67. მიკელი), მოზესი (46. მატა), ოსკარი (46. ესიენი), აზარი (73. ტორესი), ლუკაკუ (60. ბა)

**ინტერი:** ჰანდანოვიჩი (46. კარისო), კამპანიარო, რანოკია, ნაგამოტო, პერეირა (67. ჟონატანი), კამბიასო (67. კუჟმანოვიჩი), გუარინი (76. ოლსენი), ალვარესი (68. ბელფოდილი), პალასიო (76. კაპელო), იკარდი (61. კივუ)

| რეალი-გალაქსი | 3:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 დი მარია (15), 2:0 ბენზემა (51), 2:1 ვილიარეალი (63), 3:1 ბენზემა (74)

**რეალი:** ლოპესი (78. კოლადო), კარვახალი, პეპე (46. ნაჩო), მატეოსი, ჩერიშევი, მოდრიჩი (72. ხედირა), დი მარია, იოზილი, ისკო, კაკა, რონალდო (48. ბენზემა)

**გალაქსი:** როუ, ფრანკლინი (72. კოხრეინი), დელაგარსა, ლეონარდო (46. როჯერსი), დუნივანტი (72. სორტო), ხიმენესი (46. რ. გარსია), ჟუნინიო (46. ოპარე), სარვასი (46. მასტროენი), ცარდესი (61. სტივენსი), ვილიარეალი (72. რაგი), მაკბინი (61. მეიერი)

## გაუგონარი უხეშობა

ამერიკაში გამართულ „გინესის ჩემპიონების თასზე“ „ჩელსიმ“ იოლად დაამარცხა „ინტერი“ და მომდევნო ეტაპზე უკვე „მილანს“ დაუპირისპირდება. „ნერაძური“ დროდადრო კი აქტიურობდა, მაგრამ ეს ნამდვილად არ იყო საკმარისი საერთო ჯამში ბრწყინვალედ მოთამაშე ლონდონელების გასანეიტრალებლად. **ჟოზე მოურინიოს** შეგირდებმა პორტუგალიელის ყოფილ გუნდთან კომფორტულ უპირატესობას პირველივე ტაიმში მიაღწიეს და მეორე ნახევარში მშვიდად მიიყვანეს შეხვედრა ლოგიკურ დასასრულამდე, მით უმეტეს, რომ შეხვედრის არბიტრმა 58-ე წუთზე **უგო კამპანიაროს** წითელი ბარათი აუფრიალა **ჯონ ტერის** წინააღმდეგ განზრახ უხეში თამაშისთვის. ვერ დავიჩემებთ, რომ არგენტინელ ცენტრალურ მცველს ფოლკლენდის კუნძულებისთვის 31 წლის წინ ინგლისთან წაგებული ომის ბოლმა ახრჩობდა, მაგრამ ფაქტია, რომ ტერის ზუსტად ისე გაუსწორდა, მარტო მტრის ჯარისკაცს რომ გაიმეტებ.

## მატჩის შემდეგ

**ჟოზე მოურინიო** (ჩელსი): *„ასეთ შეხვედრებში ქულებს არავინ არიგებს. ამაზე მნიშვნელოვანია, რომ ორიოდე კვირაში „ჰალ სიტი“ დავამარცხოთ (17.08.2013, პრემიერლიგის I ტური), თუმცა რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, ამხანაგურებშიც კი წაგებას მოგება სჯობია. სიმართლე რომ გითხრათ, გუნდები, რომელთაც აზიური ტურნეს დროს შევხვდით, კლასით ვერ გამოირჩეოდნენ და როგორც იქნა, ანგარიშგასაწევი მეტოქე შეგვხვდა. პირველი ტაიმი ორივე გუნდისთვის კარგად წარიმართა. შესაძლოა, მეტოქე რალაც მომენტებში გვჯობდა, მაგრამ საერთო ჯამში ყველაფერი კარგად დასრულდა. კამპანიაროს წითელმა ბარათმა თამაშის ხასიათზე გავლენა იქონია. ამ ფაქტმა არც ჩვენ გვარგო, რადგან 10-კაციან მეტოქესთან ძალების მოსინჯვას აზრი ნაკლებად აქვს.*

*ყველაზე მნიშვნელოვანი საკონტროლო თამაშებში გუნდის განვითარების პროცესზე დაკვირვებაა. სასიამოვნო იყო ვან გინკელის ასპარეზობისთვის თვალყურის დევნება. გული დამწყდა, რომ დე ბრუინმა და შიურლემ ვერ ითამაშეს, რადგან სერიოზულ გამოცდილებას მიიღებდნენ. ახლა ინდიანაპოლისიდან ნიუ იორკში მოგვიწევს გადაფრენა, სადაც „მილანთან“ გველის თამაში. ამ ქალაქში უზარმაზარი იტალიური დიასპორა ცხოვრობს. ველოდები, რომ ტრიბუნებზე გულშემატკივართა სიმრავლე იქნება“.*

**ვალტერ მაცარი** (ინტერი): *„კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ ითამაშა ჩემმა გუნდმა. კარგად დავიწყეთ, შეგვეძლო ანგარიშიც გაგვეხსნა, მაგრამ არ გაგვიმართლა. ვცდილობ, რომ ფეხბურთელებს კონკრეტული სტილით თამაში ვასწავლო. მეტოქის დონის გათვალისწინებით, დღეს ეს არ გამოგვივიდა“.*



„რეალი“-„გალაქსის“ მატჩის ყველაზე ეფექტური მოთამაშე ქარიმ ბენზემა



„ჩელსი“-„ინტერის“ შეხვედრის ანტიგმირი უგო კამპანიარო ედენ აზარის წინააღმდეგ

## კმაყოფილი კარლეტო

„რეალმა“ ევროპაში ჩატარებული რამდენიმე ამხანაგური მატჩის შემდეგ აშშ-ს მიაშურა, სადაც „ლოს ანჯელეს გალაქსისთან“ ცალი ფეხით მოიგო და მომდევნო ეტაპზე „იუვენტუსის“ მძლეველ „ევერტონს“ დაუპირისპირდება. **კარლო ანჩელოტიმ** „გალაქტიკოსების“ წინააღმდეგ ექსპერიმენტებს მიმართა. ყველაზე მეტად თვალში საცემი იყო ეს დაცვის ხაზში. აი, შეტევას კი ნამდვილად არა უშავდა. მასპინძელი გულშემატკივარი განსაკუთრებით აღაფრთოვანა **კრიშტიანო რონალდოს** მოედანზე ხილვამ. რამდენიმე მცდელობის მიუხედავად პორტუგალიელმა გოლის გატანა ვერ მოახერხა და მოედანზე ადგილი **ქარიმ ბენზემას** დაუთმო. ფრანგს 3 წუთი ეყო ანგარიშის გასაზრდელად, მერე კი ისევ მან აღადგინა ორბურთიანი ფორა.

## მატჩის შემდეგ

**კარლო ანჩელოტი** (რეალი): *„ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ბიჭების თავდადება. შეტევითი ხაზის ფეხბურთელთა ამ შემადგენლობამ გაამართლა. განსაკუთრებით კაკამ, ვისი პროგრესიც აშკარაა, და რონალდომ. მათმა დუეტმა უამრავი საფიქრალი გაუჩინა მეტოქეს. ვფიქრობ, კრიშტიანომ დაცვას ამიერიდან ნაკლები ყურადღება უნდა დაუთმოს. ის უბრალოდ მზად უნდა იყოს იმ მომენტისთვის, როცა „რეალი“ ბურთს დაეუფლება. მან მაქსიმალურად კომფორტულად უნდა იგრძნოს თავი მოედანზე, ასე რომ, შეუძლია ძველებურად პოზიცია თავად აარჩიოს. ამ მხრივ რამის შეცვლას არ ვგეგმავ. აუცილებლად უნდა შევაქო კიდევ ორი ფეხბურთელი - დი მარია ბენზემაც“.*

ამბები

## ეკიპი: ნიუკასლი და ლიონი შეთანხმდნენ

„ეკიპის“ ცნობით, „ნიუკასლი“ „ლიონს“ საფრანგეთის ნაკრების 27 წლის თავდამსხმელის **ბაფეტიმბი გომისის** ტრანსფერზე შეუთანხმდა. „კაჭკაჭებს“ გარიგება პირველ ეტაპზე 8 მილიონი ევრო დაუჯდებათ და ამას ბონუსების გათვალისწინებით თანხა კიდევ დაემატება. მთავარი პრობლემა „ლომების“ ხელმძღვანელობის მხრიდან სწორედ საკომპენსაციო თანხა იყო. 27 ივლისს ჩრდილოინგლისელებმა ფრანგებს გაუმჯობესებული წინადადება შესთავაზეს და თანხმობა მხოლოდ ამის მერე მიიღეს. გომისის შეძენას ამ ზაფხულს „სუონსიც“ ცდილობდა, თუმცა „გედებმა“ საბოლოოდ არჩევანი **ვილფრიდ ბონიზე** შეაჩერეს.

## არწივების ახალწვეული

მიუხედავად იმისა, რომ „კრისტალ პალასი“ ძალასა და ლონეს არ იშურებს შემადგენლობის გასაძლიერებლად, **იან ჰოლოვეის** გუნდი მაინც ძალიან სუსტია კონკურენტებთან შედარებით და ტყუილად არ მიიჩნევა ჩემპიონშიპში გავარდნის უპირველეს კანდიდატად. თავად განსაჯეთ. ლონდონელებმა გუნდის ლიდერი **ვილფრიდ ზაჰა** „მანჩესტერ იუნაიტედში“ გაუშვეს, ფინანსური რესურსი კი საშუალებას არ იძლევა, რომ კლუბმა მის შემცვლელზე იფიქროს. გუშინ „პალასის“ ვებგვერდმა გულშემატკივარს სასიამოვნო ინფორმაცია მიაწოდა. „არწივებთან“ 3-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი 25 წლის ფრანგმა **ელიოტ გრანდენმა**, ვისაც უმაღლეს დონეზე თამაშის გამოცდილება ასე თუ ისე მაინც აქვს. გრანდენს „მარსელისა“ და „ნიცას“ რიგებში ლიგა 1-ში 49 თამაში აქვს ჩატარებული.

## ლამბერტი ახალწვეულებს აქებს

„ასტონ ვილამ“ შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებშიც კი მოახერხა იმდენი, რომ არათუ წამყვანი ფეხბურთელები შეინარჩუნა (ხელშეკრულებები გაუგრძელა **კრისტიან ბენტეკესა** და **ანდრეას ვაიმანს**), არამედ შემადგენლობა საკმაოდ გააძლიერა კიდეც. „ვილა პარკზე“ ახალ სეზონში ითამაშებენ **ჟორეს ოკორე** (ნორდშელანიდან), **ალექსანდრ ტონევი** (ლეხი), **ანტონიო ლუნა** (სევილია), **ნიკლას ჰელენიუსი** (ოლბორგი), **ლეანდრო ბაკუნა** (გრონინგენი). „მალიორკასთან“ საიჯარო კონტრაქტის დასრულების შემდეგ გუნდს დაუბრუნდა გამოცდილი შოტლანდიელი **ალან ჰატონიც**. **პოლ ლამბერტი** ახალწვეულებით კმაყოფილი ჩანს. *„მიხარია, რომ გუნდში საბრძოლო ჟინი ძლიერია. მშვენივრად მუშაობენ ახალწვეულებიც. ვფიქრობ, მათ არ უნდა გაუჭირდეთ ინგლისურ სტილთან შეგუება,“* - აცხადებს ბირმინგემელთა მთავარი მწვრთნელი.

## უკრაინა ისრაელის წინააღმდეგ

უკრაინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მიხაილ ფომენკომ** 14 აგვისტოს კიევში ისრაელის ნაკრებთან შეხვედრისთვის შეკრებაზე 25 ფეხბურთელს უხმო. სიაში ერთადერთი ახალწვეულია. 23 წლის ნახევარმცველი **დმიტრი ხომჩენოვსკი** ლუგანსკის „ზარიადან“.

**მეკარეები:** ანდრეი პიატოვი (შახტარი), მაქსიმ კოვალი (დინამო), რუსტამ ხუჯმაკოვი (ილიჩევეცი);

**მცველები:** ვიაჩესლავ შევჩუკი, ალესანდრ კუჩერი, იაროსლავ რაკიცკი (ყველა შახტარი), ევგენი ხაჩერიდი, ევგენი სელინი (ორივე დინამო), ვიტალი მანძიუკი, არტემ ფედეცკი (ორივე დნიპრო);

**ნახევარმცველები:** ოლეგ გუსევი, ანდრეი იარმოლენკო (ორივე დინამო), ევგენი კონოპლიანკა, რუსლან როტანი (ორივე დნიპრო), ნიკოლაი მოროზიუკი (მეტალურგი), ტარას სტეპანენკო, დმიტრი გრეჩიშნიკი (ორივე შახტარი), ედმარ გალოვსკი (მეტალისტი), დენის დედეჩკო (ვორსკლა), ანატოლი ტიმოშჩუკი (ზენიტი), დმიტრი ხომჩენოვსკი (ზარია), ალექსანდრ კოვპაკი (სევასტოპოლი); **თავდამსხმელები:** ევგენი სელეზნიოვი, რომან ზოზულია (ორივე დნიპრო), მარკო დევიჩი (მეტალისტი).

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

სუონსი. გამოხმაურება

# გედების შესანიშნავი გაფრენა

„სუონსიმ“ ევროპალიგაზე გამოსვლა ლიგის თასის მოგებით დაიმსახურა. „გედები“ შარშან ჩემპიონატშიც შეძლებდნენ უკეთესი შედეგის ჩვენებას, რომ არა მოკლე სათადარიგოთა სკამი. უელსელებმა შემადგენლობის გასაძლიერებლად საერთო ჯამში 20 მილიონი ფუნტი დახარჯეს. ახალი გუნდის პრეზენტაცია ახალ სეზონში უმაღლეს დონეზე შედგა. **მიკაელ ლაუდრუპის** გუნდმა შვედური „მალმიოსგან“ ქვა ქვაზე არ დატოვა. რასაკვირველია, დანიელი მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ბედნიერი გამოცხადდა. აი, რა თქვა მან: *„ფეხბურთს იდეალურად ვერ ითამაშებ, თუმცა რაც ვნახე, იმითაც კმაყოფილი ვარ. მეტოქეს, ვინც კარგ ფორმაში იმყოფებოდა, ოთხი გოლი გავუტანეთ და არც ერთი არ მიგვიღია საკუთარში კარებში. დებიუტი ძალიან კარგი იყო, იმედია, მომავალშიც ასე გავაგრძელებთ. კარგია, რომ პირველივე შეხვედრაში მოახერხა თავის გამოჩენა ვილფრიდ ბონიმ. ის დიდ სარგებელს მოგვიტანს ჯგუფურ ეტაპზეც“.*

არანაკლებ ბედნიერი იყო „გედების“ ლიდერი **მიგელ მიჩუც**, ვინც ისე ირჯებოდა, თითქოს შარშანდელს მერე არაფერი შეცვლილიყო. ესპანელმა ანგარიში გახსნა და მერეც შეეძლო თავის გამოჩენა. მიჩუს პროგნოზით მისი და **ბონის** დუეტი პრემიერლიგაში მეტოქეებს სერიოზულ თავის ტკივილს გაუჩენს: *„ვილფრიდს დებიუტი მართლა ძალიან მაგარი გამოუვიდა. ის კარგი ფეხბურთელია. თანაც ბედნიერია ჩვენთან გადმოსვლით და სამომავლოდ ალბათ უფრო მეტს შეძლებს. მასთან დუეტში თამაში ჩემთვის მისწრებაა, რადგან ყველაზე ეფექტური მაშინ ვარ, როცა სიღრმიდან ვთამაშობ. „სუონსის“ შეტევებს ჩვენ უფრო მრისხანეს გავხდით. 4:0 თავისთავად ბევრს რამეზე მეტყველებს, თუმცა საქმე სტოკჰოლმში უნდა დავასრულოთ. გასვლაზეც აუცილებლად უნდა მოვიგოთ“.*



ვილფრიდ ბონის სუონსიში შესანიშნავი დებიუტი გამოუვიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. მეტოქე

# ახალი რეიტინგი და ფრანგული სკანდალი

## მილუ ფედერაციას აუჯანყდა

ამას წინათ ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი საფრანგეთის ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრების შემადგენლობა გაგაცანით და გაკვირვება გამოვთქვით, რომ 60 კილოგრამში საერთოდ არ სახელდებოდა მონაწილე, როცა „მამლებს" ამ წონაში ევროპის 2010 წლის ჩემპიონი **სოფიან მილუ** ჰყავთ. მართალია, იმ გამარჯვების შემდეგ მას ხელშესახები წარმატება თითქმის არც ჰქონია და წლევანდელი სეზონიც, პრაქტიკულად, ჩააგდო და საერთაშორისო რეიტინგშიც მე- 19 ადგილამდე დაქვეითდა, მაგრამ მისი იგნორირება მაინც გასაკვირი ჩანდა. წლეულს მილუ მშობლიურ პარიზის „დიდ მუზარადზე" მეხუთე ადგილზე გავიდა, დიუსელდორფის „დიდ პრიზზე", მასტერსსა და ევროპის პირველობაზე კი ნაადრევად გამოვარდა. თუმცა ის შარშანაც ასე არასტაბილურად გამოდიოდა, ლონდონის ოლიმპიადაზე ბრინჯაოსთვის მაინც იჭიდავა, ოღონდ უზბეკთა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **რიშოდ სობიროვთან** წააგო და საბოლოოდ მეხუთეზე დარჩა. ამით იმის თქმა გვსურს, რომ ერთი ტურნირისთვის მომზადება ნამდვილად ძალუძს. ჩვენც სწორედ ეს გაგვიკვირდა, რომ შანსიც არ მისცეს, არადა, არც სხვა მიჰყავთ.

თავის მხრივ, სამწვრთნელო შტაბსაც საკუთარი არგუმენტი ექნება, ოღონდ ამასობაში საქმე მწვავდება – მილუ საფრანგეთის ძიუდოს ფედერაციას მისი უგულებელყოფისთვის სასამართლოში



მილუ

უჩივის და ფედერაციის გადაწყვეტილებას უსამართლოს უწოდებს. სპორტსმენს მხარს უჭერს თავისივე კლუბი, სოციალურ ქსელებში კი მის პოზიციას იზიარებს ქომაგთა ერთი ნაწილიც. ჯერჯერობით უცნობია ნაკრების ხელმძღვანელთა პოზიცია და ცხადია, ასეთ მოკლე დროში არც სასამართლო გამართულა.

## საბოლოო რეიტინგი მსოფლიომდე

ამასობაში ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა ახალი რეიტინგი, რომელშიც განახევრებულია ოლიმპიადაზე მოპოვებული ქულები. ესაა საბოლოო რეიტინგი, რომელიც მსოფლიომდე აღარ შეიცვლება და რიოში წილისყრაც მისი მიხედვით ჩატარდება. როგორც მოსალოდნელი იყო, არ განულებულა მსოფლიოს 2011 წლის შედეგები, რადგან წლევანდელი წილისყრისას მისი ჩატარებიდან 2 წელიწადი ჯერ კიდევ არ იქნება გასული – ეს დრო სულ რაღაც 1 დღის შემდეგ დადგება.

რეიტინგში მოსალოდნელი ცვლილებებისა და მსოფლიოზე წილისყრის შესახებ 26 ივლისს ვწერდით. რაკი ახალ რეიტინგს არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია, ამიტომ მასზე დაწვრილებით არ შევჩერდებით და მხოლოდ ზოგადად ვისაუბრებთ.

მსოფლიოზე ყოველ წონაში საერთაშორისო რეიტინგის 8-8 მოწინავე ფალავანი განითესება. ჩვენ კი ეს პატივი 7 წონიდან ექვსში გვერგება, მხოლოდ 100-ში არ გვეყოლება განთესილი, თუმცა მოწინავე ოქტეტში მაინც 7 ქართველი იქნება– ეს იმიტომ, რომ 81 კილოგრამში ორი ჩვენებურია დაწინაურებული.

რეიტინგის ლიდერად კვლავაც ორი ქართველი რჩება, ორივე ევროპის ჩემპიონი – **ამირან პაპინაშვილი** (60) და **ვალერი ლიპარტელიანი** (90). მეორეზე ევროპის კიდევ ერთი ქართველი გამარჯვებული **ავთანდილ ჭრიკიშვილია** (81), მესამეზე – კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი **ადამ ოქრუაშვილი** (+100). ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (66) და ევროპის მესამე პრიზიორი **ლევან წიკლაური** (81) მეექვსეზე არიან, ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი **ზურაბ რეხვიაშვილი** (73) – მეშვიდეზე. ახალმა რეიტინგმა მხოლოდ შავდათუაშვილი დააზარალა, რომელსაც ოლიმპიადაზე მოპოვებული 600 ქულა გაუნახევრდა და რეიტინგში სამი ადგილით დაქვეითდა. დღევანდელი მონაცემებით, მას ნახევარფინალში მასტერსის ყაზახი ჩემპიონი **სერგეი ლიმი** ელოდება, ოღონდ არის საუბარი, რომ იაპონელები არ აჭიდავებენ რეიტინგის მეოთხე ნომერ **ტომოფუმი ტაკაჯოს**, რაც მსოფლიოზე სიაში გადაადგილებებს გამოიწვევს.

ახალმა რეიტინგმა გვაზარალა მძიმე წონაშიც, ოღონდ - არა პირდაპირ ანუ ოქრუაშვილს არაფერი დაჰკლებია. სამაგიეროდ, დააკლდა რეიტინგის აქამდელ ლიდერს, დაუმარცხებელ ფრანგ **ტედი რინერის**, რომელმაც პირველი ადგილი ბრაზილიელ **რაფაელ სილვას** დაუთმო. ამდენად, ფრანგი ძველი განლაგებით ჩვენებურს ფინალამდე თუ ვერ შეხვდებოდა, ახლა მათი გზები ნახევარფინალში იკვეთება.

თუმცა რამდენიმე წონაში რეიტინგმა გვახეირა კიდეც. მაგალითად, ახალი გადანაწილებით 4 ადგილით წაიწია წინ რეხვიაშვილმა და განთესვის ზონაშიც შევიდა. წიკლაური ოქტეტში მანამდეც სედიოდა, ახლა კი ერთი ადგილით დაწინაურდა, ოღონდ მსოფლიოზე მისი ჭიდაობა, როგორც გუშინ ვწერდით, ტრავმის გამო სათუოა. საინტერესო, თუმცა დაუდასტურებელი ხმები ვრცელდება 81 კილოგრამთან დაკავშირებითაც – თითქოს ბრაზილიაში კორეელთა მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **კი ჯაე ბუმი** არ იჭიდავებს. არადა, ის ჭრიკიშვილის ერთ-ერთი სერიოზული კონკურენტია.

პაპინაშვილმა და ლიპარტელიანმა ბოლო დღეებში დაიბრუნეს რეიტინგის ლიდერობა, თუმცა ამით კიდევ უფრო ცუდი ბადე ელოდებათ. განსაკუთრებით – ლიპარტელიანს, რომელსაც ნახევარფინალში მისთვის უხერხული რუსი **კირილ დენისოვი** ელოდება, ვისთანაც ხუთივე პაექრობა წააგო. ასევე დაუდასტურებელი ცნობით, იაპონელები არც ამ წონაში აპირებენ საკუთარი ლიდერის, რეიტინგში მერვეზე მყოფ ოლიმპიურ პრიზიორ **მასაში ნიშიამას** გამოყვანას, რომელიც ჩვენებურს მეოთხედფინალში ელოდება. თუ მან არ იჭიდავა, მაშინ მერვეზე აზერბაიჯანელი **შაჰინ გახრამანოვი** გადმოვა ანუ იმ ეტაპზე ჩვენებურს ის შეხვდება, მასთან კი ლიპარტელიანს, წესით, პრობლემა არ უნდა შეექმნას. თუმცა ისიც საკითხავია, გახრამანოვი საერთოდ თუ მიაღწევს მეოთხედფინალამდე.

სადღეისო რეიტინგით, პაპინაშვილი მეოთხედფინალში მისთვის უხერხულ ყაზახ **იელდოშ სმეტოვს** უნდა შეხვდეს, მაგრამ აქ მის წინ 2-2 მონღოლი და იაპონელია და საინტერესოა, ორივე ქვეყანა მაინცდამაინც ამ წონას გააორებს? თუ არ გააორებენ, მაშინ სმეტოვი სიაში წინ წაიწევს და ჩვენებურს ფინალამდე ასცდება. სავარაუდოდ, იაპონელები რამდენიმეგან განთესილთა მიღმა დარჩენილებს ამზადებენ მსოფლიოსთვის – ეტყობა, ამ ეტაპზე მათი მომზადება უფრო აკმაყოფილებთ. ეს არც ისე კარგია, რადგან განუთესავი ძლიერი ნებისმიერ ეტაპზე, მეოთხედფინალამდეც შეიძლება შეგხვდეს, იქამდე წაგება კი ტურნირიდან გამოვარდნას ნიშნავს, რადგან სანუგეშოში მხოლოდ მეოთხედფინალში წაგებულები გადადიან.

**ირაკლი თავაძე**



ვალერი ლიპარტელიანი (თეთრ კიმონოში)

ფარიკაობა



მარცხნიდან — მიხეილ მარდალეიშვილი, სანდრო ბაზაძე, საბა სულამანიძე, ბექა ბაზაძე.

# ბუდაპეშტში, მსოფლიოზე

საქართველოს მოფარიკავეებმა ბოლო სამი წლის განმავლობაში არაერთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში ისახელეს თავი. მარტო ის რად ღირს, რომ **სანდრო ბაზაძემ** წლეულს 18-წლამდელთა ევროპის პირველობა მოიგო, მისმა უფროსმა ძმამ — **ბექამ** შარშან 23-წლამდელთა ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, სამი წლის წინათ კი კადეტთა მსოფლიოს პირველობაზე **მიხეილ მარდალეიშვილმა** მესამე ადგილი დაიკავა. წლეულს სამივე მოხმალავე ევროპის ჩემპიონატზე გუნდურში მესამე იყო. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ისინი **საბა სულამანიძესთან** (ხმალი), **ლუკა ღლანიძესა** (რაპირა) და **მიქაელ მიქაელიანთან** (დაშნა) ერთად ბაკურიანში იმყოფებოდნენ საწვრთნელ შეკრებაზე (ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მერაბ ბაზაძე**). გუშინ ექვსივე მუშკეტერი საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **ლევან კირკიტაძესა** და ფედერაციის გენერალურ მდივან **დავით სახვაძესთან** ერთად უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაემგზავრა. მადიართა ქვეყანა 5-10 აგვისტოს მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ჩვენი მუშკეტერები ინდივიდუალურ პაექრობებში მოსინჯავენ ძალებს, მოხმალავენი კი გუნდურშიც იასპარეზებენ.

— ძალიან ახალგაზრდული გუნდი გვყავს. ჩვენს ბიჭებს 5-10 წლით უფროსებთანაც მოუწევთ გაპაექრება. ამის მიუხედავად, ყველაფერს გააკეთებენ, პლანეტის უძლიერეს მოფარიკავეებს სათანადო წინააღმდეგობა გაუწიონ. უნგრეთის დედაქალაქში მიღებული გამოცდილება მათ სამომავლოდ გამოადგებათ," — გვითხრა მერაბ ბაზაძემ.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ოთხეულის შანსი

მოჭადრაკე ქალთა ინდივიდუალური ევროპის ჩემპიონატები 2000 წელს იღებს სათავეს. მაშინ ამ შეჯიბრებას ბათუმმა უმასპინძლა. ჩემპიონობა უკრაინელ ნატალია ჟუკოვას ერგო. რუს ტატიანა სტეპოვაისთან ერთად მესამე ადგილზე ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე** გავიდა. მომდევნო წელს პოლონეთის დედაქალაქში მსგავს შედეგს მიაღწია **ქეთევან არახამიამ,** რომელიც შოტლანდიაშია გათხოვილი და რამდენიმე წელიწადია, ამ ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავს.



სალომე მელიამ ვაჟთა დიდოსტატის II ბალი შეასრულა

და აი, 12 წლის შემდეგ ქართველ დიდოსტატებს კვლავ მიეცათ საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი. უპირველესი კანდიდატია **სალომე მელია,** რომელიც გუშინ ევროპის ჩემპიონ ვიქტორია ჩმილიტეს (ლიტვა) დაუზავდა და 7,5 ქულას მოუყარა თავი. ამდენივე ქულა აქვთ ჩმილიტეს და მონიკა სოჩკოს (პოლონეთი), რომელიც ნატალია პოგონინას (რუსეთი) შეუთანხმდა ყაიმზე. 8,5 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეშია ჰოანგ თან ტრანგი. უნგრეთში მცხოვრებმა ვიეტნამელმა მე-10 ტურში შავი ფიგურებით მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკს (რუსეთი) სძლია. შვიდქულიანებს (11 მოჭადრაკე) ახალგაზრდა ქართველი დიდოსტატი **მერი არაბიძე** (რუს ბაირა კოვანოვასთან გაიყო ქულა) მეწინავეობს, ცხადია, უკეთესი კოეფიციენტით. ამ სიაში კიდევ ორი ქართველია - **ბელა ხოტენაშვილი და სოფიკო გურამიშვილი.** ბელა ოლგა გირიას (რუსეთი) დაუზავდა, სოფიომ ელენა-ლუმინიტა კოსმას (რუმინეთი) აჯობა. ჩვენებურთაგან მხოლოდ ამ ოთხეულს აქვს მეორე-მესამე ადგილებზე გასვლის შანსი.

აქვე გაუწყებთ დანარჩენ ქართველთა გუშინდელი შეხვედრების შედეგებს: ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) — **ნანა ძაგნიძე** 1:0, **ლელა ჯავახიშვილი** — სოფი მილე (საფრანგეთი) 0.5:0.5, ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) — **მაკა ფურცელაძე** 0.5:0.5, **მაია ლომინეიშვილი — ნინო ხურციძე** 0.5:0.5, პეტრა პაპი (უნგრეთი) — **ნინო ბაციაშვილი** 0:1, მიხაელა სანდუ (რუმინეთი) — **სოფიო გვეტაძე** 0.5:0.5, **სოფიო ნიკოლაძე** — ლილით გალოიანი (სომხეთი) 0:1, **მირანდა მიქაძე** — დინა ბელენკაია (რუსეთი) 1:0, **ანა გავაშელი** — ივა ვიდენოვა (ბულგარეთი) 0:1, **მადონა ბოკუჩავა** — ბარბარა დიზდარევიჩი (სერბეთი) 1:0.

10 ტურის შემდეგ: მელია-7.5, არაბიძე, ხოტენაშვილი-7-7, ჯავახიშვილი-6.5, ფურცელაძე, ლომინეიშვილი, ხურციძე, ძაგნიძე, ბაციაშვილი-6-6, გვეტაძე-5.5, მიქაძე, ნიკოლაძე-5-5, ბოკუჩავა-4.5, გავაშელი-4 ქულა.

ბოლო ტურში ითამაშებენ: ჰოანგი (8,5)-ჩმილიტე (7,5), სოჩკო (7,5)-მელია (7,5), გირია (7)-ა. მუზიჩუკი (7), ხოტენაშვილი (7)-გურამიშვილი (7), მკრტიჩიანი (7)-გუნინა (7), კოვალევსკაია (7)-კოსტენიუკი (7), კოვანოვა (7)-პოგონინა (7), ტ. კოსინცევა (6.5)-არაბიძე (7). მედლების ბედი სწორედ ამ პაექრობებში გაირკვევა.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# წყვილებშიც გამოეთიშა

**ანა ტატიშვილმა** ვაშინგტონის საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი) ასპარეზობა დაასრულა. როგორც გაუწყეთ, ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში ფრანგ კაროლინ გარსიასთან დამარცხდა, გუშინ კი წყვილებში ბრიტანელ ჰიზერ უოტსონთან ერთად მეოთხედფინალური პაექრობა უეჟინ ბუშარის (კანადა) და ტეილორ თაუსენდის (აშშ) დუეტთან ორ სეტში დათმო — 4:6, 4:6.

**ვაჟა დანელია**

ცურვა

# 50-ზე - 61-ე

ბარსელონაში დასასრულს უახლოვდება საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატი. მოცურავეებმა გუშინ 50 მეტრზე თავისუფალი ყაიდითაც მოსინჯეს ძალები. 107 მონაწილეს შორის იყო თბილისელი **დავით სიხარულიძე**, რომელმაც ეს დისტანცია 24,49 წამში დაფარა და 61-ე ადგილით დაკმაყოფილდა. კვალიფიკაციაში საუკეთესო გახლდათ ლორენ მანადუ (საფრანგეთი) - 21,72.

დღეს 50 მეტრზე ბრასით იასპარეზებს რუსთაველი **თეონა ბოსტაშვილი.** ამ დისტანციაზე მისი საუკეთესო შედეგია 37,06 წამი.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სტუმარი
### ინგა გიორგობიანი



# ჩვენი სამეული საბჭოთა კავშირთან ერთად დაიშალა

— სპორტული კარიერა ტანვარჯიშით დავიწყე. ოთხი წელიწადი დალი კილაძესთან ვმეცადინეობდი. ერთ-ერთ შეჯიბრებაზე აკრობატიკის მწვრთნელი ალექსანდრე მელოიანი გამეცნო. რამდენიმე გოგო გადაგვიბირა. დიდ სპორტს მე, ნინო ბერიანიძე და ინგა ჩოხელი შემოვრჩით. ნინო და ინგაც წარმატებული სპორტსმენები იყვნენ — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები არიან, მოგებული აქვთ მფრინავი-კოსმონავტის ვოლკოვის თასი. ეს შეჯიბრება დღემდე მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ტურნირად რჩება.

**— სელექცია უწინაც ჭირდა?**

— გასული საუკუნის 70-80-იან წლებში სპორტსმენთა შერჩევის მეტი შანსი იყო, რადგან სპორტულ ტანვარჯიშში ბევრი ახალგაზრდა იყო ჩაბმული — საქართველოში, ალბათ, სკოლა არ მეგულება, ტანვარჯიშული იარაღი და ბაგირი არ ჰქონოდა. ბავშვებიც მასობრივად მეცადინეობდნენ, რაც სელექციის მეტ შესაძლებლობას იძლეოდა. ტანვარჯიში სპორტის ბევრ სახეობას ამარაგებდა ნიჭიერი ათლეტებით, მათ შორის — აკრობატიკას. ამ ტრადიციის აღდგენა არ გვაწყენდა. სხვა თუ არაფერი, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას შეუწყობდა ხელს. თორემ მოგვიმრავლდნენ ჭარბწონიანი დონდლო ბავშვები, ხერხემლის გამრუდებით.

**— ეს დიდი პრობლემაა და ცალკე მსჯელობის საგანი. მოდით, თქვენს სპორტულ კარიერას დავუბრუნდეთ — აკრობატიკაში დიდი კონკურენცია დაგხვდათ?**

— მაშინ, თბილისის გარდა, აჭარას, ქუთაისს, რუსთავს ძლიერი სპორტსმენები ჰყავდა. ბატონ ალექსანდრე მელოიანთან გადასვლის შემდეგ წყვილებში ქეთევან სახვაძესთან ერთად ვვარჯიშობდი. ორი წელიწადიც არ გვქონდა ნამეცადინები, საქართველოს ჩემპიონებთან ერთად ლიტვაში საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე რომ გავემგზავრეთ. დიდი კონკურენცია იყო. მე და ქეთიმ მეორე ადგილი დავიკავეთ — მხოლოდ მოსკოველებს ჩამოვრჩით.

იმ შეჯიბრებიდან დაბრუნების შემდეგ ვლადიმერ გურგენიძესთან გადავედი სავარჯიშოდ. მთელი ჩემი წარმატებები სწორედ ბატონ ვლადიმერთან და ლალი თავართქილაძესთანაა დაკავშირებული. ამ შესანიშნავ მწვრთნელებთან მეცადინეობდნენ მანანა მნათობიშვილი, მაია შილაკაძე, ნანა კიკილაშვილი, სვეტლანა მკრტიჩიან-ფეიქრიშვილი, რომლებიც მსოფლიოს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ.

**ინგა გიორგობიანი.** დაიბადა 21. 11. 1968, თბილისი. აკრობატიკა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1988, 90), ევროპის ორგზის ჩემპიონი (1988, 90), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1985, 87, 90) და მეორე პრიზიორი (1986), სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1988, 90), სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1986), I საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი (1985). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. საქართველოს ტანვარჯიშის ეროვნულ სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (2005-იდან).

მას შემდეგ, რაც 1982 წელს ჩემმა მეწყვილემ სკოლა დაამთავრა და აქტიურ სპორტს ჩამოშორდა, ვლადიმერ გურგენიძემ ახალი სამეულის შექმნა გადაწყვიტა. მე და მარინე შალაშვილი აკრობატიკაში ვმეცადინეობდით, მხატვრული ტანვარჯიშიდან ნატალა ანისიმოვა შემოგვიერთდა. სამივენი არმიის სასპორტო კლუბის წევრები ვიყავით, ამიტომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობაზე მოვსინჯეთ ძალები. ზედიზედ ორჯერ ოქროს მედლები მოვიპოვეთ, 1985 წელს ვოლკოვის თასი მოვიგეთ და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გავხდით. საკავშირო ნაკრებში მიგვიწვიეს და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას შევუდექით. ზედ შეჯიბრებაზე წასვლის წინ საბჭოთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ახალბედებს ისევ გამოცდილები — სამეულში წინა წლის ჩემპიონები ამჯობინა და შეჯიბრებაზე ისინი წაიყვანა. რუსებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერც ოქრო აიღეს და ჩვენი სამეულიც დააზარალეს — გულგატეხილმა მარინე შალაშვილმა აქტიურ სპორტს თავი დაანება.



მარცხნიდან: ნატალია ანისიმოვა, მარინე შალაშვილი, ინგა გიორგობიანი

**— მსოფლიოს ჩემპიონი „სამაია“ როგორღა შეიკრა?**

— 1986 წელს ქართველი აკრობატები საწვრთნელ შეკრებაზე ტალინში გავემგზავრეთ, სადაც ხშირად ჩავდიოდით, რადგან ბალტიისპირელ კოლეგებთან მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებდა. ჩვენი მწვრთნელი ახალი სამეულისთვის ზედა მოვარჯიშეს ეძებდა და იგი სწორედ ტალინში იპოვა: დარბაზში ჩვენთან ერთად ემზადებოდნენ ესტონელი ტანმოვარჯიშეები. სწორედ მათ შორის გამოარჩია ბატონმა ვლადიმერმა სვეტლანა მაკარიჩევა. მასაც მოეწონა აკრობატიკა და ერთი კვირის შემდეგ მშობლებიც დაითანხმა ჩვენთან ერთად საქართველოში წამოსასვლელად. ასე შეიკრა გიორგობიანი-ანისიმოვა-მაკარიჩევას „სამაია“.

**— რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონობას უწია...**

— 1987 წელს კიდევ ერთხელ გავხდით შეიარაღებული ძალების ჩემპიონი, რამაც ძალა და ენერგია შეგვმატა. მომდევნო წელი კი, ტრაბახში თუ არ ჩამომართმევთ, ტრიუმფალურად განვვლეთ: ჯერ ვოლკოვის თასზე საერთაშორისო ტურნირი მოვიგეთ, მერე საკავშირო თასი დავიმსახურეთ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ოქროს მედლები და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების უფლება მოვიპოვეთ. ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებას ბელგიურმა ანტვერპენმა უმასპინძლა. პარალელურად იქვე ევროპის ჩემპიონატიც გაიმართა. უპირველეს კონკურენტად წინა წლის მსგავსი შეჯიბრების გამარჯვებული ბულგარეთის სამეული გვყავდა. თანაბარი ქულები მოვაგროვეთ. ჩვენც და ბულგარელებიც ჩემპიონებად გამოგვაცხადეს. ბრინჯაოს მედლები ჩინელებს ერგოთ.

**— ამგვარი წარმატების შემდეგ თქვენი სამეული რატომ დაიშალა?**

— 1990 წელს ზედიზედ მეორედ მოვიგეთ საკავშირო ჩემპიონატი. მსოფლიოსთვის მზადებისას ერთ-ერთ ვარჯიშზე ხელი მოვიტეხე და ამ მნიშვნელოვანი ტურნირისთვის ფორმის აღდგენა ვერ მოვასწარი. მაკარიჩევასაც წონის შენარჩუნება უჭირდა და სამშობლოში დაბრუნება არჩია. ისევ ორნი დავრჩით, თუმცა არა დიდი ხნით: ელგუჯა ბითაძესთან აკრობატთა შერეულ წყვილებში ვარჯიშობდა ირინა ოვოიანი. სწორედ ის გადმოვიბირეთ. კარგად მოერგო სამეულს. 1990 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოვიგეთ და საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში გერმანულ აუსბურგში გავემგზავრეთ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე. მაშინ ეს ორი მაღალი რანგის შეჯიბრება ერთად იმართებოდა. წინა წელს ქალაქ რიგის სამეული გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ ბალტიისპირელებს საკავშირო პირველობაზე ვაჯობეთ, ამიტომაც უდიდესი პასუხისმგებლობა გვეკისრებოდა. 1988 წელს, მსოფლიოს ჩემპიონობის დიდი ოქროს მედლის გარდა, ცალკეული ვარჯიშებისთვის ორი მცირე ოქროც დავიმსახურეთ. აუსბურგში კი ასპარეზობის პირველ დღეს ჯილდოებს ვინ ჩივის, ფინალში შესვლა გახდა სათუო, რადგან პაექრობისას უხეში შეცდომა დავუშვით. საბედნიეროდ, მეორე დღეს მობილიზება შევძელით — ურთულესი ვარჯიშის შემდეგ (დღემდე ამ სირთულის ვარჯიშებს მსოფლიოში ვერავინ ასრულებს — ვ.დ.) მეოთხე ადგილზე გადავინაცვლეთ და ფინალში შევედით. იქ კი დანაკლისი ბოლომდე ვერ ავინაზღაურეთ და აბსოლუტურში ვერცხლის მედალს დავჯერდით, თუმცა გუნდურში მოვიპოვეთ მსოფლიოს ჩემპიონობა.

**— მომდევნო წელს კი საბჭოთა კავშირი დაიშალა...**

— ჩვენი სამეულიც... და მეც აკრობატიკას ჩამოვშორდი, რადგან მაშინ საქართველოში სპორტისთვის არავის ეცალა. მალე ოჯახიც შევქმენი. თუმცა 1996 წელს ჩემი მეგობრისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნინო ბერიანიძის თხოვნით ისევ დავუბრუნდი აკრობატიკას, რადგან ნინო მაშინ (და დღესაც) საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. ანისიმოვასა და დალინა ქენქაძესთან ერთად შევქმენით სამეული. ორი წელიწადი ვივარჯიშეთ და საკმაოდ რთული პროგრამა დავამუშავეთ. მაგრამ 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე წასასვლელად არავინ დაგვაფინანსა. არადა, ძალიან დიდი სურვილი გვქონდა, საქართველოს სახელით საერთაშორისო სარბიელზე გვეასპარეზა.

სამომავლო პერსპექტივა რომ არ ჩანდა, ისევ ჩამოვშორდი აქტიურ სპორტს, თორემ აკრობატიკისთვის ზურგი დღემდე არ შემიქცევია — 2005 წლიდან ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვარ და სპორტულ აკრობატიკას ვკურირებ.

**— რა ხდება დღეს თქვენთან?**

— ბოლო წლებში საკმაოდ პერსპექტიული ახალგაზრდები მოვიდნენ აკრობატიკაში, მაგრამ, რადგანაც ჩვენი სპორტი არაოლიმპიური სახეობაა, დაფინანსებაც ნაკლებია. ამის მიუხედავად, მაინც ვახერხებთ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებსა თუ პირველობებში მონაწილეობას. 2009 წელს პორტუგალიაში გოგონათა სამეულმა (მარიამ გიგოლაშვილი, სალომე სარიშვილი, ანა ურუშაძე) ევროპის პირველობაზე მე-7 ადგილი დაიკავა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო 11-16 წლის გოგო-ბიჭები, რომლებსაც ნინო ბერიანიძე, სვეტლანა და დალი ფეიქრიშვილები ავარჯიშებენ. წლეულს ამ მოზარდებიდან გოგონათა წყვილმა (ანი ჯოხაძე, ნინო სირაძე) ბულგარეთში საერთაშორისო ტურნირზე თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ვაჟთა წყვილი (გიორგი ოქროპირიძე, ტატო სირაძე) კი ერთ ბრინჯაოს დასჯერდა. გოგონათა სამეულმა (მარიამ ფოფხაძე, თინათინ პარნიკანაშვილი, გვანცა მურღულია) ფინალში მე-7 ადგილი დაიკავა. ეს სპორტსმენები ამჟამად ევროპის პირველობისთვის ემზადებიან. ამ შეჯიბრებას ოქტომბერში პორტუგალია უმასპინძლებს. უსახსრობის გამო საწვრთნელ შეკრებაზე ვერსად მივდივართ — მხოლოდ თბილისში მოვემზადებით.

როგორც გითხარით, ჩვენს სახეობას ნაკლები დაფინანსება აქვს, მაგრამ სპორტის ამ ულამაზეს სახეობას ბოლო პერიოდში მიმდევრები მოუმრავლდა: იმის თქმა მინდა, რომ საქართველოში სპორტული აკრობატიკის გეოგრაფია ნელ-ნელა იზრდება. იმ რეგიონებს, სადაც უწინ ფუნქციონირებდა აკრობატიკა, რამდენიმე წელიწადია, მარნეული მიემატა. შესაძლოა, მათ რიგებს მალე ხაშურიც შეემატოს.

**— ოჯახში სპორტული ტრადიცია თუ გრძელდება?**

— ერთადერთი ვაჟი მყავს — 21 წლის ნიკა ჩხიკვაძე, რომელიც მორაგბეა. აქამდე „აკადემიაში“ თამაშობდა, 19-წლამდელთა მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფში იასპარეზა. ახალი სეზონიდან „ყოჩების“ სპორტულ ღირსებას დაიცავს.

**— გმადლობთ საინტერესო საუბრისთვის.**

— მადლობა „ლელოს“, რომელიც უყურადღებოდ არ ტოვებს სპორტის არც ერთ სახეობას და სამზეოზე გამოაქვს მათი სიხარული და სატკივარი. რედაქციაში დღევანდელი ჩემი მოწვევაც, ფაქტობრივად, სპორტის ამ ულამაზესი სახეობის მდიდრული წარსულის წარმოჩენა და ქომაგებისთვის იმის შეხსენებაა, რომ საქართველოში აკრობატიკაც ცოცხლობს.

გმადლობთ!

**ვაჟა დანელია**
*ავტორის ფოტო*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი NBA-ში

მას შემდეგ, რაც საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების კაპიტანმა **ზაზა ფაჩულიამ** ოპერაცია გაიკეთა და ეროვნულ გუნდს ჩამოშორდა, 2013 წლის ევრობასკეტზე ჩვენს ნაკრებში ერთ-ერთი ლიდერი NBA-ს მეორე მოთამაშე — **თორნიკე შენგელია** უნდა ყოფილიყო, მაგრამ... საქართველოს ნაკრებისა და „ბრუკლინ ნეთსის" თავდამსხმელს მარჯვენა მუხლი აწუხებდა და ზაფხულის კემპის წინ სითხეც კი ამოუღეს, თუმცა ტკივილმა არ იკლო და, ექიმების რეკომენდაციით, ქირურგიული ჩარევა გახდა საჭირო — 70-პროცენტიანი დატვირთვით თამაშს მენისკის ოპერაციის გაკეთება სჯობსო, ურჩიეს დასტაქრებმა. ქართველ კალათბურთელს გულით უნდოდა, სლოვენიაში თანაგუნდელებს დახმარებოდა ევრობასკეტზე, რამდენიმე დღით გადაწყვეტილების მიღებაც გააჭიანურა, მაგრამ ბოლოს მაინც გახდა იძულებული, სპეციალისტებისთვის დაეჯერებინა.

გუშინ თორნიკე შენგელიას ამერიკაში შევეხმიანეთ:

- ნიუ იორკის კლინიკაში ოპერაციამ ერთ საათს გასტანა. მადლობა ღმერთს, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. როგორც ექიმებმა მითხრეს, საშიში არაფერია. ათიოდე დღეში, ალბათ, ყავარჯნებს გადავყრი, თუმცა სექტემბერში ევროპის ჩემპიონატზე ჩემი თამაში გამორიცხულია, რადგან რეაბილიტაციას ორი თვე მაინც დასჭირდება. პირველი ოქტომბრისთვის უკვე დარბაზში ბურთით ვარჯიშს დავიწყებ და დატვირთვებსაც მოვუმატებ, რომ NBA-ს დასაწყისისთვის მწყობრში ვიყო. ვიცი, რომ ამ დღეებში ბევრი მქომაგობდა, ზოგმა დამირეკა და გამამხნევა კიდეც. მადლობა ყველას. ასეთი ყურადღების პასუხად, ვეცდები, გამომჯობინების შემდეგ, კვლავ დავუბრუნდე საქართველოს ნაკრებს და კარგი თამაშით გულშემატკივრები გავახარო, — გვითხრა თორნიკე შენგელიამ.



# მწყობრში მხოლოდ ოქტომბრიდან

ვაჟა დანელია

რუსთავი

# ბერუაშვილის ნაცვლად ხმელიძე

სამწვრთნელო ცვლილება კიდევ ერთ წამყვან კლუბში განხორციელდა. „რუსთავში" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **მიხეილ ბერუაშვილის** ნაცვლად **ოთარ ხმელიძე** დაინიშნა.

მიშა წლების განმავლობაში რუსთაველთა შემადგენლობაში თამაშობდა, ხოლო კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობა გადაწყვიტა. თავიდან „რუსთავში" **დავით უსტიაშვილის** თანაშემწედ მუშაობდა, 2009-10 წლების სეზონში კი მთავარი მწვრთნელის საჭე ჩაიბარა და ქვეყნის ჩემპიონიც გახდა.

მწვრთნელობამდე მიხეილ ბერუაშვილი „რუსთავში" ოთარ ხმელიძის ხელმძღვანელობით თამაშობდა. ბატონი ოთარი ქვემოქართლელთა მთავარ გუნდში თავკაცად წლების განმავლობაში მუშაობდა. თუმცა 2006 წლიდან მომავალი თაობის აღზრდის საქმეში ჩაერთო. ახალი სეზონიდან კი იგი ძველ ფუნქციას დაიბრუნებს. ოთარ ხმელიძეს დაეხმარებიან **ბადრი კიკვიძე** და **რამაზ გოგობერიშვილი**. მიხეილ ბერუაშვილი ახალგაზრდული გუნდის თავკაცად იმუშავებს (ასისტენტი **ირაკლი ჯაფარიძე**).

მწვრთნელის საკითხზე არანაკლებ საინტერესოა, შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებები. როგორც ქართული გუნდების უმეტესობაში, სადღეისოდ ბევრი რამ „რუსთავშიც" გასარკვევია. როგორც გუნდის უფროსმა **ამირან ხაჩიძემ** გვითხრა, ორშაბათის შეკრების შემდეგ არაერთი საკითხი გადაწყდება. ამჟამად კი მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ **ლევან ცეკვავა** „რუსთავიდან" „ქუთაისში" გადავიდა. იგი იმერლთა შემადგენლობაში 2010-12 წლებშიც თამაშობდა, შარშანდელი სეზონი კი მშობლიურ „რუსთავში" გაატარა. ქვემოქართლელები მაღალი მიზნებისთვის იბრძოდნენ, თუმცა მეოთხედფინალში „ქუთაისთან" 1:2 დათმეს.



მიხეილ ბერუაშვილი



ოთარ ხმელიძე

გასულ სეზონში რუსთაველებს არაერთი ლეგიონერი ეხმარებოდათ: ამერიკელები **ნეით ბოუი** და **კაელ ნელსონი**, სერბი **სტევან მილოშევიჩი**, არაბული წარმოშობის ამერიკელი **ომარ ვატადი**, კამერუნელი **ჟულივეტ ტუჯანი**. გადაწყვეტილია ისიც, რომ მომავალ სეზონში „რუსთავი" ლეგიონერების გარეშე ითამაშებს. სხვებთან ერთად გუნდი ჟულივეტ ტუჯანმაც დატოვა.

დაველოდოთ ორშაბათის შეკრებას და ვნახოთ, ვინ დარჩა შემადგენლობაში და კიდევ ვინ აპირებს გუნდიდან წასვლას.

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს ნაკრების მეტოქე

# გორტატი წავიდა და დაიბარა: დავბრუნდები!



საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე პირველ მატჩს 4 სექტემბერს გამართავს. მისი მეტოქე პოლონეთი იქნება. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე გუნდი მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალისაა და ჯგუფიდან გამსვლელი მესამე ადგილისთვის იბრძვის (პირველ მეორეზე ესპანეთისა და სლოვენიის გასვლას ვარაუდობენ, თუმცა...) საქართველო-პოლონეთის დაპირისპირების შედეგი ორივე გუნდისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

ქართველებს აკლიათ **ზაზა ფაჩულია** და **თორნიკე შენგელია**, პოლონელებმა კი ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყარეს თავი. მათ ევროპის ჩემპიონატზე ფინიქსელი **მარცინ გორტატი** (29 წლის, 213 სმ) დაეხმარებათ, რომელმაც მარტში მარჯვენა ფეხი იტკინა. როგორც თავად ამბობს, ბოლომდე არ მოუშუშებია, მაგრამ იმედოვნებს, ევრობასკეტს მწყობრში შეხვდება.

გორტატი ივლისის ბოლოს პოლონეთის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩეპიონატისთვის მზადებას შეუდგა, თუმცა 1-ელ აგვისტოს შეკრება დატოვა - მწვრთნელს დაეთხოვა და ამერიკაში გაემგზავრა. აი, როგორ ახსნა თავად კალათბურთელმა საკუთარი მოქმედება:

*- სერიოზული ტრავმა მქონდა და მორჩენას დრო სჭირდება. ყველაზე ცუდი ის არის, რომ დასვენების საშუალება არა მაქვს. ტრავმირებულ ფეხს დასვენება სჭირდება, მე კი ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ, დარბაზში დავრბივარ... ნაკრებში ჩემს კოლეგებს ვუთხარი, რომ შვებულებაში არ გავსულვარ, ფინიქსშიც ჩვეულებრივად ვივარჯიშებ. ვიმუშავებ ამერიკელი ფიზიოთერაპევტების ზედამხედველობით და ფეხსაც მივხედავ.*

მთავარი მწვრთნელის, **დირკ ბაუერმანის** განკარგულებაში კიდევ არაერთი მეფარეა. სწორედ წინა ხაზი ითვლება პოლონეთის ნაკრების მთავარ პლუსად.

*- გვყავს ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო წინახაზელი* **მაცეი ლამპე**

*. იგი კიდევ უფრო დამძიმდა და ფარქვეშ, ცენტრის პოზიციაზეც შეუძლია თამაში. ვეცდები მალე დავბრუნდე, რომ ახალ სქემებში მასთან ერთად კარგად ჩავჯდე. რაც შეეხება კიდევ ორ მაღალს,* **შიმონ შევჩიკი** *და* **მიხალ ინგერსკი** *სამწამიანი ზონის გარდა პერიმეტრიდანაც კარგად თამაშობენ. ასე რომ, მწვრთნელს ვარირების საშუალება მიეცემა,* - დასძენს გორტატი. მანვე დააკონკრეტა, რომ 23-25 აგვისტოს ლიუბლიანაში გასამართი ტურნირისთვის პოლონეთის ნაკრების განკარგულებაში იქნება. არც იმას გამორიცხავს, რომ ეცდება 17-19 აგვისტოს ანტვერპენის ტურნირსაც ჩამოუსწროს.

*-პოლონეთის ნაკრებში დიდი ხანია ვთამაშობ. ასეთი კარგი ატმოსფერო გუნდში ჯერ არ ყოფილა. ეს გარკვეულწილად მთავარი მწვრთნელის, დირკ ბაუერმანის დამსახურებაა. შესაძლოა, იგი ერთი შეხედვით უხეშ, აგრესიულ კაცად მოგეჩვენოთ, მაგრამ რეალურად ასე არ არის. ჭკვიანია, კონტაქტური და კალათბურთელებს თითოეულ ნიუანსს დეტალურად, გასაგები ენით უხსნის. თავს ერთი დიდი ოჯახის წევრებად ვგრძნობთ. აი, რატომ მინდა, რაც შეიძლება მალე ამერიკიდან დაბრუნება.*

მარცინ გორტატი ევრობასკეტზე გასასეირნებლად არ მიდის, იმედი აქვს, რომ სხვა გუნდებში ლიდერების არყოფნაში არათუ ჯგუფიდან, არამედ რვაეულში გასვლის შანსი აქვს. „პოლონელ ჩაქუჩს" ყველაზე მეტად, ალბათ, ზაზა ფაჩულიას არყოფნა აძლევს ხელს, რადგან ევროპაშიცა და ამერიკაშიც ქართველი ცენტრის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის უჭირს. გაგახსენებთ, რომ 2010 წელს თბილისში დამარცხების შემდეგ მარცინმა თქვა - ზაზამ გამანადგურაო.

*- ნაკრებში დაბრუნება კიდევ იმიტომ მეჩქარება, რომ სლოვენიაში წარმატების მიღწევის კარგი შანსი გვაქვს. რა იგულისხმება სიტყვა „წარმატებაში"? - მედლის თუ არა, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვება. მუნდიალზე ხომ ექვსი საუკეთესო ნაკრები გადის (ესპანეთის გარდა, რომელსაც საგზური წინასწარ აქვს დაჯავშნული). რატომ არ უნდა მოვხვდეთ მეოთხედფინალში? პოლონეთის ნაკრებს უდიდესი პოტენციალი აქვს. ამასთან ევრობასკეტზე ბევრი ფავორიტი ითამაშებს შესუსტებული შემადგენლობით, რაც ჩვენს შანსს კიდევ უფრო ზრდის. თუმცა საქმეს ცივი გონებით უნდა მივუდგეთ, რათა საჰაერო ბურთი აფრენამდე არ გავხეთქოთ. მთავარია, თითოეული მატჩი მისი დასრულების შემდეგ მოვიგოთ და არა წინასწარ.*

ვაჟა სიმონიშვილი



მარცინ გორტატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები


მამუკა გორგოძე

# გორგოძე ორ თვეს ვერ ითამაშებს

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „მონპელიეს" ქართველი მესამეხაზელი მამუკა გორგოძე სამშაბათს ვარჯიშზე დაშავდა. მან ფეხის კუნთი გაიწყვიტა და ორი თვის განმავლობაში ვერ ითამაშებს.**

„მონპელიეს" ხელმძღვანელებმა წლეულს სატრანსფერო ფანჯარა ნაყოფიერად გამოიყენეს და უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს გუნდი პლეი ოფში არა მარტო გასასვლელად, არამედ იქ წარმატების მისაღწევად იბრძოლებს. შარშან, ჩემპიონატის დაწყების წინ, მონპელიელებს ოთხი ერის გათამაშებაში მივლინებული არგენტინელი მორაგბეები დააკლდათ. ამჯერად კი დანაკლისი კიდევ უფრო მეტად საგრძნობი იქნება.

მამუკა გორგოძე დაახლოებით შვიდი-რვა ტურის განმავლობაში ვერ დაეხმარება გუნდს. მასთან ერთად სერიოზულად დაშავდა შერკინების კვაჭი **ტომას ბიანკი**, რომელიც „მონპელიეში" ერთი თვის წინათ პარიზული „მეტრო რასინგიდან" გადავიდა.

ამასობაში, მორიგი საწვრთნელი მატჩი გამართა ფრანგული რაგბის გრანდმა, **ვასილ კაკოვინისა და ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზმა". ჩვენებურთა გუნდი მეორე დივიზიონის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს, „ლა როშელს" დაუპირისპირდა და 33:7 მოუგო. ტულუზელებმა მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანეს, აქედან ორი უკანახაზელის, **მაქსიმ მედარის** ანგარიშზეა.

დღეს კიდევ რამდენიმე საკონტროლო მატჩი გაიმართება. მათ შორის ყველაზე საინტერესო საგრძნობლდად მოლონიერებული, **დავით ხინჩაგიშვილის** პარიზული „მეტრო რასინგისა" დაპირისპირებაა **ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონთან". შეგახსენებთ, რომ გასულ უქმეებზე ტულონელებმა **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდოს" მოუგეს - 34:23. ჩილაჩავამ ამ შეხვედრაში მეტოქეს 65-ე წუთზე ლელო გაუტანა.

**საკონტროლო მატჩები**

**ორიაკი-ბრივი, ბიარიცი-ოიონაქსი, პერპინიანი-კლერმონი, ტულონი-მეტრონ რასინგი, ტარბი-აჟენი, ბაიონი-სტად ფრანსე, კასტრიალბი, ოში-მონ დე მარსანი, ბურგ ან ბრესი-ნანტი, გრენობლი-მონპელიე, ბეზიე-ზებრე, კარკასონი-კოლომიე.**

ვარსკვლავი

# ჰაბანა ხომალდს ლონეშიც შეეჯიბრა

მსოფლიოს რაგბის ვარსკვლავი, სამხრეთ აფრიკის ნაკრების გარემარბი ბრაიან ჰაბანა წლეულს „კეიპთაუნის" სტორმერზიდან საფრანგეთში, **კონსტანტინე მიქაუტაძისა და ლევან ჩილაჩავას** „ტულონში" გადაბარგდა.

2007 წლის მსოფლიოს თასის საუკეთესო მორაგბე ტულონს ერთი კვირის წინათ ეწვია და უკვე მოასწრო რამდენიმე ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. მან გასულ უქმეებზე „ბორდოსთან" საკონტროლო მატჩში ითამაშა, მერე თვითმფრინავს სისწრაფეში გაეჯიბრა და აჯობა. მოგვიანებით იმავე საჰაერო ხომალდს ბაგირით ეზიდებოდა ინგლისელ **კრის რობშოსთან**, სამხრეთაფრიკელ **იან დე ფილიერსთან** და მომღერალ **მიკ ჯაგერის** ქალიშვილ, **ჯორჯია მეისთან** ერთად.

„ტულონის" მულტიმილიონერ პრეზიდენტს **მურად ბურჯელალს** „ჰაინეკენის თასის" გათამაშების ისევ მოგება სურს. ამასთან ერთად, ტულონელებს საფრანგეთის ჩემპიონატიც მოსაგები აქვთ. საამისოდ, მან თითქმის ყველა მეგა ვარსკვლავს ერთად მოუყარა თავი. **ჯონი ვილკინსონი, მეთ გიტო, მარტინ კასტროჯოვანი, ბაკის ბოთა** - ეს მოთამაშეები მხოლოდ პირველობისთვის ბრძოლას არიან მიჩვეულნი.

ფინანსები

# ავსტრალიამ წააგო და მოიგო

**ავსტრალიაში ახლახან დასრულებული „ბრიტანელი ლომების" ტურნეს შემდეგ, ამ ქვეყნის ეკონომიკამ 150 მილიონი ავსტრალიური დოლარის (88 მილიონი გირვანქა სტერლინგი) „ინიექცია" მიიღო. ბრიტანელებმა „მწვანე კონტინენტზე" ცხრა შეხვედრა გამართეს, რომელზეც 389 400 ბილეთი გაიყიდა.**

ამასთან ერთად **ოურენ გეთლენდის** „ბიჭების" თამაშის სანახავად ავსტრალიაში ბრიტანეთიდან 40 ათასი ქომაგი ჩავიდა.

*„ივნისში ტურისტთა რაოდენობა შარშანდელთან შედარებით 64,6 პროცენტით გაიზარდა. ცხადია, ეს ჩვენს ქვეყანაში „ბრიტანელი ლომების" სტუმრობით იყო გამოწვეული. ამან სერიოზულად გაზარდა ჩვენი ფინანსური შესაძლებლობები. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სერიოზული, მასშტაბური ღონისძიებების სწორად დაგეგმვას და მართვას"* - თქვა ავსტრალიის ტრანსპორტისა და ტურიზმის დეპატამენტის დირექტორმა **კენ მორისონმა.**

ამასობაში, სკანდალი მწიფდება ევროპულ რაგბიში, რომელიც სწორედ ფინანსების სიმწირესთანაა დაკავშირებული. ესპანეთის რაგბის ფედერაციის განცხადებით, „ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში მონაწილეობას ვერ ახერხებს „ოლიმპუსი", რომელიც ჯგუფში ინგლისურ „ლონდონ აირიშთან", ფრანგულ „სტად ფრანსესთან" და იტალიურ „პრატოსთან" მოხვდა.

ესპანურ გუნდს ფინანსური პრობლემები ახლახან შეექმნა, რომლის მიზეზსაც არ ასახელებენ. არადა, ევროთასების გათამაშების დებულების თანახმად, ეროვნულმა ფედერციამ ორგანიზატორებს მინიმუმ ხუთი წლის გარანტია უნდა მისცეს, რომლის მიხედვითაც მისი წევრი კლუბი ევროსარბიელზე ასპარეზობას შეძლებს.

ესპანური რაგბის მამები კუთვნილ ადგილზე „ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში უარს არ ამბობენ და, ცდილობენ, „ოლიმპუსი" რომელიმე სხვა გუნდით ჩაანაცვლონ.

ზე რაგბი

# ფინალი: ჩიფსი VS ბრამბიზი

**დღეს ზე რაგბის გათამაშებაში ბოლო შეხვედრა გაიმართება. შარშანდელი ჩემპიონი ჰემილთონის „ჩიფსი" ფინალში, შინ მიიღებს ავსტრალიის კონფერენციის გამარჯვებულ კანბერის „ბრამბიზს". მსოფლიოს სარაგბო სამყარო ახლა ამ დაპირისპირების მოლოდინშია. ყველას აინტერესებს, შეძლებს თუ არა ახალზელანდიური გუნდი ტიტულის შენარჩუნებას.**

გამარჯვების შემთხვევაში, „ჩიფსი" მეოთხე გუნდი იქნება ზე რაგბის ისტორიაში, რომელიც ზედიზედ ორჯერ იპირველებს. ალსანიშნავია, რომ, ისევე როგორც შარშან, ჰემილთონელები მეტოქეზე დასაწყისშივე უპირატესობას ფლობენ, რადგან შინ, საკუთარ მოედანზე თამაშობენ

თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ **დეივ რენის** სამწყსოს ნახევარფინალში, ასევე საკუთარ მოედანზე, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზთან" მატჩის წინ ფავორიტად არ მიიჩნევდნენ. „ჩიფსმა" ყველა პროგნოზი გააბათილა და კრიტიკოსები ერთბაშად დაადუმა.

ჰემილთონელებმა სამართლიანად დაიმსახურეს ფინალში თამაში. თავად განსაჯეთ, მათ რეგულარულ გათამაშებაში ყველაზე მეტი, 458 ქულა დააგროვეს და 50 ლელო გაიტანეს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, რა გასაკვირია, რომ ფინალში ფავორიტები მასპინძლები არიან. მით უფრო, რომ კანბერას „ბრამბის" ბოლო ათ დღეში ორჯერ მოუწია ინდოეთის ოკეანეზე გადაფრენამ.

ნახევარფინალში ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზის" ძლევის შემდეგ, „ჩიფსის" თავკაცს შემადგენლობაში ცვლილება არ განუხორციელებია. საგულისხმოა, რომ ზე რაგბის ეს ფინალი ბოლო მატჩი იქნება „ჩიფსის" ოთხი მორაგბისთვის, ესენია: **კრეიგ კლარკი, ლელია მასაგა, რიჩარდ კაჰუი და ბრენდონ ლეონარდი.**

*„ისინი დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ ჩვენი გუნდის მთავარი დამრტყმელი მოთამაშეები. ამიტომ, ძალიან გვინდა, რომ ეს ღვაწლმოსილი მორაგბეები ღირსეულად გავაცილოთ"* - თქვა მატჩის წინ ახალზელანდიური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დეივ რენიმ.

„ჩიფსის" მეტოქის, კანბერას „ბრამბზის" თავკაცად ლეგენდარული სამხრეთაფრიკელი სპეციალისტი **ჯეკ ვაითი** 2011 წელს დაინიშნა. იმ სეზონში, „გაუხედნავი ცხენები" გათამაშებაში მე-13 ადგილზე გავიდნენ. ვაითმა ორ წელიწადში ეს გუნდი ფინალისტად აქცია. შეგახსენებთ, რომ მან 2007 წელს სამხრეთ აფრიკის ნაკრებს საფრანგეთში მსოფლიოს თასი მოაპოვებინა.

კანბერელთა თავკაცმა ფინალისთვის ისევ ის 22 მორაგბე შეარჩია, რომელმაც გასულ უქმეებზე, ნახევარფინაულურ მატჩში, სტუმრად პრეტორიაში მსრიხანე „ბლუ ბულზი" დაამარცხა. ვაითი უკვე მესამე კვირაა შემადგენლობაში ერთ მოთამაშესაც არ ცვლის.

*„სეზონის ამ ეტაპზე ძალიან კარგია, როცა ერთი და იმავე შემადგენლობის შენარჩუნებას ვახერხებთ. კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ განვითარდა მოვლენები ზე რაგბის წლევანდელ გათამაშებაში. თუმცა წლეულს კიდევ ერთი თამაში გვაქვს მოსაგები, რის შემდეგაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ბიჭები გმირები არიან."* - თქვა ბრამბიზელთა მთავარმა მწვრთნელმა ჯეკ ვაითმა.

ალსანიშნავია, რომ „ჩიფსის" მსგავსად „ბრამბიზის" რიგებშიც არიან ისეთი მოთამაშეები, რომლებიც გუნდში ბოლო შეხვედრას მართავენ. ესენია: 33 წლის მესამეხაზელი **ჯორჯ სმითი და კლაიდ რეთბოუნი.**

**ფინალი**

**ჩიფსი-ბრამბიზი**

**ჩიფსი: 15. გარეთ ანსკომბი, 14. ლელია მასაგა, 13. ჩარლი ნგატი, 12. ენდრიუ ჰორელი, 11. ასაელი ტიკოიროტუმა, 10. აარონ კრადენი, 9. ტავერა კერ-ბარლოუ. 1. ტობი სმითი, 2. ჰიკა ელიოტი, 3. ბენ ტამეიფუნა, 4. კრეიგ კლარკი, 5. ბროდი რეტალეკი, 6. ლიამ მესამი, 7. ტანერაუ ლატიმერი, 8. მეთ ვანტ ლევენი.**

**16. რის მარშალი, 17. ბენ აფეაკი, 18. მაიკლ ფიცჯერალდი, 19. სემ კენი, 20. ავგუსტინ პულუ, 21. ბუნდეე აკი, 22. პატრიკ ოსბორნი.**

**ბრამბიზი: 15. ჯესი მოგი, 14. ჰენრი სპეიგტი, 13. ტევიტა კურიდრანი, 12. კრისტიან ლეალიიფანო, 11. კლაიდ რათბონე, 10. მეთ ტუმუა, 9. ნიკ ვაითი. 1. სკოტ სიო. 2. სტივენ მური, 3. ბენ ალექსანდერი, 4. სკოტ ფერდი, 5. სემ კარტერი, 6. პიტერ კიმლინი, 7. ჯორჯ სმითი, 8. ბენ მოვენი.**

**16. სილვია სილვია, 17. სრუან სმითი, 18. ფოტუ აუელა, 19. კოლბი ფაინგაა, 20. იან პრიორი, 21. ენდრიუ სმითი, 22. ჯო ტომანე.**

**ყველა გამარჯვებული**

1992 წელი - რედსი (ავსტრალია)
1993 წელი - ლაიონზი (სამხრეთ აფრიკა)
1994 წელი - რედსი (ავსტრალია)
1995 წელი - რედსი (ავსტრალია)
1996 წელი - ბლუზი (ახალი ზელანდია)
1997 წელი - ბლუზი (ახალი ზელანდია)
1998 წელი - კრუსეიდერზი (ახალი ზელანდია)
1999 წელი - კრუსეიდერზი (ახალი ზელანდია)
2000 წელი - კრუსეიდერზი (ახალი ზელანდია)
2001 წელი - ბრამბიზი (ავსტრალია)
2002 წელი - კრუსეიდერზი (ახალი ზელანდია)
2003 წელი - ბლუზი (ახალი ზელანდია)
2004 წელი - ბრამბიზი (ავსტრალია)
2005 წელი - კრუსეიდერზი (ახალი ზელანდია)
2006 წელი - კრუსეიდერზი (ახალი ზელანდია)
2007 წელი - ბლუ ბულზი (სამხრეთ აფრიკა)
2008 წელი - კრუსეიდერზი (ახალი ზელანდია)
2009 წელი - ბლუ ბულზი (სამხრეთ აფრიკა)
2010 წელი - ბლუ ბულზი (სამხრეთ აფრიკა)
2011 წელი - რედსი (ავსტრალია)
2012 წელი - ჩიფსი (ახალი ზელანდია).

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ინტერვიუ სტივ ნეშთან

# გამარჯვება მთავარი არ არის

**გაგებული გექნებათ ის ამბავი, რომ „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ვეტერანმა გამთამაშებელმა სტივ ნეშმა მილანის" ინტერის" ფეხბურთელებთან ერთად ივარჯიშა. საერთო ჯამში, ამას ნამდვილი ვარჯიში არ ეთქმოდა - ეს უფრო მედიისთვის განკუთვნილი შოუ იყო, რის შემდეგაც კალათბურთელმა ინტერვიუში ილაპარაკა ფეხბურთზე, საკალათბურთო ფილოსოფიაზე, „ლეიკერსის" მომავალზე, NBA-ის ფინალურ სერიაზე, დუაიტ ჰოვარდსა და სხვა უამრავ თემაზე...**


სტივ ნეში ინტერის ფორმაში

**- უკვე მიიღეთ წერილები „ინტერის" ფანებისგან? შემადგენლობაში მოხვედრას ხომ არ აპირებთ?**

- საქმე ისაა, რომ ფეხბურთში შეიძლება 18 მოთამაშე იყოს განაცხადში. ისინიც კი, ვინც სათადარიგოთა სკამზე ვერ მოხვდნენ, გუნდის სრულუფლებიან წევრებად ითვლებიან. ასე რომ, ეს გარკვეულ შანსს მაძლევს.

**- რა არის თქვენი მთავარი საფეხბურთო თვისება?**

- ალბათ, გადაცემების დარიგება.

**- რა ამოცანა გაქვთ ვარჯიშებზე? ცნობილია, რომ ძალიან კარგი ფეხბურთელი ხართ.**

- თუმცა ამ ბიჭების ფონზე საკმაოდ მოკრძალებულად გამოვიყურები. ამოცანა - გუნდში მოხვედრაა (იცინის). მეორე მიზანი - თავი არ შევირცხვინო. და მაინც, არ მაქვს იმის ილუზია, რომ ჩემთვის მოინახება ადგილი შემადგენლობაში.

**- შევეშვათ ფეხბურთს. ბევრს მოსწონს, როცა თქვენ კალათბურთზე ლაპარაკობთ, რადგან მუდმივად ახსენებთ გუნდის შექმნის პროცესს, ურთიერთგაგებას მოთამაშეებს შორის და ა. შ. დღეს ასეთი დიალოგი - დიდი იშვიათობაა. რატომ აღელვებს ადამიანების უმრავლესობას მხოლოდ სამი საკითხი: ვინ მოიგო? ვინ წააგო? ვინ მოიპოვა საჩემპიონო ბეჭედი? თქვენ საიდან გაქვთ წვრილმანებისადმი სიყვარული?**

- ზუსტად არ შემიძლია გიპასუხოთ. ალბათ, უბრალოდ მიყვარს გუნდის შემადგენელ ნაწილად ყოფნა. და ყოველთვის მიყვარდა. მქონდა ბედნიერება ისეთ გუნდებში მემუშავა, სადაც თავს კომფორტულად ვგრძნობდი. სტატისტიკასა და შედეგებზე შეშლილი სპორტული სამყარო, აგრეთვე 24-საათიანი საინფორმაციო ციკლები, ადრე თუ გვიან, გამაღიზიანებელი ხდება. ამის გამო, ყურადღება გადადის უფრო მნიშვნელოვან თემებზე. მაგალითად, როგორ ითამაშა გუნდმა? როგორ ათამაშებდა ბურთს შეტევაში? ესმით თუ არა კალათბურთელებს ერთმანეთის დაცვაში? დღეს ჩრდილოამერიკულ სპორტში იმას მივაღწიეთ, რომ მნიშვნელოვანია ერთი რამ: მოიგე თუ წააგე. არ მგონია, რომ ეს ჰგავს იმ დროს, როცა მე ლიგაში მოვედი.

**- მართლა ასე ფიქრობთ?**

- არასოდეს მიფიქრია, რომ ნებისმიერ ფასად უნდა მომეგო. მაგრამ დღეს, პრესის წყალობით, აუცილებლად უნდა იყოს გამოცდა, თავბრუდამხვევი ისტორიები... უნდა არსებობდეს ტრიუმფატორი და დამარცხებული. ყველაფერი იყოფა შავად და თეთრად. მაგრამ სხვა საინტერესო დეტალებიც არსებობს.

**- შეიძლება ამიტომაც არის, რომ ზოგიერთი მოთამაშის ნადირობა საჩემპიონო ბეჭედზე აშკარად გაღიზიანებს. ჯერი უესტმა ბევრი ფინალური სერია წააგო იქამდე, სანამ ჩემპიონი გახდებოდა, მაგრამ მას ყველა აღიდებდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლებოდა არ მოგეპოვებინა ჩემპიონობა, მაგრამ მაინც მიგეღო ხალხისგან აღიარება და ვარსკვლავის სტატუსი. დღეს კი ეს პრაქტიკულად შეუსრულებელი მისიაა.**

- მეც ამაზე ვლაპარაკობ. არ ვიცი, ეს საიდან მოვიდა. როცა ლიგაში თამაში დავიწყე, ყველაფერი სხვანაირად იყო. თუ წააგებდი, ამას გაგებით ეკიდებოდნენ. დიახ, არსებობდა ჩემი ჩემპიონობის შანსი, მაგრამ რაღაც ისე არ აეწყო. მაგრამ არ ყოფილა შავად და თეთრად დაყოფა. უფრო საინტერესო იყო დეტალებში ქექვა.

**- ფინალში „სან ანტონიოს" გულშემატკივრობდით? მაინც გამოცდილი გუნდია, თან დიაოსთან მეგობრობთ.**

- დიახ, ოდნავ ვღელავდი მათ გამო. მინდოდა, რომ დიაოს მოეგო. და, რა თქმა უნდა, უდიდეს პატივისცემას ვგრძნობ გრეგ პოპოვიჩის მიმართ. ის ბრწყინვალე მწვრთნელია და ყოველთვის ვუჭერ მხარს. შეიძლება ეს უცნაურად ჟღერდეს, რადგან „სპურსმა" ბევრჯერ გადაუღობა გზა იმ გუნდებს, რომლებშიც მე ვთამაშობდი.

**- შეიძლებოდა თუ არა გასულ სეზონში „ლეიკერსისგან" კარგი გუნდი გამოსულიყო, წამყვან კალათბურთელებს ტრავმები რომ აეცილებინათ თავიდან? შესაძლებელი იყო მაიკ დ'ენტონის სათამაშო სქემების ამოქმედება გასოლისა და ჰოვარდის ხელში?**

- არ მგონია, რომ თუნდაც თეორიულად გამოგვეყენებინა ის სტრატეგია, რომელმაც მაიკს „ფინიქსში" წარმატება მოუტანა, რადგან ჩვენ არ გვყავდა სნაიპერები, რომლებიც მეტოქის დაცვას დაშლიდნენ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ გასოლისა და ჰოვარდის წყვილი საკმაოდ სპეციფიკური იყო. გარდა ამისა, არ მგონია, რომ თავად დ'ენტონი ცდილობს „ლეიკერსში" ის კალათბურთი დანერგოს, რომელსაც „სანზში" იყენებდა. მას უბრალოდ სურდა, რომ სწრაფად გვემოქმედა, აქტიურად გაგვეთამაშებინა კომბინაციები. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ ისე ვათამაშებდით ბურთს, როგორც საჭირო იყო. რა თქმა უნდა, ნაწილობრივ ამაში დამნაშავეა ტრავმების ეპიდემია, თუმცა სხვა მიზეზებიც არსებობს.

**- ნერვიულობდით იმის გამო, რომ კობი ბრაიანტთან ერთ გუნდში უნდა გეთამაშათ? წინა გუნდში ხომ უფრო ხშირად თქვენ გქონდათ ბურთი...**

- ამის გამო არ ვნერვიულობდი, ეს ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნდა. ვიცოდი, რომ ახალ ადგილზე სულ სხვა თამაში მელოდა. როცა კობისთან ერთად გამოდიხართ, იცით, რომ შეტევის დიდი ნაწილი ბურთი მას უნდა ჰქონდეს - ეს სამართლიანია.

**- მაგრამ, ამავდროულად, გასულ სეზონში თქვენ ხშირად გქონდათ შეტევის საშუალება ბურთის მიღებისთანავე...**

- თუმცა ეს ყოველთვის კარგად არ გამოდიოდა. შევეცდები, ახალ სეზონში მოვუმატო ამ კომპონენტში. „ფინიქსში" ასეთი შანსები პრაქტიკულად არ მქონდა. ამის გამო, შარშან თავს არც ისე კომფორტულად ვგრძნობდი.

**- დიახ, მაგრამ ეს ხომ ყველაზე მარტივი ტყორცნაა?**

- მართალი ხართ, მაგრამ, როცა წლების განმავლობაში მიჩვეული ხართ დრიბლინგის შემდეგ სროლას, ძალიან რთულია გადაეწყო ბურთის მიღებისთანავე სროლაზე. თუმცა ვმუშაობ ამაზე.

**- თქვენთვის აქვს მნიშვნელობა იმას, რომ თქვენი ტყორცნა ერთ-ერთ საუკეთესოდ არის მიჩნეული ისტორიაში? საერთოდ, მოთამაშეები აქცევენ ყურადღებას სტატისტიკას, რომლის მიხედვითაც თამაშიდან სროლის სიზუსტე 50 პროცენტი უნდა იყოს, სამქულიანების - 40 პროცენტი და საჯარიმოების - 90 პროცენტი?**

- გვიხდება ამისთვის ყურადღების მინიჭება, რადგან ხალხი ამაზე ხშირად ლაპარაკობს. მაგრამ, საერთო ჯამში, ყოველთვის მინდოდა მაღალი პროცენტით შეტევა, რათა დამაჯერებლობა გადამეცა თანაგუნდელებისთვის. ყოველთვის ვიცოდი: თუ ეფექტურად ვისროდი, არ მომიწევდა ხშირი შეტევა. მწვრთნელები ხშირად მთხოვენ უფრო მეტი შევუტიო. მაგრამ, ამავდროულად, თანაგუნდელებმა იციან, რომ რამდენადაც წარმატებით არ უნდა ვისროდე, მაინც გავუნაწილებ მათ ბურთს. ეს აღმაფრენას მაძლევს.

**- არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დუაიტ ჰოვარდს. მოდით, ვილაპარაკოთ შეხვედრაზე, რომელიც მასსა და „ლეიკერსს" შორის გაიმართა. თქვენ უბრალოდ იჯექით საკონფერენციო დარბაზში და ელოდით, როდის მოვიდოდა?**

- მე ის იქამდე ვნახე, სანამ დარბაზში შევიდოდი. ერთი წუთი ვილაპარაკეც კიდეც.

**- ჯიმ ბასიც იქ იყო?**

- დიახ.

**- როგორ მიმდინარეობდა ეს შეხვედრა?**

- ჩვენ გვქონდა გეგმა. თავიდან დუაიტი გაეცნო არასაკალათბურთო მხარეს. მოგვიანებით კი მაიკი, კობი, მე, მიტჩი, ჯიმი და ტიმ ჰარისი ვლაპარაკობდით მხოლოდ სპორტულ მხარეზე.

**- კობიმ მართლა გამოიყენა სიტყვა - „ვასწავლი"? ამგვარ კონტექსტში - „მე მათ გამარჯვებას ვასწავლი"?**

- შესაძლოა. უკვე აღარ მახსოვს სიტყვასიტყვით.

**- თქვენი აზრით, ვინ არის ლიგაში საუკეთესო მცველი პიკ-ნ-როლების წინააღმდეგ?**

- რთული შეკითხვაა. იყო დრო, როცა გარნეტი მართლაც კარგად გამოიყურებოდა ამ მხრივ. ალბათ, ის დღესაც კარგია.

**- ერთხელ თქვით, რომ გამთამაშებლის ამპლუაში არის ისეთი რამ, რისი სწავლაც შეუძლებელია. დღესაც ასე ფიქრობთ?**

- დიახ. თუ არ მეთანხმებით, მაგალითი მომიყვანეთ.

**- ამასწინ, ბრენდონ ნაითის თამაშს ვაკვირდებოდი. შევამჩნიე, რომ ის უბრალოდ ვერ ასწრებდა ყველაფერის შემჩნევას და შეტევას იწყებდა იქამდე, სანამ კომბინაციის ყველა დეტალი თავის ადგილზე აღმოჩნდებოდა. შეიძლება დროთა განმავლობაში ამ ნაკლის გამოსწორება?**

- ნაწილობრივ, შეიძლება. მაგრამ ძალიან რთულია. ხალხს, ალბათ, არ ესმის, რა რთულია მოედნის კარგად ხედვის შესწავლა. ეს ითხოვს ვარჯიშების დიდ რაოდენობას, კომბინაციების ათვისებას, ვიდეოჩანაწერების განხილვას. იმისთვის, რომ ეს ისწავლო, აუცილებელია სხვანაირად ფიქრს შეეჩვიო. ამის გამო, ზოგიერთ პლეიმეიკერს შეცდომის უფლებას აძლევენ და ისინი დროთა განმავლობაში პროგრესირებენ თამაშის გაგების მხრივ.

**- ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ჯონ უოლის დასახელება. ის ვერ დაიკვეხნის მოედნის კარგი ხედვით, მაგრამ სწრაფია, ათლეტური, გუნდი კი მას იმდენად დიდ დროს უთმობს, რომ პროგრესი გარდაუვალია...**

- იგივეა უესტბრუკთან, როუზთან და სხვებთან მიმართებაში. არ მგონია, რომ სკოლაში მათზე ვინმეს ეთქვას: „ეს ბიჭები კარგად გრძნობენ თამაშს და პასებით ამარაგებენ პარტნიორებს". მაგრამ, დროთა განმავლობაში, ისინი ამ მხრივ უკეთესები გახდნენ.

ამბები

## სამუდამო ხუთიანი ლიდსტრიომს

„დეტროიტ რედ უინგზი" ხმარებიდან ამოიღებს ლეგენდარული შვედი მცველის ნიკლას ლიდსტრიომის მეხუთენომრიან მაისურას. „დეტროიტის" საშინაო არენის თაღზე სკანდინაველის მაისურის აღმართვის საზეიმო ცერემონია 2014 წლის 6 მარტს გაიმართება, როცა „რედ უინგზი" რეგულარული ჩემპიონატის მატჩში „კოლორადოს" უმასპინძლებს.

შვედმა ჰოკეისტმა კარიერა 2011-12 წლების სეზონის შემდეგ დაასრულა. ლიდსტრიომი „დეტროიტმა" 1989 წლის დრაფტზე 53-ე ნომრად აირჩია. მცველმა მთელი კარიერა „რედ უინგზის" რიგებში ჩაატარა და ოთხჯერ გახდა სტენლის თასის მფლობელი - 1997, 1998, 2002 და 2008 წლებში. ის პირველი ევროპელია NHL-ის ისტორიაში, ვინც თავისი გუნდი კაპიტნის რანგში მიიყვანა პლეი ოფში გამარჯვებამდე. ეს 2008 წელს მოხდა, როცა კარიერა დაასრულა **სტივ აიზერმანმა**.

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ლიდსტრიომმა 1564 მატჩი ჩაატარა. ერთი კლუბის მოთამაშისთვის ეს არის მეხუთე შედეგი ლიგის ისტორიაში და მეორე - „დეტროიტში" **გორდი ჰოუს** შემდეგ. შვედმა შვიდჯერ დაიმსახურა „ნორის ტროფი" (საუკეთესო მცველის პრიზი). მან რეგულარულ ჩემპიონატში 264 გოლი გაიტანა და 878 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. ჯამში გამოდის 1142 ქულა, რაც მეოთხე შედეგია „დეტროიტის" ისტორიაში.


ნიკლას ლიდსტრიომი

ამბები

კრივი

## კლიჩკო-პოვეტკინი ამერიკასაც აინტერესებს

ამერიკული ტელეკომპანია HBO პირდაპირ ეთერში გადასცემს სუპერმძიმე წონაში აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას უკრაინელ ვლადიმერ კლიჩკოსა და რუს ალექსანდრ პოვეტკინს შორის.

თავიდან, შეხვედრას პირდაპირ ეთერში იხილავს მაყურებელი, შემდეგ კი ვიდეოჩანაწერს გაუშვებენ იმ საკრივო შოუს წინ, რომლის მთავარი ბრძოლა იქნება პუერტორიკოელი **მიგელ კოტოსა** და დომინკელი **დელვინ როდრიგესის** დაპირისპირება.

კლიჩკოსა და პოვეტკინის შეხვედრა 5 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართება.

კალათბურთი

## როუზი 5 ოქტომბერს დაბრუნდება

„ჩიკაგო ბულზის" გამთამაშებელი **დერიკ როუზი**, რომელმაც გასული სეზონი მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა, მზად არის მოედანზე დასაბრუნებლად.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, როუზი მოედანზე 5 ოქტომბერს გამოჩნდება, როცა „ჩიკაგო" საწვრთნელ შეხვედრას ჩაატარებს „ინდიანას" წინააღმდეგ.

შეგახსენებთ, რომ 2010-11 წლების MVP-მ ბოლო მატჩი 2012 წლის 28 აპრილს ჩაატარა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი



რაიან ლოხტე

# ლოხტეს მე-13 ოქრო და მესამე რეკორდი ბარსელონაში

ცურვაში მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე სამი დღეა დარჩენილი და სპორტსმენებმა დააჩქარეს მედლების გათამაშების ტემპი - ამჯერად, ოთხი ფინალის ნაცვლად, ხუთში გაარკვიეს ურთიერთობა.

საინტერესოა, ამ სამ დღეში კიდევ რამდენი ოქროს მოგებას შეძლებს ამერიკელი **მელისა ფრანკლინი**. ფინალების მორიგი დღის შემდეგ, მან ჰეთ-თრიკი პოკერით შეცვალა. მისმ მეოთხე ოქრო 4x200 მეტრზე ესტაფეტაში მოიპოვა.

ეს ფინალი ორგანიზატორებმა ბოლოსთვის შემოინახეს. ამერიკის ნაკრები აქცენტს **კეტი ლედეცკისა** და ფრანკლინზე აკეთებდა. კეტი პირველი გადიოდა სტარტზე, მელისა - მეოთხე. ისინი ესტაფეტის თავიანთ ეტაპებზე საუკეთესოები იყვნენ. ფინალი ძალიან დაძაბული გამოვიდა. მეორე ეტაპის შემდეგ, **შარლოტა ბონემ** ფრანგები დააწინაურა, ესტაფეტის ბოლო ცვლის შემდეგ კი ლიდერები ავსტრალიელები გახდნენ. ისე ჩანდა, რომ **ალისია კოუტსი** შეძლებდა ფრანკლინთან წამიანი უპირატესობის შენარჩუნებას, მაგრამ ბრწყინვალე ამერიკელმა ყოველ 50 მეტრზე თითქმის წამი მოუგო ავსტრალიელს და დიდი უპირატესობით დაასრულა ფინალი. როგორც გითხარით, ფრანკლინმა მეოთხე ოქრო მოიგო, ლედეცკიმ - მესამე, ხოლო კოუტსისთვის ეს იყო მეოთხე ვერცხლი ამ ჩემპიონატზე.

■ ■ ■

დღის პირველი ფინალი იყო მამაკაცებს შორის 200 მეტრი კომპლექსური ცურვა. აქ მთავარ ფავორიტად ამ დისტანციაზე ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, ამერიკელი **რაიან ლოხტე** მიიჩნეოდა, თუმცა მასთან ბრძოლაში იოლად დანებებას არ აპირებდნენ 400 მეტრზე „კომპლექსში" ლონდონის თამაშების პრიზიორები - იაპონელი კოსუკე ჰაგინო და ბრაზილიელი ტიაგო პერეირა.

50 მეტრი ბატერფლაის შემდეგ, ლიდერი პერეირა იყო, მას სამი მეასედით ჩამორჩებოდა ლოხტე, კიდევ სამი მეასედით - უნგრელი ლასლო ჩეხი, თუმცა ამ უკანასკნელს ძალები არ ეყო ფავორიტებთან საბრძოლველად. 100 მეტრის შემდეგ ბრაზილიელმა გაზარდა უპირატესობა, ლოხტესთან, მესამეზე კი ჰაგინო გადავიდა. 50 მეტრი ბრასის შემდეგ, ლოხტე წინ გავიდა და პერეირას ნახევარი კორპუსით გაუსწრო. უკვე ცხადი იყო, რომ თავისუფალ სტილში ის პირველობას არავის დაუთმობდა. ბრაზილიელმა კი იმდენი ძალა დახარჯა ლოხტესთან ბრძოლაში, რომ ჰაგინოს ვერცხლის მედალი დაუთმო და მესამეზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ლოხტესთვის მსოფლიოს ჩემპიონატის რიგით მე-13 ოქროს მედალი.

■ ■ ■

ამის შემდეგ კლასიკური დისტანციის ჯერი დადგა - 100 მეტრი თავისუფალი სტილით მამაკაცებს შორის. შეგახსენებთ, რომ შარშან, ოლიმპიურ თამაშებზე მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა, ავსტრალიელმა **ჯეიმს მაგნუსენმა** ოქროსთვის ბრძოლაში 0.01 წამი წააგო ამერიკელ **ნათან ედრიენთან** და ახლა, მისგან ყველა რევანშს ელოდა.

თუმცა ფინალს ისეთი დასაწყისი ჰქონდა, როგორსაც ვერავინ წარმოიდგენდა. სასტარტო სიგნალზე ყველაზე კარგი რეაქცია რუს **ვლადიმერ მოროზოვს** ჰქონდა და პირველი 50 მეტრის შემდეგ, ის ყველას უგებდა, თანაც 0.23 წამით სჯობნიდა ბრაზილიელი **სეზარ სიელო ფილიოს** მსოფლიოს რეკორდს. კიდევ 25 მეტრის შემდეგ, მოროზოვი დამაჯერებლად ლიდერობდა - კონკურენტებს ნახევარი კორპუსით უსწრებდა და ბევრმა დაიჯერა, რომ ამ ჩემპიონატზე მთავარი სენსაცია მოხდებოდა. მაგრამ ფინიშამდე 20 მეტრით ადრე, რუსმა მკვეთრად უკლო ტემპს, მას ოთხმა მეტოქემ გვერდით ჩაუქროლა და მოროზოვი მეხუთე ადგილზე დატოვა.

მაგნუსენი პირველი 50 მეტრის შემდეგ მხოლოდ მეხუთე იყო, მაგრამ მაინც მოახერხა რევანშის აღება და ფინიშზე პირველი მისვლა. მეორეზე არა ედრიენი, არამედ მეორე ამერიკელი **ჯეიმს ფეგენი** გავიდა, არადა, 50 მეტრის შემდეგ ის მხოლოდ მეექვსე იყო. რაც შეეხება ნათან ედრიენს, ის მხოლოდ ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა.

■ ■ ■

ასეთი გიჟური ფინალის შემდეგ, საკმაოდ მშვიდად ჩაიარა ქალებს შორის 200 მეტრზე ბატერფლაის ფინალმა. მასპინძლებს აქ მედლის იმედი ჰქონდათ, რადგან დისტანციაზე იყო **მირეა ბელმონტე გარსია**. თუმცა ფავორიტებად ჩინელი ლიუ ციგე და ძალიან ძლიერი უნგრელი კატინკა ჰოშუ ითვლებოდნენ.

ამ სამეულიდან უკეთესო სტარტი ბელმონტე გარსიას გამოუვიდა, რომელსაც დისტანციის შუაში გაუსწრო ლიუ ციგემ, მაგრამ ესპანელი არ დანებდა და ბოლო 50 მეტრამდე თანაბრად მიდიოდა ჩინელთან. დასკვნით ეტაპზე უფრო მეტი ძალა ლიუს აღმოაჩნდა და საკმაოდ დამაჯერებლად მოიგო ეს გაცურვა. ესპანელი მეორეზე გავიდა, ჰოშუ - მესამეზე, რაც სერიოზული დარტყმა იყო მის ამბიციებზე.

დაბოლოს, 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში ჩინეთს იმ დღეს მეორე ოქრო მოუტანა **ჟაო ჟინმა**, რომელსაც ერთი მეათედი წამით ჩამორჩა თანამემამულე **ფუ იანჰაი**. აქ პოდიუმი მთლიანად აზიური იყო, რადგან მესამეზე **აი ტერაკავა** გავიდა.

■ ■ ■

ბარსელონას აუზში ერთი მსოფლიოს რეკორდიც დამყარდა. მისი ავტორი გახდა დანიელი **რიკე პედერსენი** 200 მეტრზე ბრასში ნახევარფინალური გაცურვის დროს. სკანდინაველის დრო იყო 2 წუთი და 19.11 წამი, რაც წინა რეკორდზე 0.48 წამით უკეთესია. აქამდე რეკორდის მფლობელი ამერიკელი **რებეკა სონი** იყო - საუკეთესო დრო მან 2012 წელს, ლონდონის ოლიმპიადაზე აჩვენა.

პედერსენი მესამე მოცურავეა, ვინც ბარსელონაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. მანამდე ეს შეძლეს ლიტველმა **რუტა მეილიუტიტემ** 100 მეტრზე ბრასში და ამერიკელმა **კეტი ლედეცკიმ** 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

| | |
|---|---|
| **კაცები** | |
| **200 მ. კომპლექსური** | |
| 1. რაიან ლოხტე (აშშ) | 1.54,98 |
| 2. კოსუკე ჰაგინო (იაპ) | 1.56,29 |
| 3. ტიაგო პერეირა (ბრა) | 1.56,30 |
| **100 მ. თავისუფალი** | |
| 1. ჯეიმს მაგნუსენი (ავსტრა) | 47,71 |
| 2. ჯეიმს ფეგენი (აშშ) | 47,82 |
| 3. ნათან ედრიენი (აშშ) | 47,84 |
| **ქალები** | |
| **200 მ. ბატერფლაი** | |
| 1. ლიუ ციგე (ჩინ) | 2.04,59 |
| 2. მირეა ბ. გარსია (ესპ) | 2.04,78 |
| 3. კატინკა ჰოშუ (უნგ) | 2.05,59 |
| **50 მ. გულაღმა** | |
| 1. ჟაო ჟინი (ჩინ) | 27,29 |
| 2. ფუ იანჰაი (ჩინ) | 27,39 |
| 3. აი ტერაკავა (იაპ) | 27,53 |
| **4x200 მ. თავისუფალი** | |
| 1. აშშ | 7.45,14 |
| 2. ავსტრალია | 7.47,08 |
| 3. საფრანგეთი | 7.48,43 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## TV პროგრამა

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ქონია-ქარაბუღი | 0:1 |
| მონპელიე-ესპანიოლი | 0:0 |
| პაოკ-ეთნიკოსი | 2:0 |
| ლუგო-მალიორკა | 2:2 |
| მურსია-ალმერია | 2:3 |
| ბარსელონა-სანტოსი | 8:0 |
| ბრაგა-ნორვიჩი | 2:2 |
| ტენერიფე-ოსასუნა | 2:1 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| შეფილდი-ნოტსი | 2:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| კლოპენბურგი-გოსლარერი | 1:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| იურდინგენი-შალკე II | 0:2 |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ბუხბახი-ბაიერნ ჰოფი | 2:2 |
| **გერმანიის თასი** | |
| **I რაუნდი** | |
| ოსნაბრიუკი-აუე | 3:0 |
| ჰაიდენჰაიმი-მიუნხენი | 1:1 პენ. 3:4 |
| ლაიპციგი-აუგსბურგი | 0:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| არლი-ჰავრი | 2:0 |
| კაენი-დიჟონი | 3:1 |
| შატორუ-ბრესტი | 3:3 |
| კლერმონი-ტური | 2:1 |
| ისტრი-ანჟერსი | 2:4 |
| მეცი-ლავალი | 1:0 |
| ნიმი-კრეტეი | 2:3 |
| ნიორი-ტრუა | 1:1 |
| **ჰოლანდია** | |
| აიაქსი-როდა | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ეინდჰოვენი-ვენლო | 0:0 |
| ექსელსიორი-ჰელმონდი | 2:2 |
| დორდრეხტი-მაასტრიხტი | 2:1 |
| ფორტუნა-გრააფსხაპი | 2:0 |
| **ბელგია** | |
| სერკლი-ანდერლეხტი | 0:4 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრიუსელი-ლომელი | 2:0 |
| **შოტლანდია** | |
| პარტიკი-დანდი იუნ | 0:0 |
| **დანია** | |
| მიდტიულანდი-სონდერიისკი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ჰვდოვრე-ფრედერისია | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვარნამო-ერებრო | 0:5 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალტახი-კაპფენბერგი | 1:0 |
| ლიფერინგი-პარნდორფი | 4:1 |
| ჰარტბერგი-ჰორნი | 2:2 |
| სტ. პოლტენი-აუსტია (ლ) | 2:0 |
| მატერსბურგი-ვენა | 3:0 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-უნივერსიტი | 1:3 |
| დერი-სლიგო | 1:2 |
| დანდალკი-შემროკი | 3:1 |
| ლიმერიკი-კორკი | 2:1 |
| სტ. პატსი-დროგედა | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ეთლონი-ფინ ჰარპსი | 1:0 |
| სოლტჰილი-უოტერფორდი | 1:4 |
| უექსფორდი-ლონგფორდი | 0:0 |
| **ჩეხეთი** | |
| იულავა-ზნოიმო | 4:0 |
| ბოჰემიანსი-პრშიბრამი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ბოჰემიანსი (პ)-ვლაშიმი | 0:4 |
| ბუდეიოვიცე-ვიქტორია | 4:0 |
| **რუსეთი** | |
| ანჟი-როსტოვი | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ლუჩ ენერგია-ნეფტეხიმიკი | 0:0 |
| ენისეი-სიბირი | 1:1 |
| დინამო (ს-პ)-სკა ენერგია | 0:0 |
| მორდოვია-გაზოვიკი | 1:0 |
| არსენალი-შინიკი | 4:0 |
| როტორი-უფა | 1:1 |
| სალუტი-ანგუშტი | 3:0 |
| ტორპედო-ხიმიკი | 0:1 |
| ბალტიკა-ალანია | 0:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ნიტრა-რეჟუმბეროკი | 3:3 |
| **უკრაინა** | |
| ილიჩივეცი-კარპატი | 1:1 |
| **პოლონეთი** | |
| კრაკოვია-რუხი | 2:1 |
| ზავიშა-პოგონი | 1:1 |
| **ხორვატია** | |
| ოსიეკი-სლავენი | 2:1 |
| **სლოვენია** | |
| ზავრცი-გორიცა | 0:2 |
| **უნგრეთი** | |
| პაკსი-პეჩი | 2:1 |
| **რუმინეთი** | |
| უნივერსიტატეა-ჩახლაული | 1:1 |
| **ბულგარეთი** | |
| ჩერნომორეცი-ნეფტოხიმიკი | 2:3 |
| **ესტონეთი** | |
| კურესაარე-ფლორა | 0:1 |
| ლევადია-ინფონეტი | 3:0 |
| ტრანს ნარვა-პაიდე | 2:0 |
| **ლატვია** | |
| მეტა-იეგლავა | 0:0 |
| **პერუ** | |
| სპორტი-კახამარკა | 0:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. კიტცბუელი** | |
| გრანოლერსი-ჰაასე | 7:6, 3:6, 6:4 |
| მონტანიესი-მონაკო | 7:6, 7:5 |
| **ATP. ვაშინგტონი** | |
| ტურსუნოვი-მატოშევიჩი | 6:3, 4:6, 7:6 |
| ისნერი-ბაღდატისი | 6:7, 6:4, 6:4 |
| **WTA. კარლსბადი** | |
| რაზანო-კვიტოვა | 6:7, 7:5, 7:6 |
| **WTA. ვაშინგტონი** | |
| პეტკოვიჩი-ორმაეჩეა | 4:6, 6:1, 6:3 |
| კირსტეა-კორნე | 6:7, 2:6 |
| მაკაროვა-ნიკულესკუ | 6:0, 6:0 |

## ცხელი ხაზი

### 3 აგვისტო. შაბათი

#### GMG-ფეხბურთი

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. I ტური. აიაქსი-როდა აიაქსი-როდა.
12:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 სეზონის მიმოხილვა. არგენტინის ჩემპიონატი - რივერ პლეიტი.
15:30 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
16:00 ჩემპიონთა ლიგა 2012-13. მანჩესტერ იუნ-გალასათარაი.
18:00 სეზონის მიმოხილვა. ჰოლანდიის ჩემპიონატი - ეინდჰოვენი.
20:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
20:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. I ტური. დენ ჰააგი-ეინდჰოვენი (LIVE).
23:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
01:10 არგენტინის ჩემპიონატი. I ტური. ტიგრე-ველეს სარსფილდი (LIVE).
18:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. I ტური. ზვოლე-ფეიენოორდი (LIVE).
20:30 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. I ტური. აიაქსი-როდა აიაქსი-როდა.
00:00 სეზონის მიმოხილვა. არგენტინის ჩემპიონატი - ნიუელსი.

#### GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მილანი-ანდერლეხტი.
12:15 საჩოგბურთო მიმოხილვა.
12:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ლეიკერსი.
15:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
16:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჰარლიქვინსი-ბიარიცი.
18:00 ჩოგბურთი . WTA-ის ტური. ფინალი. ბაქო. აზერბაიჯანი.
19:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
20:30 კალათბურთი. ევროლიგა. უნიკახა-ცსკა.
22:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ლეიკერსი.
00:45 NBA ACTION.

#### GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვაშინგტონი. აშშ.
16:30 საჩოგბურთო მიმოხილვა.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვაშინგტონი. აშშ.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ვაშინგტონი. აშშ (LIVE).

### 4 აგვისტო. კვირა

#### GMG-ფეხბურთი

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. I ტური. ტიგრე-ველეს სარსფილდი
12:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. I ტური. დენ ჰააგი-ეინდჰოვენი
16:00 ჩემპიონთა ლიგა 2012-13. ბარსელონა-სპარტაკი.
18:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.

#### GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. დორტმუნდი-აიაქსი.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ჰიუსტონი.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ნორთჰემპტონი-გლაზგო.
17:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
18:00 კალათბურთი. ევროლიგა. ცსკა-რეალი.
20:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ვაშინგტონი. აშშ.
22:30 NBA ACTION.
23:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ჰიუსტონი.

#### GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვაშინგტონი. აშშ.
18:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-სან ანტონიო.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ვაშინგტონი. აშშ
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ვაშინგტონი. აშშ (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 28 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 16 | 29 | (მზე) |
| ბათუმი | 17 | 27 | (მზე) |
| ქობულეთი | 18 | 27 | (მზე) |
| ფოთი | 19 | 27 | (მზე) |
| ზუგდიდი | 15 | 27 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 13 | 29 | (მზე) |
| თელავი | 15 | 28 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 18 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბაკურიანი | 6 | 21 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბორჯომი | 10 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 12 | 23 | (ხანმოკლე წვიმა) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1912 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6535 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5128 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0056 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოტო-NEWS

## გადაარჩინეთ ბოლტი!

კომპიუტერული თამაშების მოყვარულებისთვის კარგად არის ნაცნობი თამაში - Temple Run. მისი გამოსვლის პირველ დღეს, ის ექვსმა მილიონმა ადამიანმა გადმოქაჩა თავისი მობილური ტელეფონებისთვის, დღეისთვის კი 170 მილიონი download-ია დაფიქსირებული.

ახლა კი გამოვიდა თამაშის სპეციალური ვერსია, სადაც ურჩხულებს არა ნაცნობი გმირი, არამედ მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი, იამაიკელი **უსაინ ბოლტი** გაურბის.




● ფორმულა 1



## ტრადიცია დასრულდა

იტალიური პრესა იტყობინება, რომ „ფერარი" აღარ ჩაატარებს ზამთრის ფესტივალ Wrooom-ს, რომელიც ტრადიციულად იანვარში სამთო-სათხილამურო კურორტ მადონა დი კამპილიოში იმართებოდა. თამბაქოს მწარმოებელმა კომპანია Philip Morris-მა, რომელიც ამ ფესტივალის მთავარი სპონსორი იყო, უარი თქვა ზეიმის დაფინანსებაზე ეკონომიკური სირთულეების გამო.

*„ასეთი დანახარჯები გაუმართლებელია და ამის გამო, უნდა ამოვიღოთ Wrooom ჩვენი პროგრამიდან"*, - განაცხადა Philip Morris-ის ვიცე-პრეზიდენტმა **მაურიციო არივაბენემ**.

## რონალდო ბეისბოლზე

მადრიდის „რეალი" ამერიკულ ტურნეში იმყოფება, სადაც გუშინ ამხანაგური მატჩი ჩაატარა „ლოს ანჯელეს გელაქსისთან" და 3:1 გაიმარჯვა. მანამდე კი, იმავე ლოს ანჯელესში ბეისბოლის მატჩის საპატიო სტუმარი იყო „რეალის" ლიდერი **კრისტიანო რონალდო**. ადგილობრივი „დოჯერსი" ლეგენდარულ „ნიუ იორკ იანკიზს" მასპინძლობდა. შეხვედრის წინ, პორტუგალიელი მოედანზე გავიდა და ბეისბოლისა და ფეხბურთის ბურთით ჟონგლიორობა სცადა, შემდეგ ბეისბოლის თამაში მოინდომა და ლეგენდარულ **მეჯიქ ჯონსონთან** ფოტოებიც გადაიღო.

შეხვედრას ბევრი ცნობილი სახე ესწრებოდა. მაგალითად, ეროვნული ჰიმნი შეასრულა „მერსედესის" პილოტის **ლუის ჰემილტონის** შეყვარებულმა, მომღერალმა **ნიკოლ შერცინგერმა**, ხოლო „დოჯერსის" შემადგენლობა გამოაცხადა ჰოლივუდის მსახიობა **სამუელ ჯექსონმა**.


მეჯიქ ჯონსონთან ერთად



სამუელ ჯექსონი






ნიკოლ შერცინგერი



## მესი ახალ რეკლამაში ახალი ბუცებით

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა, „ბარსელონას" ლიდერმა **ლიონელ მესიმ** მონაწილეობა მიიღო სარეკლამო რგოლში. არგენტინელმა გადაღებების დროს „ადიდასის" ახალი ბუცები მოირგო.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (577 74 89 21), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge*
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**